კვირის პოლიტრ
მზე
N6(35) . 8/II. - 14/II.2001 .
ფასი 60 თ.

1168
2001

პუტინი რომ მე მგავს, ამაში მამაჩემის „ხელი“ ურევია...

კასპელი ვანო შერმადინი

მთავარი თემა:

ძალადობა



ახლა რომელიმე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელ რომ გავიგო, შეიძლება, ორი-სამი დღე ვერ ვიყო გუნებაზე...

ბ3.4

1168
2001

ქვეყნის პანორამა
ზეა
№6 (35)
8 - 14 თებერვალი 2001
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„ძალა აღმართს ხნავსო...“ 3
პერსონა
„ლიბერალური გაგაფხული“ რამდენიმე თვე გრძელდებოდა 4
საზოგადოება
პროკურატურა იჭერს, სასამართლო უშვებს... ანუ საოლქო სასამართლო გენპროკურატურას „აბითურებს“? 7
სასარგებლო აზრები
აფორიზმების ენციკლოპედია 8
პრობლემა
საქართველოს დაჩქარებული განვითარების შანსი ეძლევა 9
მთავარი თემა
- რა არის ძალადობა? 11
- ვინ და რით გვაშინებს ქუჩაში 12
- ქმარი ჩემი – მტერი ჩემი?! 14
- ჩვენი ბავშვობის გზაპრები და დღევანდელი სინამდვილე 17
- ბავშვები და სექსუალური აგრესია 19
შეჩერებული ნამი
„...ჩემ გვერდით პოეზიის გვირგვინი – გალაკტიონი გის!“ 20
პირველი სიყვარული
„სიყვარულზე საუბარს პარტიის ყრილობაზე საუბარი მირჩევნია!“ 21
ადამიანი
პუტინის ქართველი ორეული თუ ძმა? 22
ტესტი
ერთგული მკითხველი 23
კრიმინალი
77 წლის კაცმა თავის ძმას შვილი მოუკლა 24
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 26
ნამდვილი ამბავი
„გოგო მიდის მოხვეულში...“ 26
მამები და შვილები
„ჩემს შვილებს მეტისმეტად უმწიკვლო ბაბუა ჰყავთ...“ 28
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 29
პაუფლეტი
მიხოს მონოლოგი-5 30
ფსიქოლოგიური თამაში
როგორ იმახსოვრებთ რიცხვებს? 31

საქართველოს დაჩქარებული განვითარების შანსი ეძლევა



თუ „ზოგი ჭირი მარგებელიას“ პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, საქართველოს საუცხოო შანსი ეძლევა და მხოლოდ მონდომება და ხელისუფლების ნებაა საჭირო, რომ ეს შანსი ჯეროვნად გამოვიყენოთ.

9

ნიუ-იორკში ვარ – ამაზე შორს სადღა შნდა წავიდე?!

მე უნდა ამომეყო თავი და დამეძახა: – „თქვენთვის აღარ“! სამჯერ მქონდა ეს რეპლიკა, მესამედ რომ ამოვყავი თავი, პარტერიდან ვიღაცამ დამიძახა...

42

სიყვარულზე საუბარს პარტიის ყრილობაზე საუბარი მირჩევნია!

მეგობართან ერთად მივსეირნობდი ქუჩაში. ამ დროს, ქუჩის ბოლოდან ჩვენკენ მომავალი გოგონა დავინახე და სუნთქვა შემეკრა. რაღაცით ძალიან გახარებული იყო. გამოველაპარაკე: გოგონა, რა გიხარიათ-მეთქი? მიპასუხა – დღეს საბჭოთა პასპორტი ავიღეო!..

21

ვინ და რით გვაშინებს ქუჩაში

ამ უბანში ყველას ვიცნობ და ყველა მცნობს. სირცხვილი არ არის, სიგარეტზე ვერ გავბედო წასვლა-მეთქი?! ჯიხურში სიგარეტი ვიყიდე და შინისკენ წამოვედი. ბნელოდა. ერთ ადგილას ახალგაზრდა კაცი გადამიდგა – ბიძაჩემო, სიგარეტი მომაწევინეო.

12

21960
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სამყარო

დროგე გამარჯვების სიმბოლო 32

წმინდანები

აღავსო ზღვა და ხმელეთი ქვეყნის საქმემან დავითისმან 34

ისტორიის გაკვეთილები

1920 წლის რუსეთ-საქართველოს ომი 36

ზღაპარი

ბროლის ჯადოსნური პლანეტა 39

მსახიობი

„ნიუ-იორკში ვარ – ამაგე შორს საღღა უნდა წავიღე?!“ 42

ბედი კაცისა

„რა უდარდელად იმღერიან ჩემი ტოლები...“ 44

რჩევები

ბრძენკაცის დარიგებები 45

ბიზნესი

ჭიათურის მარგანეცი, ავერელ ჰარიმანი და ნიუ-იორკში მოგებული დავა 46

ესკიზები

ერთი „გადაუგვარებელი ქართველი“ 48

ნოველა

დაჩი ბრძელიშვილი. ანგარიშსწორება 50

ავტო 52

ვარსკვლავი

გოლდი ჰოუნი: „საუკეთესო შურისძიება ის არის, ბედნიერებას რომ მოიპოვებ...“ 54

ბომონდი 56

ადამიანი-ლეგენდა

ქალი, რომელმაც მონსტრი შვა 57

ცივილიზაცია

არისტოტელე იყო მართალი თუ პლატონი 60

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (12-18 თებერვლის) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

როგორი ფსიქოლოგი ხართ? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

8 თებერვალი წმინდა დავითის (აღმაშენებლის) ხსენების დღეა



წმინდა დავით აღმაშენებელმა საკუთარ საძვალედ გელათის მონასტერი ინება. ანდერძისავე მიხედვით, დავითს უსურვებია, ყოველ მოკვდავს ფეხი დაებიჯებინა მის საფლავზე... საფლავის ქვაზე ამოკვეთილია მეფის უკანასკნელი სურვილი.

34

საუკეთესო შურისძიება ბედნიერების მოპოვებაა

გოლდის რიგრიგობით უჩვენებდნენ ბარათებს, რომელზეც გარკვეული ფრაზები იყო დაწერილი, მათ შორის „უხერხულიც“. ამ დროს მას იმდენად რადიკალურად ეცვლებოდა სახის გამომეტყველება, რომ სიცილს ვერავინ იკავებდა.

54

77 წლის კაცმა თავის ქმას შვილი მოუკლა

მოთმინებიდან გამოსულმა ავთანდილ მაისურაძემ ფანჯრის მინების მტვრევა დაიწყო. სწორედ ამ დროს ბიძამისმა სახლში შენახული იარაღი აიღო.

24

ინგვერიშნწოლრებ

– რას მომჩერებიხარ დასაკლავი ხბოსავით?.. ერთხელ ხომ გითხარი, თავი დამანებე-მეთქი. დამპირდი კიდეც...

მომხიბლავი და შავთვალება, შილიფად ჩაცმული ქალი დამდურებით შესცქეროდა კართან ატუზულ ახალგაზრდა კაცს.

50

„ძალა ადამიანის ხვედრი...“



ჩვენი ჟურნალის დღევანდელი ნომრის მთავარი თემა ძალადობაა და მეც ამის შესახებ მინდა ვესაუბრო მკითხველს (ვისაც ეს თემა არ აინტერესებს, თავს ძალა დაატანოს და ძალით წაიკითხოს!).

ერთი რამ დასაწყისშივე უნდა გითხრათ – სულაც არ ვეთანხმები ჩვენი ჟურნალის პათოსს და ცუდს ვერაფერს ვხედავ ძალადობაში! პირიქით – დაძალებით ბევრი კარგი საქმე გაკეთებულა და კვლავაც გაკეთდება: რამდენი ოჯახი შექმნილა (ივანე კოტორაშვილის კლასიკად ქცეული ამბავი გავიხსენოთ), რამდენი კარგი სადღეგრძელო დალეულა (კისერში ჩასხმის მუქარით), რამდენ ბავშვს რამდენი გაკვეთილი უსწავლია, რამდენი პრეზიდენტი და პარლამენტის რამდენი წევრი „არჩეულა“... მოკლედ, კაცი ვერ დათვლის, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე რამდენი სიკეთე დათესა ძალადობის სხვადასხვა ფორმამ.

ცხადია, ისევე, როგორც ბევრ სხვა სიკეთეს, ძალადობასაც უძალიანდებიან ხოლმე ადამიანები, რადგან არ ესმით, რომ „მოძალადეს“ მისთვის სიკეთე უნდა, მაგრამ ეს ყოველთვის ასეა – წამალი მწარეა, მაგრამ სასარგებლო! – გაიხსენეთ ქართული ხალხური ზღაპრის მოტივებზე შექმნილი მულტიპლიკაციური ფილმი – „კომბლე“: კომბლე რომ ბატონს „მკურნალობს“ და თან დასძახის: „გარგო, ბატონო, წამალმა?!“

ახლა არ დამიწყონ „ძალად დემოკრატებმა“ და „ძალად პატრიოტებმა“: რას ამბობ და როგორ გეკადრებაო...

რას ვამბობ და – რასაც ვფიქრობ. კი არავინ მაძალებს!

დღევანდელ საქართველოში ძალიან მოდაშია ყველაფერი დასავლური, „პროგრესულის“ ბრმად გადმოღება – ახლახან „ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლი ასოციაცია“ თუ რაღაც ამგვარი შექმნეს ვიღაც მატრაკვეცებმა, ამერიკელთა მიბაძვით! ერთი მითხარით, თუ ვინმემ იცით: რას ნიშნავს ოჯახური ძალადობა?! როგორც გავიგე, საქმე ასე ყოფილა: ვთქვათ, მივედი შინ მთვრალი, რადგან მეგობრებმა ღვინო დამაძალეს. თურმე ჩემს ცოლს უფლება აქვს, სასამართლოში მიჩივლოს მისთვის მყუდროების დარღვევისათვის. ანდა, შვილებს თუ გავუწყერი და „რბილ ადგილას“ შემოვუტყაპუნე ჭკუის სასწავლებლად – შეიძლება ციხეში ჩამსვან. სიდედრის გინებისთვის ხომ – ალბათ დახვრეტას ან ელექტროსკამზე დასმას მოითხოვენ „ოჯახური ძალადობის მოწინააღმდეგენი...“

ასეთ წამოწყებებს სხვა საშიშროებაც ახლავს თან: ცნობილია, რომ მაგალითი გადამდებია, განსაკუთრებით – ცუდი მაგალითი. ჰოდა, ამ „ოჯახური ტირანებისაგან“ დამცველთა მიბაძვით სხვებმა რომ „სხვა რამეებისგან“ დამცველი საზოგადოებები თუ ასოციაციები დააარსონ, მერე რას ვაპირებთ?!

ძალიან ცდებით, თუ გგონიათ, რომ ეს სერიოზული პრობლემა არ არის. მეტსაც გეტყვით – ვისთვისაც მართლა ძვირფასია ადამიანის უფლებები და პირადი თავისუფლება, მან სასწრაფოდ უნდა აღიმაღლოს ხმა და ძირშივე აღკვეთოს ეს მეტიჩრული „წამოწყება“, თორემ მალე გაჩნდება ჩვენს სინამდვილეში: „სამსახურში ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლთა ასოციაცია“, „მეზობლების ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლთა კავშირი“, „საზოგადოებრივ ტრანსპორტში ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლთა გაერთიანება“, „სავაჭრო დაწესებულებებში ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლთა საზოგადოება“ და ა.შ. შედეგი ასეთი იქნება: დილას ადგები, ისაუზმებ (შენ თვითონ, ცოლს არ შეაწუხებ, თორემ გიჩივლებს) და სამსახურში წახვალ. თუ ავტობუსით, მეტროთი ან „მარშრუტკით“ გიხდება მგზავრობა, ტრანსპორტში ჩუმად უნდა „აიძურწო“, თუ ვინმემ ფეხი დაგადგა – მადლობა უნდა მოუხადო, ჩამოსვლისას ყველა მგზავრს ხელი უნდა ჩამოართვა, მძღოლს კი შუბლზე უნდა აკოცო – თუ ასე არ მოიქცევი, „ტრანსპორტში მოძალადის“ სახელი დაგერქმევა და შესაბამისი „ანტიმოძალადეები“ გიჩივლებენ!..

სამსახურში მისულმა, ყველას უნდა უცინო – უფროსსაც და უმცროსსაც. თუ ხელქვეითი ვერ შეასრულებს მიცემულ დავალებას, უნდა უბრძანო, რომ არ ინერვიულოს, თუ უფროსი უსამართლოდ გისაყვედურებს – მადლობა უნდა უთხრა.

შინ დაბრუნებული (ტრანსპორტში უკანა გზაზეც ისევე უნდა მოიქცე, როგორც იქითობისას), ფეხის წვერებზე უნდა შეიპარო სახლში, ცოლშვილს მაგიდა გაუშალო, შემდეგ, დილით ჩამბალი სარეცხი უნდა გარეცხო და ბავშვების გაკვეთილებს ჩაუჯდე, სანამ ისინი ტელევიზორს უყურებენ. როდესაც ბავშვები დაიძინებენ, აბაზანაში შესულ სიდედრს ზურგი უნდა გაუხეხო და ხელში აყვანილი მიიყვანო „გრელკით“ წინასწარ გამთბარ ლოგინში...

თუ ზემოთ მოყვანილ „რეკომენდაციებს“ არ გავითვალისწინებთ ყველანი, თავი მოგვეჭრება საერთაშორისო მასშტაბით და ისევ თივე „აზიატები“, „ველურები“ და „მოძალადეები“ დავრჩებით, როგორებიც აქამდე ვიყავით.

P.S. ხუმრობა იქით იყოს და, ერთი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას მეც ვაპირებ: „ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლთა წინააღმდეგ მებრძოლი გაერთიანება“! ყველას მოგიწოდებთ ამ გაერთიანების წევრობისაკენ – საწევრო გადასახადი არ იქნება, მხოლოდ რამდენიმე პირობას უნდა აკმაყოფილებდეთ: ყოველდღე უნდა სცემდეთ ცოლს; თქვენი მისვლისთანავე შეშინებული ბავშვები საწოლის ქვეშ უნდა იმალებოდნენ; სამსახურიდან მინიმუმ სამჯერ უნდა იყოთ გამოგდებული: უხეშობისთვის, უზრდელობისა და თანამდებობისთვის შეუფერებლობისათვის; მეზობლები ვერ უნდა გიტანდნენ; ტრანსპორტში სიგარეტს უნდა ეწეოდეთ და შენიშვნის მიცემისას მგზავრებსა და მძღოლს აგინებდეთ; სიდედრი თქვენი ხელით უნდა გყავდეთ ჩამხრჩვალი აბაზანაში და ა.შ.

თუ ამ პირობებს აკმაყოფილებთ, ჩვენი გაერთიანების წევრობაც გარანტირებული გაქვთ. მხოლოდ ასე მოვახერხებთ ჩვენი თვითმყოფადობის შენარჩუნებას!

პროვიკატორი

ლეიბორისტული (შრომის) პარტიის ლიდერთან, ბატონ შალვა ნათელაშვილთან სახლში დავრეკე, მაგრამ მითხრეს, აქ აღარ ცხოვრობსო. ახალი მისამართი კი ვერ დამიზუსტეს და ვერც ტელეფონის ნომერი მომცეს. მისი პარტიის ოფისთან შემთხვევით მოვხვდი. ვიფიქრე — შევირბენ, იმას მაინც შევიტყობ, ბიზნესს ხომ არ მოჰკიდა ხელი და ახალი სახლი ხომ არ შეიძინა-მეთქი...

ბატონი შალვა ადგილზე დამხვდა. მხნედ გამოიყურებოდა. ჩემთვის საინტერესო კითხვის პირდაპირ დასმას მოვერიდე და ინტერვიუ ვთხოვე. უმალ დამთანხმდა, თუმცა წინასწარ გავაფრთხილე — პირადად თქვენ და თქვენი ორგანიზაციის დღევანდელი მდგომარეობა უფრო მაინტერესებს, ამიტომაც იქნებ, შეძლებისდაგვარად, პარტიულ ლოზუნგებს თავი ავარიდოთ-მეთქი...

„ლეიბორისტული გაზაფხული“ რამდენიმე თვე გრძელდებოდა

— ბატონო შალვა, რა მდგომარეობაა დღეს ლეიბორისტულ პარტიაში?

— ლეიბორისტული (შრომის) პარტიის რეიტინგი, მისი პარლამენტში „არშეშვების“ შემდეგ, კიდევ უფრო გაიზარდა. ასეთი რამ მსოფლიოში არც ერთ პარტიას არ შემთხვევია. ჩვენდამი ხალხის ნდობა უფრო ამაღლდა, პარტიული სტრუქტურა უფრო დაიხვეწა, იდეოლოგია კი უფრო დამუშავდა.

— რეიტინგის გაზრდას და ნდობის ამაღლებას როგორ იგებთ?

— ჩვენი პარტიის სოციოლოგიური ჯგუფის საშუალებით, ყოველდღიურად ვაწარმოებთ გამოკითხვებს, რომლებსაც კვირის ბოლოს ვაჯამებთ. ეს სატელეფონო და ანკეტური გამოკითხვებია, თუმცა სატელეფონო გამოკითხვებს უფრო ხშირად ვატარებთ, რომლის დროსაც მოსახლეობას ვუკავშირდებით და ვეკითხებით — თუ რომელ პარტიას ანიჭებენ უპირატესობას და რომელი პოლიტიკოსი იმსახურებს მათში მეტ ნდობას.

— ყოველდღიურად რამდენ ოჯახთან გაქვთ ასეთი კავშირი?

— კვირაში 150 რესპონდენტი გვყავს. ეს საკითხი კონტროლზე ავიყვანეთ, რადგან ეს არის ჩვენი საქმიანობის საზომი: თუ რაღაც ვერ არის რეიტინგის მიხედვით კარგად, ე.ი. სტრატეგიაშიც ვერ გვაქვს საქმე წარმატებულად — რაღაც გვეშლება ან ცოტა გავპასიურდით... ამ გამოკითხვებს შემთხვევითი შერჩევის წესით, ძირითადად თბილისში ვაწარმოებთ, რადგან, დღესდღეობით მთელი საქართველო, შეიძლება ითქვას, დედაქალაქშია თავმოყრილი.

— რესპონდენტები ხალისით მოდიან კონტაქტზე?

— საშუალოდ, გამოკითხულთა 40% აცხადებს — ეშმაკმა წაიღოს ყველა პარტია, არანაირ არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებთო, მაგრამ დანარჩენი 60% აქტიურია.

— თქვენი პარტიის სახელწოდებაში სიტყვა „შრომის“ ფიგურირებს: სამუშაო ადგილების რაოდენობა არ მატულობს და თქვენი რეიტინგი როგორ იზრდება?

— მიგიხვდით, რისი თქმაც გინდათ. მოსახლეობამ იცის, რომ თუ ლეიბორისტული პარტია ხელისუფლების სათავეში იქნება, სამუშაო ადგილებიც გაჩნდება და გადაუდებელი სამედიცინო დახმარებაც. საშუალო განათლებაც ბიუჯეტიდან დაფინანსდება და საბავშვო ბაღებიც. აუცილებლად ამუშავდება ეკონომიკა და ენერგეტიკაც აღარ იქნება ამდენი წურბელის ხელში. ამიტომაც მიდის ზევით ჩვენი რეიტინგი.

— ორიოდე დღის წინ ძველი გაზეთები, კერძოდ 1998 წლის დეკემბრის პრესის ფურცლები ჩამივარდა ხელში. ერთ-ერთ პუბლიკაციაში თქვენ აცხადებდით: ადგილობრივ არჩევნებში გავიმარჯვეთ და ახლა სასწრაფო დახმარებაც უფასო გექნებათ და ბიუჯეტიც — საკვესო... რა მოხდა, რატომ ვერ შეასრულეთ დანაპირები?

— მე გეტყვით, რომ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ „ლეიბორისტული გაზაფხული“ რამდენიმე თვე გრძელდებოდა. ამ გაზაფხულს, თუ გნებავთ, „სამართლიანობის გაზაფხული“ დაარქვით. იმ პერიოდში შემოვიღეთ უფასო სასწრაფო დახმარება და უფასო საშუალო განათლება, რაზეც ბიუჯეტში თანხები ჩაიდო. საბავშვო ბაღების ათასობით პედაგოგი აღვადგინეთ სამსახურში, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით და მრავალშვილიან დედებს ფულადი წახალისებები დავუნიშნეთ. ამ ყველაფრით გაბოროტებულმა და დაბრმავებულმა „პოზიციამ“ და ეგრეთ წოდებულმა ოპოზიციამ ალიანსი შეკრეს და არ შეგვიშვეს პარლამენტში, რის გამოც, აქტიური საქმიანობის საშუალება შეგვეზღუდა.

— თქვენი საქმიანობის შეზღუდვას თავადვე ხომ არ შეუწყვეთ ხელი? ვგულისხმობ ლეიბორისტული ფრაქციების დაშლას თბილისსა და სხვა ქალაქების საკრებულოებში?

— მოგეხსენებათ, თბილისის საკრებულოში ოპოზიციური პარტიების ხმათა ერთობლიობა სჭარბობდა მოქალაქეთა კავშირის ხმათა რაოდენობას. ჩვენ, ლეიბორისტებს გვქონდა 12 ხმა — 55-იდან, მოქალაქეთა კავშირს — 20, უნდა მომხდარიყო ოპოზიციონერთა კონსოლიდაცია, მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ მშვენივრად აითვისა ნგრევის ხელოვნება. ოპოზიცია, ფაქტობრივად, დაანგრია. მინდა გაგახსენოთ 1998 წლის 16 თებერვალი. მაშინ ბატონი ედუარდ შევარდნაძე იაპონიაში მიემგზავრებოდა და პარლამენტში გვესტუმრა. თუ გახსოვთ, მე ვუთხარი — ნუ გაუზიარებთ ქვეყნის ნგრევის თქვენეულ გამოცდილებას იმ მშვენიერ ქვეყანას და

ნუ დაღუპავთ-მეთქი... სწორედ მაშინ იყო, რომ მიპასუხა: შალვა, გილოცავ წარმატებას, მაგრამ იცოდე, წარმატებას წარუმატებლობა მოჰყვებაო... ამას კი მოჰყვა რჩეულიშვილის ღობე-ღობე სიარული და იმის ლაპარაკი – ნათელაშვილმა ოპოზიციას უღალატაო... ამუშავდა მთელი მექანიზმი. „აჭარის ლომის“ შემოხმიანება იქიდან და მათი ალიანსის შეკვრა, ლეიბორისტების წინააღმდეგ, რაც იმით დამთავრდა, რომ პარლამენტში აღარ შეგვიშვეს, მაგრამ „ლეიბორისტული გაზაფხული“ ჯერ კიდევ წინ არის.

— მაგ „გაზაფხულს“ ლადო კახაძემ აღარ დაუცადა. დღეს რა დამოკიდებულება გაქვთ?

– რა დამოკიდებულება უნდა მქონდეს? არანაირი. როგორ შეიძლება ნორმალური დამოკიდებულება მქონდეს კაცთან, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარედ გავიყვანეთ და შევარდნაძის ბანაკში გადავიდა?!

— მასთან ბოლო შეხვედრას ხომ არ გაიხსენებდით?

– არავითარი სურვილი არა მაქვს...

— ბატონო შალვა, თქვენი სურვილის მიუხედავად, იქნებ გაიხსენოთ, რატომ წავიდა ლადო კახაძე თქვენგან? იქნებ მისი მოთხოვნები სამართლიანი იყო?

– ჩვენი ბოლო შეხვედრისას ის მოითხოვდა ფრაქციიდან ფრაქციის თავმჯდომარის – ვიქტორ მოსიძის გარიცხვას და საამისოდ ათასი ფორმალური მიზეზი მოჰყავდა. ბუნებრივია, მან წინასწარ იცოდა, რომ ჩვენ ამას არ გავაკეთებდით. ეს უფრო საბაბი იყო, ვიდრე მიზეზი. რეალური მიზეზი კი ის გახლდათ, რომ თანამდებობის შენარჩუნებისთვის საჭირო იყო ლეიბორისტებისგან განდგომა და მან ეს გააკეთა. ამაზე, ძალიან აქტიურად, ზოდელავა-ჟვანიასთან ერთად მუშაობდა, შევარდნაძის ხელმძღვანელობით. მითითება იყო ერთი: თბილისის საკრებულოს თავზე აღმართული „ლეიბორისტული დროშა“ უნდა დაშვებულიყო. კახაძის ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, მას აუცილებლად გადააყენებდნენ თავმჯდომარეობიდან, მაგრამ მერე რა? ამით ხომ მისი რეიტინგი მოსახლეობაში უფრო მაღლა აიწევდა! ქართულ პოლიტიკაში ხომ მხოლოდ დღევანდელი დღით მსჯელობენ და არ ფიქრობენ ხვალინდელ დღეზე – ეს არის მთელი ქართული პოლიტიკის საერთო სენი. იმიტომ არის, რომ დღესვე უნდათ, დაიტაცონ ყველაფერი... სამწუხარო კიდევ ის არის, რომ ოპოზიციური სული არ არის გამოკვეთილი და არც ოპოზიციური სოლიდარობაა დამკვიდრებული. ჩვენთან ოპოზიციაშიც ერთმანეთის აუტანლობა და კონკურენციაა. ახლა რომელიმე ოპოზიციური პარტიის წარმატება რომ გავიგო, შეიძლება, ორი-სამი დღე ვერ ვიყო გუნებაზე...

— თქვენ საკმაოდ პირდაპირ ავლენთ საკუთარ ხასიათს, მაგრამ მოდით, დავაკონკრეტოთ — რომელ პარტიას გულისხმობდით?

– პარლამენტში ვინც არის, არც ერთი არ არის ოპოზიციური. ისინი „პრივატიზებული“ ჰყავთ. რეალურად, ჩვენი ძალის მქონე ოპოზიციური პარტია არ არსებობს. ეს ისე არ გამიგოთ, თითქოს მათი არარსებობა მიხარია. არის პარტიები, რომლებშიც ძალიან იდეური და გულანთებული ხალხია, მაგრამ სუსტი შინაგანი პოტენციალი აქვთ.

— ამჟამად ვისთან თანამშრომლობთ?

– ჩვენ გვაქვს ურთიერთობა ეროვნული მოძრაობისგან დარჩენილ პარტიებთან, „ზვიადისტების“ მიმდინარეობებთან. ჭავჭავაძის საზოგადოებაც კარგი სათანამშრომლო ძალაა. ბატონ ნოდარ ნათაძესთან ხშირად ვმართავთ კონსულტაციებს. მაგრამ არავისთან არ შევქმნით კოალიციასა და ბლოკს. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ბლოკების შეკვრა – ეს არის საქართველოს დაღუპვის გზა და ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებენ, რომ შევიდნენ პარლამენტში და ნადავლი გაიანაწილონ. ჩვენ გვინდა, შევქმნათ პარტია, რომელიც არ იქნება არც ნათელაშვილის და არც სხვა რომელიმე პიროვნებისა. გვინდა, რომ ეს იყოს პარტია, კლასიკური გაგებით.

— ბატონო შალვა, თქვენ გამოსვლების განსაკუთრებული მანერებით გამოირჩევით. მიმდევრები თუ გყავთ პარტიაში ვისაც თქვენს „სტილს“ ასწავლით, ასე ვთქვათ, ავარჯიშებთ?

– აქეთ მავარჯიშებენ, ისეთები არიან! ბუნებრივია, გვყავს ასეთი ორატორები. ახლა რომ საპარლამენტო მიკროფონი გვქონდეს ანუ ჩვენი აღებული 18%-იანი ხმებიდან 7% მაინც რომ დაეწერათ, მოსახლეობას უკვე გაცნობილი ეყოლებოდა ისინი. 170 ათასიან პარტიაში, რა თქმა უნდა, ასეთი ხალხი იქნება.

— ბატონო შალვა, გავიგე, ბინა გამოგიცვლიათ...

– ბინა, რომელიც ნუცუბიძის პლატოზე მქონდა, გავყიდე და ახლა, ოჯახთან ერთად, დიდუბის რაიონში ვიგირავე. ქალაქის ცენტრთან უფრო ახლოს ვართ, ბავშვების სკოლაში ტარების პრობლემა მომეხსნა და მეც მიადვილდება მოძრაობა. გირავნობის გარიგებაც თავისთავად, საკმაოდ მომგებიანია: შეგიძლია ერთი წელი იცხოვრო, ფული დაიბრუნო და მერე სხვაგან იგირაო. ასე მოგზაურობ და შეიძლება თბილისის ყველა უბანსაც კი გაეცნო... მშვენიერი ფორმაა.

— როგორც პარტიის თავმჯდომარეს, ხელფასი თუ გაქვთ დანიშნული?

– პარტია მიხდის მანქანის მომსახურების თანხას, მობილური ტელეფონის გადასახადს და 200 ლარამდე მაქვს კიდევ პარტიიდან შემოსავალი. ჩემი მეუღლე არ მუშაობს. ბავშვები I და II კლასებში სწავლობენ, დიდი მოთხოვნილებებით არ გამოირჩევიან. ასე რომ, ეს თანხა გვყოფნის.

— ბატონო შალვა, მოდით, სტრასბურგის სასამართლოში თქვენი სარჩელის საქმეს დავუბრუნდეთ. რა მდგომარეობაა ამჟამად?

– ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოს აქამდე არასოდეს უღიარებია მხარედ რომელიმე პარტია და არ მიუღია მისი აპელაცია. ამჟამად ჩვენ მიერ შეტანილ სარჩელს გავლილი აქვს წინასწარი აპელაციები და დღე-დღეზე ველოდებით საქმის არსებითად განხილვის დაწყებას. ეს ალბათ ამ წლის პირველ ნახევარში მოხდება.

— რეალურად, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ სასამართლოს?

– ჩვენ აპელაციით არ მოვითხოვთ, აუცილებლად პარლამენტში „წამოსკუპებას“. იქ ჩვენ კონკრეტულად გვაქვს ჩამოყალიბებული, რა გვინდა. პირველი: აღიარებულ იქნას, რომ ლეიბორისტულმა პარტიამ 7%-იანი ბარიერი გადალახა და ეს დადასტურდეს, რაზეც ჩვენ წარდგენილი

გვაქვს შესაბამისი საბუთები. მილოშევიჩი დაამხეს 50.000 ხმის გაყალბებისთვის. მეტი კი ვერ გააყალბა იმ საწყალმა. ამერიკაში პრეზიდენტის ბედი 236 ხმამ გადაწყვიტა. ჩვენ კი 100.000 ხმის გაყალბების დოკუმენტები გვაქვს ჩატანილი; მეორე: აღიარებულ იქნას, რომ ჩვენი საარჩევნო კანონმდებლობა ეწინააღმდეგება ევროპის კონვენციებს ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის თვალსაზრისით; მესამე: მიეცეს რეკომენდაცია საქართველოს ხელისუფლებას, ჩაატაროს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რადგან ეს პარლამენტი ჩვენს ქვეყანას საბოლოოდ გაანადგურებს; მეოთხე: ფულადი კომპენსაცია დაეკისროს საქართველოს ხელისუფლებას, ჩადენილი დარღვევისათვის, ლეიბორისტული პარტიის სასარგებლოდ – 10 მლნ დოლარის ოდენობით. სხვათა შორის, ამ ცოტა ხნის წინ სტრასბურგის სასამართლომ საფრანგეთის მთავრობა 30 მლნ ფრანკით დააჯარიმა... იმ 10 მლნ დოლარს ჩვენ გადავრიცხავთ რეანიმაციების ქსელში და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეს დაწესებულებები უზრუნველყოფილნი იქნებიან.

— ბატონო შალვა, თქვენ ჯერ 10 მლნ მოსაგები გაქვთ. და საერთოდ, როგორ ვარაუდობთ — ყველა თქვენს მოთხოვნას დააკმაყოფილებს სტრასბურგის სასამართლო?

– ყველაზე უფრო რეალური და სასურველია, შესრულდეს ჩვენი მოთხოვნის მეორე პუნქტი, რაც საარჩევნო კანონის ცვლილებას შეეხება. ეს ცვლილება, ევროპის მეთვალყურეობით, ნამდვილად დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღების საშუალებას მოგვცემს, რომლის შემდეგაც ხელისუფლებაში ჭეშმარიტად ხალხის არჩეული პიროვნებები მოვლენ. მოკლედ რომ გითხრათ, ჩამოთვლილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთიც რომ აღიარონ, ეს იქნება ამ ხელისუფლების იურიდიული აღსასრულის დასაწყისი.

— და თქვენ აბსოლუტურად არ გეშინიათ, რომ თუ სტრასბურგის სასამართლომ არც ერთი თქვენი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, ეს შეიძლება „ზამთრის“ დადგომას მოასწავებდეს?

– ჩვენი მოთხოვნებიდან არც ერთი რომ არ აღიარონ, ეს გამორიცხულია. მარტო ის ფირი რად ღირს, რომელზეც აღბეჭდილია, როგორ სძინავს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს ჩვენი არჩელის განხილვისას! ეს ფირი რომ ბანგლადეშში ჩაიტანო, იქაური მოსამართლე გაგვამართლებს, არათუ სტრასბურგის.

იქ არის მეორე საფრთხე, რომელზეც პირველად თქვენთან ვიტყვი: არ ჩათვალონ ეს საკითხი პრობლემად, რომელიც სტრასბურგის სასამართლოს არ ექვემდებარება, ანუ არ თქვან, რომ საარჩევნო დავა არ არის სამოქალაქო სამართალდარღვევის საკითხი. ასეთი პრეცედენტი აქადე არ ყოფილა, მაგრამ იმ სასამართლოში ახალ-ახალი პრეცედენტები ყოველდღე ხდება და ვფიქრობ, ჩვენს შემთხვევაშიც ასე იქნება.

— სტრასბურგის სასამართლოში თქვენი განცხადება, თუ არ ვცდები, ფრიდონ ინჯიამ წაიღო. დღეს თუ გაქვთ მასთან ურთიერთობა?

– მართალია – ჩვენი პირველადი განცხადება სტრასბურგში ფრიდონ ინჯიამ წაიღო. ის ალბათ ერთადერთი კაცია მთელ დედამიწაზე, რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, მოიგო, მოგების დამადასტურებელი დოკუმენტები დაწვა, მერე საზღვარგარეთ გაიქცა, იქიდანაც მიიღო მონაწილეობა არჩევნებში და კიდევ ერთხელ მოიგო. ის დღესაც ლეიბორისტული პარტიის წევრია.

— ესაუბრებით თუ არა მას ხშირად და თუ იცით, ნამდვილად აპირებს თუ არა საქართველოში დაბრუნებას?

– ორიოდე კვირის წინ ვესაუბრე. ბუნებრივია, თვითონ მირეკავს ხოლმე და ყველაფერზე გვიწევს საუბარი. ჩემი ბოლო ინფორმაციით, საქართველოში დაბრუნებას აპირებს.

— ბატონო შალვა, თქვენ დასავლეთის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ქვეყნების თანადგომის იმედი გაქვთ, მიგაჩნიათ, რომ ძალიან ბევრი რამ მათგან გვაქვს სასწავლი და გადმოსაღები. ასეთი მიბაძვით, ცოტა ხნის წინ, თბილისში სექს-მაღაზია (ე.წ. სექს-შოპი) გაიხსნა. ნამყოფი თუ ხართ იქ?

– არა, სხვათა შორის, არა (სიცილი აუვარდა – ავტ.). იქიდან გამოსული რომ დამინახოს ვინმემ, მაშინვე იტყვიან – რაღაც უჭირსო... ზუსტად არ მახსოვს, რომელი წელი იყო – 1993 თუ 1994 – რუსთაველზე მსგავსი მაღაზია გაიხსნა, რომელიც სულ მოკლე ხანში, სახელმწიფოს მაკონტროლებელმა ორგანომ დაარბია. ჩემთან ტელევიზიის მე-2 არხის ჟურნალისტი მოვიდა და ინტერვიუ მთხოვა. მე ვიცოდი, რომ ასეთი მაღაზია გაიხსნა, მაგრამ მისი „დარბევის“ შესახებ არაფერი გამიგია. ჩემი მოსაზრების გამოთქმა მთხოვეს. მეც ვთქვი, რომ ასეთი მაღაზიები ევროპაშიც არსებობს და იქ, „შესაბამისი“ პრობლემებით შეწუხებული ადამიანები დადიან. მოკლედ თავისუფალი აზრი გამოვხატე, მაგრამ მთავარი ის არის, რომ საღამოს ვუყურებ: აჩვენებენ მაღაზიის „ექსპონატებს“ გადიდებული ხედით და იქვე, უცებ – ჩემს გაბადრულ-გაბრწყინებულ სახეს, თანაც დემოკრატიისა და თავისუფლების დამცველ სიტყვებს ვლაპარაკობ. კინაღამ ოჯახიდან გამაგდეს... ეს მაღაზია ბევრს არაფერს ნიშნავს, ეს არ არის ქვეყნის ნგრევა.

— რა შემთხვევაში შეიძლება იმ მაღაზიაში შევიდეს შალვა ნათელაშვილი?

– სექს-შოპს შალვა ნათელაშვილი შეიძლება მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში ეწვიოს – თუ ამას პარტიის აქტივი დაადგენს (იცინის – ავტ.).

— ბატონო შალვა, როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს მომავალი, როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეს?

– ვფიქრობ, ათი წლის შემდეგ ჩვენ, დაახლოებით, დღევანდელი ბულგარეთის დონეზე ვიქნებით, ანუ შეიქმნება საშუალო ფენა. მე ამწუთას ვსაუბრობ, როგორც ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქე და მგონია, – ეს ხელისუფლება რომ წავა, ბოლოს და ბოლოს, მართლა ხალხზე მზრუნველი ადამიანები მოვლენ ქვეყნის სათავეში და ცხოვრებისათვის აუცილებელ ოთხ პირობას შექმნიან: საარსებო მინიმუმი, სამუშაო ადგილები, უფასო ჯანდაცვა და უფასო საშუალო განათლება.

■

პროკურატურა იჭერს, სასამართლო უშვებს...
ანუ საოლქო სასამართლო გენპროკურატურას «აბითურებს»?


დავით
სულაქველიძე

არცთუ ისე დიდი ხნის წინ თუ პროკურატურის მხრიდან თავისუფლებააღკვეთილი მოქალაქის სასჯელის მოხდამდე გათავისუფლება წარმოუდგენელი იყო, დღევანდელ ჩვენს საზოგადოებაში, უკვე კარგა ხანია მოქმედებს პრინციპი: „პროკურატურა იჭერს, სასამართლო ათავისუფლებს“.

ამის მიზეზად ექსპერტები პროკურატურის არაპროფესიონალიზმს, საქმისადმი ზერელე მიდგომას, კორუფციას და, თქვენ წარმოიდგინეთ, იმასაც კი ასახელებენ, რომ ხშირად პროკურატურაში სუსტი მტკიცებულებების შეგროვება შეგნებულად ხდება, რათა სასამართლო იძულებული გახდეს, დამნაშავე შინ გაუშვას და „ღლავებზე გასვლა“ არ მოხდეს.

საქართველოს
პროკურატურა

მარინა მამისაშვილი

მას შემდეგ, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა გამოაცხადა და კონტროლის პალატამ არაერთი მასალა გადაუგზავნა პროკურატურას, ეს პრობლემა უკვე აშკარად გამოიკვეთა. ბრალდებულთა უმრავლესობა სასამართლომ ან საერთოდ გაათავისუფლა, ან კიდევ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, შინ გაუშვა.

თავისთავად ჩნდება კითხვა: ვინ არის დამნაშავე — სასამართლო თუ პროკურატურა. პარლამენტის იურიდიული ქვეკომიტეტის თავმჯდომარის, ზურაბ ადეიშვილის განცხადებით, რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ პროკურატურა განზრახ არაკვალიფიციურად იძიებს საქმეებს, რაც, შესაძლოა, სასამართლოს დისკრედიტაციის მიზნით კეთდებოდეს.

ერთი რამ ცხადია, რომ დღეს უკვე სასამართლოს და პროკურატურის იმიჯი თანდათან ნულს უტოლდება და ჩვენი საზოგადოებისთვის ამ ორი სისტემის ობიექტურობა სულ უფრო ნაკლებად დამაჯერებელი ხდება. გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა განყოფილების უფროსის, ზურაბ ცინცაძის თქმით, გამალებული ბრძოლა მიმდინარეობს პროკურატურის წინააღმდეგ, რათა ბაბილაშვილი არავითარ შემთხვევაში აღარ იყოს გენერალური პროკურორი.

თუმცა, როდესაც საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს, დავით სულაქველიძეს ვესაუბრეთ, მან განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა და პროკურატურა არაპროფესიონალურ უწყებად წარმოადგინა:

დღეს უკვე სასამართლოს და პროკურატურის იმიჯი თანდათან ნულს უტოლდება და სულ უფრო ნაკლებად დამაჯერებელი ხდება.

— ბატონო დავით, რით ახსნით ბოლო პერიოდში ჩვენში დამკვიდრებულ ტენდენციას, რომ პროკურატურა იჭერს, სასამართლო ათავისუფლებს?

— თქვენ ალბათ მხედველობაში გაქვთ ბოლო პერიოდის გახმაურებული ფაქტები, როდესაც პროკურატურამ დააკავა რამდენიმე პიროვნება და საოლქო სასამართლომ მათ არ შეუფარდა აღმკვეთი ღონისძიება. კანონის მიხედვით, იმისათვის, რომ აღმკვეთი ღონისძიება შენარჩუნებულ იქნას, დაცული უნდა იყოს ფორმალური (დაკავების და მტკიცებულების მიღების) და ფაქტობრივი (მტკიცებულება უნდა იდოს საქმეში) მხარე. აუცილებელია ამ ორი პირობის ერთდროული არსებობა. თუ რომელიმე ეს პირობა დარღვეულია, სასამართლო იძულებულია, არათუ შეცვალოს აღმკვეთი ღონისძიება, არამედ გააუქმოს კიდეც. აკვიატებული სურვილი, რომ დამნაშავე გარეთ გაუშვას, არავის აქვს.

— ბატონო დავით, განა პროკურატურამ არ იცის, რომ თუ ფორმალური ან ფაქტობრივი მხარე დარღვეულია, სასამართლო მას გაათავისუფლებს? როგორ ფიქრობთ, ეს პროკურატურის არაპროფესიონალიზმს უნდა მივაწეროთ თუ მიზანმიმართულ ქმედებას?

— როგორც საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე, კონკრეტულ პიროვნებას ან საქმეს ვერ დავასახელებ, მაგრამ ვაცხადებ, თუ

ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.

შოთა რუსთაველი

სულიერი სიკეთის შექმნა შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც საარსებო წყაროებით უზრუნველყოფილნი არიან.

დემოკრიტე

ბოროტის ნაბოძებისგან სიკეთეს ნურას მოელი.

ევრიპიდე

არასოდეს მისცე რჩევა მას, ვინც მხოლოდ ფულებს ითხოვს.

კალდერონ დე ლა ბარკა

პირფერობით სულელებს იჭერენ.

მარტინ ანდერსენ-ნექსე

რწმენა ისე დიდი უნდა იყოს, რომ კაცი უყოყმანოდ შეცურდეს ზღვაში, თუ ნავი არ გააჩნია.

თომას მაინ რიდი

თუ არ ეყო ვინმეს ძალა, ისიც არის ქების ღირსი:

თუ მიზანი დიადია, მისწრაფებაც არის დიდი.

პროპერციუსი

დრო და მოქცევა არასოდეს არ გველოდებიან.

ვალტერ სკოტი

აღზრდა ძნელი რამ არის. გგონია, მოვრჩიო და — ახლა იწყება!

მიხაილ ლერმონტოვი

ხარსა და ლომს სანაქებო მეგობრობა ჰქონდათ მუდამ,

მაგრამ ერთურს გადაჰკიდა მაბეზღარმა, ხარბმა ტურამ.

პანჩატანტრა

სხვა გახმაურებული საქმეებიც იმავე სახით შემოვა, როგორითაც დღემდე ბევრია შემოსული, არავის არ დავაპატიმრებთ.

პიროვნება შეიძლება იყოს დამნაშავე, მაგრამ თუ მტკიცებულება არ არის, მისი დაპატიმრების უფლება არ გვაქვს.

გენერალური პროკურატურის მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი ზურაბ ცინცაძე განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებს და საოლქო სასამართლოს არაობიექტურობასა და პოლიტიზირებაში სდებს ბრალს: მოახლოებულია გენერალური პროკურორის საკონსტიტუციო ვადის გასვლის დღე. გენპროკურორის სკამი გარკვეული პოლიტიკური ძალების მიზნის მისაღწევი საშუალება გახდა და ამ თანამდებობაზე ძალიან დიდი ფსონია დადებული. გამალებული ბრძოლა მიმდინარეობს იმისთვის, რომ არავითარ შემთხვევაში არ დარჩეს ამ თანამდებობაზე ბაბილაშვილი.

— კონკრეტულად ხომ არ დააზუსტებდით, ვისი მხრიდან არის პოლიტიზებული სასამართლო?

— იმ ძალების მხრიდან, ვისთვისაც მიუღებელია პროკურატურის ასეთი ნაბიჯები, ეს ძალები კი ისინი არიან, ვისაც უბრალოდ სურს კორუფციაზე საუბარი, მაგრამ საქმის კეთება არ უნდა.

— არსებობს ასეთი მოსაზრება: პროკურატურა ღლავებზე რომ არ გავიდეს, შეგნებულად სუსტ მტკიცებულებებს წარმოადგენს და სასამართლო იძულებული ხდება, ეს ხალხი დარბაზიდან გაუშვას, მიუხედავად იმისა, რომ თვით სასამართლომაც იცის, რომ ეს ხალხი დამნაშავეა...

— მაშინ ვილაპარაკოთ ფაქტებით. დაასახელონ ერთი კონკრეტული საქმე, რომელშიც არ იყო მტკიცებულებები. ჩვენ როდესაც დაპატიმრებას მოვითხოვთ, ყოველთვის წარმოდგენილია რამდენიმე ეპიზოდი იმ კონდიციამდე, რომ დაპატიმრება კი არა, ამ მტკიცებულებების საფუძველზე განაჩენის გამოტანაც კი შეიძლება. ყველა შემთხვევაშია წარმოდგენილი კონტროლის პალატის აქტი, სადაც დაფიქსირებულია სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალი. არის სპეციალისტების დასკვნები და სასამართლო ყველაფერს უგულებელყოფს. რას ჰქვია, მტკიცებულებები არ არის! იმავე სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, დიდბარიძის შემთხვევაში ყველა ფურცელი მტკიცებულება იყო. სხვათა შორის, როდესაც დიდბარიძე და კაკაშვილი დავკითხეთ, მათაც ვერ უარყვეს ეს ყველაფერი. ვიღაცები ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ პროკურატურა ფორსირებული ტემპებით ცდილობს მხოლოდ ომის ილუზიის შექმნას, რომ კორუფციას ებრძვის.

— როდესაც პარლამენტში ჯავახიშვილისა და ინჯიას მიმართ დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნის საკითხი დააყენეთ, პარლამენტმა არ დაგიჭირათ მხარი. პარლამენტში რატომ არ გაქვთ ავტორიტეტი?

— დღეს პარლამენტში სხვადასხვა ძალა წარმოდგენილი და მათ თავიანთი კერძო ინტერესები აქვთ. ჩვენ კიდევ რამდენიმე დეპუტატის — იმავე კოტე კემულარიას, გიორგი კოხრეიძის მიმართ დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნას მოვითხოვთ... ისინი ხედავენ, რომ თუ გენერალურ პროკურატურას სასწრაფოდ არ ამოსდეს ლაგამი, მათი დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება სააშკარაოზე იქნას გამოტანილი. ამიტომ ახდენენ პროკურატურის დისკრედიტაციას.

— გინდათ თქვათ, რომ პროკურატურა ყოველთვის მყარ მტკიცებულებებს წარმოადგენს?

— სხვაგვარი ქმედება ჩვენ თავად არ გვაძლევს ხელს. როცა მტკიცებულებები არ არის, რა აზრი აქვს სასამართლოში საქმის გაგზავნას?! გაბითურდები და ხმა არ გექნება ამოსაღები... ■

თენგიზ გზირიშვილი საერთაშორისო კონფერენციაზე

კლიმატის გლობალური ცვლილება დღეს, მეცნიერებთან ერთად, ეკონომისტებსა და პოლიტოლოგებსაც უჩენს თავსატეხს. წიაღისეული გაზის, ნავთობისა და ქვანახშირის წვით გამოყოფილი გაზები სათბურის ეფექტს ქმნიან და ატმოსფეროში თანდათან ავიწროებენ ოზონის ფენას. ამის შედეგად მომატებული ულტრაიისფერი გამოსხივებით, დედამიწაზე უამრავი დაავადება გაჩნდება. გლობალური დათბობა ტყის მასივების განადგურებას გამოიწვევს, ოკეანეებში წყლის დონე 50-100 სმ-ით აიწევს, რის გამოც, ხმელეთის დიდი ნაწილი წყლით დაიფარება უახლოესი 50 წლის განმავლობაში.

კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ პრობლემათა მოსაგვარებელი გზების ძიება, კარგა ხანია, მსოფლიოს უსაფრთხოების დაცვის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად იქცა. რამ შეიძლება გადაარჩინოს დედამიწა მარსზე არსებული მდგომარეობის გამეორებისაგან, სადაც დღისით ძალიან ცხელა, ღამით კი — 35 გრადუსი ყინვაა?

გვესაუბრება საქართველოში გაეროს კლიმატის გლობალური ცვლილების სააგენტოს ხელმძღვანელი თენგიზ გზირიშვილი.

საქართველოს დაჩქარებული განვითარების შანსი ეძლევა

ეკა ლომიძე

— ეკოლოგიური ცვლილებები განგაშის სრულ საფუძველს იძლევა, მაგრამ ქარხნები საწვავად გაზს, ქვანახშირსა და ნავთობს იყენებენ და შეუძლებელია მრეწველობის სრული შეჩერება, არადა, საჭიროა სათბური გაზების ემისიის შემცირება. 1997 წელს კიოტოში გამართული სპეციალური კონფერენციის მონაწილე ქვეყნებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ ენერგეტიკული სტრატეგიის განვითარება მსოფლიო კლიმატის დაცვის ქვაკუთხედად უნდა იქცეს. კერძოდ, შესაძლებელი უნდა გახდეს ენერგეტიკის დარგში ბუნებრივი წყაროების გამოყენება. ეს არის წყლის, მზის, ქარის, ზღვის ენერგიები და გეოთერმული წყლები. საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებით, ამ მიმართულებით გარემოსადმი „კეთილგანწყობილი" ეკონომიკური პროექტებისათვის პირველ რიგში გასცემენ ინვესტიციებს.



— ეი. შესაძლოა, ენერგეტიკული კრიზისისგან ახლო მომავალში საბოლოოდ დავაღწიოთ თავი? ჩვენთან ხომ განახლებადი ენერგორესურსების ნაკლებობა ნამდვილად არ იგრძნობა.

— რა თქმა უნდა, საქართველოს ამ მხრივ, დიდი პოტენციალი აქვს. სხვათა შორის, კიოტოს კონფერენციაზე განვითარებად და სხვა ქვეყნებში მავნე აირებით ატმოსფეროს დაბინძურების აღმოსაფხვრელად სპეციალური კვოტების შემოღების თაობაზეც იმსჯელეს. იცით, ჩვენ რა შეგვიძლია? ჩვენს კუთვნილ კვოტას გავყიდით საერთაშორისო ბაზარზე, რომელიმე ფირმა ან ქვეყანა გადაგვიხდის უზარმაზარ თანხას, რომლითაც შევძლებთ ახალი ტექნოლოგიების შემოზიდვას, ავაშენებთ ახალ ჰიდროენერგეტიკულ, ქარის ან მზის ენერგიის სადგურებს და ერთბაშად ორ კურდღელს დავიჭერთ: ჩვენს წვლილსაც შევიტანთ სათბური გაზების ემისიის შემცირებაში და ქვეყნის ენერგეტიკულ პრობლემასაც მოვაგვარებთ. საქართველოს ენერგოსისტემებში შეჭმული უზარმაზარი თანხები რომ ამ საქმეს მოხმარებოდა, ახლა ჩვენი ქვეყნის შინაენერგობაზარსაც დავაკმაყოფილებდით და ექსპორტზეც ვიმუშავებდით. მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, რომ საერთაშორისო ინვესტიციების და სხვადასხვა დახმარების შედეგად, შევძლოთ ეკონომიკური და გარემოს დაცვითი პრობლემების მოგვარება. მსოფლიოს გლობალური გარემოს დაცვის საერთაშორისო ფონდის ხელშეწყობით უკვე ხდება ენერგორესურსების ათვისების ხელის შემშლელი ბარიერების დადგენა, რათა საქართველოში განახლებადი ენერგორესურსების აქტიური ათვისება მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში ფაქტობრივად შეჩერებული წარმოების მიუხედავად, საქართველო მხრჩოლავი კვამლით სავსე ღუმელს დაემსგავსება. უნდა შეწყდეს ჩვენთან არსებული დაბალი ხარისხის ქვანახშირის ამოღება. ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რა უფრო საჭიროა — საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად კლიმატის გლობალური დაცვის საქმეში თანამშრომლობა, თუ მოძველებული ტექნოლოგიებით ჩვენი ისედაც განადგურებული ეკონომიკის სამუდამოდ დასამარება.

— როგორც ცნობილია, 2000



წლის ნოემბერში ჰაიაგაში დაგეგმილ საგანგებო შეხვედრაზე, სადაც კვოტების საკითხი უნდა დარეგულირებულიყო, მონაწილე მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხდა. რატომ?

— შეიძლება ითქვას, რომ ეს ამერიკელების გამო მოხდა. სწორედ მათი მიზეზით ვერ მოხერხდა სახელმძღვანელო დოკუმენტების მიღება. 2010 წლისთვის დაახლოებით 5%-ით უნდა შემცირდეს ატმოსფეროში სათბური გაზების ემისია. ამერიკელებმა ვალდებულების შესრულების იაფი და იოლი გზა არჩიეს — მავნე ნივთიერებების შთანთქმის რეზერვუარების — ტყეების გაშენება და კვოტებით ვაჭრობა. რაც, სულაც არ გამორიცხავს ატმოსფეროს შემდგომ დაბინძურებას. ამერიკა უარს ამბობს არაგანახლებადი წიაღისეულის მოხმარების შეზღუდვაზე, ამ გამოსვლას ევროსაბჭოს წევრი ქვეყნები დაუპირისპირდნენ, რადგანაც ევროპაში, მიწის ნაკლებობის გამო, შეუძლებელია დიდი მასშტაბებით ტყეების განაშენიანება. კონფერენციაზე „შავი ოქროს“ გაყიდვის შესაძლო შეზღუდვამ, გვარიანად შეაშფოთა ნავთობმომპოვებელი სახელმწიფოებიც. ჩინეთმა და სხვა განვითარებადმა ქვეყნებმა კი საერთაშორისო დახმარებები მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების განვითარებისათვის მოითხოვეს.

— **როგორც ჩანს, ამ ურთულეს სიტუაციაში საქართველოს მართლაც სახარბიელო მდგომარეობა აქვს.**

— მარტო ენერგორესურსების იმედად ვერ ვიქნებით. სამიოდე წლის წინ, პაატა შევარდნაძემ ასპინძაში მზის ენერგიის გამოყენების გენიალური პროექტი წარმოადგინა, მაგრამ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ყოფილმა და ახლანდელმა ხელმძღვანელებმა ყური არ შეიბერტყეს. ჩვენთან, სამწუხაროდ, რაც გვაქვს, იმასაც კი არ ვუვლით, სათბური გაზების მშთანთქავ ბუნებრივ რეზერვუარს — ჩვენს სიმდიდრეს — ტყეებსაც კი ვჩეხთ. რასაც შედეგად, ნიადაგქვეშა წყლების დაშრობა, ეროზია და გვალვა მოჰყვება.

— **... რომელმაც მნიშვნელოვნად დაგვაზარალა შარშან.**

— ... და, რაც უნდა განგვესაზღვრა შარშანწინ. წარმოიდგინეთ, 2001 წელი უფრო მძიმე იქნება: ასეთი მშრალი ზამთარი ამჯერადაც მომავალი გვალვის მანიშნებელია. თუმცა, ჩვენ რომ საირიგაციო-სარწყავი სისტემები მოწესრიგებული გვქონდეს, ვერც გვალვა დაგვაკლებდა რამეს. სამწუხაროდ, ეს სავალალო მდგომარეობაც იმის ბრალია, რომ საირიგაციო სისტემების აღდგენისათვის გამოყოფილი კრედიტით ჩვენმა ხელისუფლებამ ამერიკული სოიის ზეთი იყიდა, რომელიც არავის არ სჭირდებოდა, ახლაც არავინ არ ემზადება მოსალოდნელი პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

— **სულ ახლახან საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა იმის შესახებ, რომ ჰავის გლობალური დათბობა მსოფლიოს ყოველწლიურად 300 მლრდ დოლარის ფასად დაუჯდება, უახლოესი 50 წლის განმავლობაში, თუ სასწრაფოდ არ იქნება მიღებული ზომები ატმოსფეროში ისეთი გაზების ამოფრქვევის წინააღმდეგ, როგორიც ნახშირორჟანგია. გაეროში გაკეთებული მოხსენებების თანახმად, ჰაერის ტემპერატურა, საშუალოდ, 6 გრადუსით აიწევს, როგორ მიგაჩნიათ, დამაფიქრებელი იქნება ეს ჩვენი ხელისუფლებისთვის? ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება საკუთარი პრობლემების გამო, არავინ არაფერი აღარ გვიწილადოს! მაშინ ხომ მართლა შიმშილობად შემოგვიბრუნდება მოსალოდნელი გვალვა.**

— ჩვენი ქვეყნისათვის დახმარებების შეწყვეტა შეშფოთების საბაბს ნამდვილად იძლევა. გეოგრაფიული და ბუნებრივი მდებარეობის გამო, ბევრ ქვეყანას ჩვენზე სავალალო მდგომარეობა აქვს, მაგრამ დროულად ახერხებენ პრობლემების ლოკალიზებას და საერთაშორისო ორგანიზაციების მეტ ყურადღებასაც იმსახურებენ. აქ კი, ჩვენს საგენტოსაც უჭირს მუშაობა. ქვეყნის შესაბამის ორგანოებს ეკონომიკური განვითარების მწყობრი პროგრამა არ გააჩნიათ, რის გამოც, შეუძლებელი ხდება ქვეყნის მომზადება ინვესტირების ახალი პროექტების მისაღებად. კლიმატის ცვლილება მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსახლეობის მზარდი რიცხვის პროდუქციით დაკმაყოფილების პრობლემასთან. შესაძლოა, ბუნებრივმა კატაკლიზმებმა სრული არეულობა გამოიწვიოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებაში და წყლის რესურსების განაწილების საკითხში. ამ მხრივ, ჩვენ ნამდვილად სახარბიელო მდგომარეობა გვაქვს, მაშინ როცა მთელ მსოფლიოს სასმელი წყლის პრობლემა აწუხებს, ჩვენ უყაირათოდ ვღვრით ამ სიმდიდრეს და მის დამცავ ტყეებს ვჩეხთ. სამეურნეო ნიადაგების შემადგენლობა ახლა კი გვაძლევს ხარისხიან საკვებ პროდუქტებს, მაგრამ ხანგრძლივი გვალვების შემთხვევაში, ჩვენც მოგვიწევს გვალვაგამძლე ჯიშის სასოფლო-სამეურნეო მცენარეების გამოყვანაზე ზრუნვა, ჩვენთან კატასტროფული მდგომარეობაა ზღვის სანაპიროზე. რიონის დელტის რაიონში ხმელეთი თანდათან იძირება ზღვაში. 1900 წლიდან 27 სანტიმეტრით აიწია წყლის დონემ, ამჟამად ეს პროცესი უფრო აქტიურად მიმდინარეობს. ამ ტერიტორიებზე კი უამრავი მშენებლობაა და არავის აინტერესებს, რა მოხდება ხვალ. ეს უგულისყურობა ძვირად დაუჯდებათ მომავალში. მაგრამ თუ „ზოგი ჭირი მარგებელიას“ პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგად, საქართველოს, დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების საუცხოო შანსი ეძლევა და მხოლოდ მონდომება და ხელისუფლების ნებაა საჭირო, რომ ეს შანსი ჯეროვნად გამოვიყენოთ. ■

რა არის ძალადობა?

– როდესაც ადამიანები ერთმანეთს სცემენ ან შეურაცხყოფენ?

– როდესაც ერთმანეთს უბრალოდ, რაიმეს აიძულებენ?

– ეგებ, ელემენტარული ოჯახური უთანხმოება ან, თუნდაც, ბავშვის დატუქსვაც უკვე ძალადობას ნიშნავს?

ამ შეკითხვებს ერთი უმარტივესი პასუხი აქვს: სამყაროს შექმნიდან დღემდე, ადამიანს ვერ (ან არ) გაურკვევია კონკრეტული ზღვარი ძალადობასა და წესრიგის დამყარებას შორის. ცდუნება კი, დამეთანხმებით, ძალიან დიდია: ძალის გამოყენებით და წესრიგის დამყარების მოტივით, საკმაოდ იოლია პოზიციების გამყარება ოჯახშიც, ქუჩასა და სახელმწიფოშიც. თანაც ისე, რომ სინამდვილეში, ძალადობის მოყვარული, წესრიგის მოყვარულად მოინათლება – წესრიგის მოტივით, დიქტატურა ხშირად, ქვეყანაშიც მყარდება ხოლმე და ოჯახშიც, ქუჩაშიც, სკოლის კლასშიც, ინსტიტუტის აუდიტორიაშიც და, ბუნებრივია, უბანშიც... წესრიგის გარეშე დემოკრატია სრულ ანარქიას და განუკითხაობას იწვევს – ამით ხშირად სარგებლობენ ძალმომრეობისკენ მიდრეკილი ადამიანები და გარშემომყოფთ – და-ძმას, თანაკლასელს, ცოლსა თუ, უბრალოდ, მეზობელს თავიანთ ნება-სურვილზე სიარულს აიძულებენ. ასე ერთიანდება (თუ ივივდება) წესრიგი და ძალა და... კვლავ უწყვეტ ჯაჭვში ვექცევით – ვუბრუნდებით შესავალში დასმულ შეკითხვას: სად არის ზღვარი ძალადობასა და წესრიგს შორის?

ცხადია, ეს კითხვა უადგილოა ე.წ. „კლასიკური“ მოძალადის – მძარცველის და ყაჩაღის შემთხვევაში, როცა დანაშაული არანაირ ეჭვს არ იწვევს. სამწუხაროდ, არც ბოროტმოქმედთა სიმცირეს „ვუჩივით“ და არც სისასტიკის ნაკლებობას. და, თუმცა ხელისუფლება ხშირად იწონებს თავს იმით, რომ ჩვენში სტაბილურობა დამყარდა და ქუჩებში ათასი ჯურის ავტომატიანი კაცი აღარ დარბის, ყოველდღე და ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვესმის – გაძარცვეს, სცემეს, მოკლეს... სწორედ პრობლემის სიმწვავემ განაპირობა „გზის“ ამ ნომრის მთავარ თემად ძალადობის შერჩევა.

მკითხველს ხანგრძლივი მსჯელობით არ დავღლით – ჩვენ, უბრალოდ, სხვადასხვა სფეროში არსებულ, აღნიშნულ პრობლემებზე მოგითხრობთ – დასკვნა კი თქვენთვის მოგვინდვია... ■





სახელმწიფოს სოციალური თუ კულტურული დონე ყველაზე ნათლად მის ქუჩებში აისახება. ასე, მაგალითად, ბანგლადეშის ან სიერა-ლეონეს ქუჩებში სეირნობისას, იოლი შესაძლებელია, რელიგიური თუ პოლიტიკური გარჩევის მსხვერპლი გახდეთ. თანაც, ყველაზე საშინელი მეთოდებით გაგისწორდებიან. ამასთან, ოპონენტს მხოლოდ დასტური არ აკმაყოფილებს — ამა თუ იმ რელიგიის ან პოლიტიკური ჯგუფის უპირატესობა, მისთვის სასურველი მსჯელობითაც უნდა დაამტკიცოთ, თუ არა და, უბრალოდ, თავს მოგჭრიან (ყოველგვარი დეზინფექციისა და ნარკოზის გარეშე).

ვინ და რით გვაშინებს ქუჩაში

დაჩი გრძელიშვილი

ქაბულის ქუჩებში მოკლე გადარბენებით ან ხოხვით უნდა „ისეირნოთ“ – და მაინც, დიდი საშიშროებაა, რომ რეაქტიული ჭურვის აფეთქებამ შეგიწიროთ. დასავლეთ ევროპაში ამ მხრივ, ბევრად უკეთესი ვითარებაა, მაგრამ ლონდონში ან მადრიდში მოხვედრილებს, მაინც სიფრთხილეს ვურჩევთ: შესაძლოა, ირლანდიური არმიის, ან ბასკი სეპარატისტების ტერაქტმა გიმსხვერპლოთ. თუმცა, აღმოსავლეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, აქ დაზარალებულს აუცილებლად აღმოუჩენენ პირველ (და არა მარტო პირველ) სამედიცინო დახმარებას. ათენსა და პარიზში ტერაქტები იშვიათად ხდება, მაგრამ იქ მოხვედრილმა ტურისტმა აუცილებლად უნდა იქონიოს ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარი, რათა კონკრეტული მატჩის დღეს, კონკრეტული გუნდის ფერის ტანსაცმელი არ ჩაიცვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი გუნდის ფერიც რომ დაემთხვეს, მეორე გუნდის გულშემატკივრებს ვერ გადაურჩება და, რბილად რომ ვთქვათ, გაილახება...

რა ხდება ამ მხრივ თბილისის ქუჩებში?

... ზამთარია. ახალი შებინდებული. შინ მიმავალი მოქალაქეები, შეძლებისდაგვარად, სწრაფად მიაბიჯებენ. ქვეყანაში ენერგეტიკული კრიზისია და ქუჩის განათება აქ დიდი ხანია, პრაქტიკულად, არ არსებობს. ზოგს ფარანი აქვს მომარჯვებული, ზოგსაც, უბრალოდ, სანთელი ან ასანთი. დაგვიანებული მგზავრები დროდადრო უკან იყურებიან და ყოველ ჩქამზე ფრთხებიან – თითქოს დედაქალაქის ქუჩაში კი არა, „კუდიგორის“ ტყეში იმყოფებოდნენ და ყოველ წუთას არა მხოლოდ კაკო ყაჩაღის, არამედ ათასი ჯურის მტაცებელი ცხოველისა თუ მანიაკის თავდასხმა იყოს მოსალოდნელი... თუმცა, რატომ, „თითქოს“? გაგაცნობთ დედაქალაქის ერთ-ერთი რაიონის რამდენიმე მცხოვრების მონათხრობს: „საღამოს ათ საათზე, მეტროსადგურთან სიგარეტის საყიდლად ჩასვლა დავაპირე. ჩემი სახლიდან იქამდე სულ 10-ოდე წუთის სავალია. ცოლი კი მიშლიდა – გვიანია უკვე, სადღა მიდიხარ... სამწუხაროდ, არ დავუჯერე, ახლა შესრულდა 10 საათი, ამ უბანში ყველას ვიცნობ და ყველა მცნობს. სირცხვილი არ არის, სიგარეტზე ვერ გავბედო წასვლა-მეთქი?! ჯიხურში სიგარეტი ვიყიდე და შინისკენ წამოვედი. ბნელოდა. ერთ ადგილას ახალგაზრდა კაცი გადამიდგა – ბიძაჩემო, სიგარეტი მომაწევინეო. მერე, ყრუ დარტყმა ვიგრძენი თავის არეში და გონება დავკარგე. კვლავ ტკივილის გრძნობამ გამომფხიზლა – ვიღაცები მძიმე „ბათინკებით“ მცემდნენ – თავში, მუცელში, სახეში... ხელები ავიფარე და კვლავ გონება დავკარგე“.

... რესპონდენტი, ტვინის შერყევის მძიმე ფორმითა და ხერხემლის დაზიანებით, საავადმყოფოში მოხვდა. ექიმებმა ყბა-სახისა და კიდურების მრავალჯერადი მოტეხილობაც დაუდგინეს...

ანალოგიური თავდასხმის მსხვერპლი გახდა მეორე მოქალაქე:

„სამსახურიდან მოვდიოდი. ასე, საღამოს 7-სა და 8 საათს შორის იქნებოდა. საკმაოდ ბნელოდა. სადარბაზოში ასულს, მესამე თუ მეოთხე სართულზე უცნობის ხმა შემომესმა – ერთი, აქეთ მოიწიეო... უცებ თავში რაღაც ჩამარტყეს და გონებაც დავკარგე...“

რესპონდენტი ნეიროქირურგიულ საავადმყოფოში მიიყვანეს, თავის ტვინის დაზიანების უმძიმესი ფორმით. ექიმებმა მხოლოდ რამდენიმესაათიანი, ურთულესი ოპერაციის შემდეგ შეძლეს მისთვის სიცოცხლისა და აზროვნების უნარის შენარჩუნება. არადა, რისი გულისთვის – მძარცველებმა მას ჯიბიდან სულ რამდენიმე ლარი ამოაცალეს...

პირველი შემთხვევიდან თითქმის 1 წელი, მეორედან კი – 6-7 თვე იქნება გასული. საქმეები, რა თქმა უნდა, „ძიებაშია“. მსგავსი ფაქტების რაოდენობა ღღითი ღღე იზრდება

— ქალაქის თითქმის ყველა რაიონში...

როდესაც ბანგლადეშზე, სიერა-ლეონეზე ან ქაბულზეა ლაპარაკი, ჩვენც და იმ ქვეყნების მოქალაქეებმაც კარგად ვიცით, რომ სამოქალაქო ომისთვის მსგავსი შემთხვევები ბუნებრივი მოვლენაა და ასეთ ვითარებაში ჭკუათმყოფელმა კაცმა სეირნობისგან თავი უნდა შეიკავოს...

მაგრამ ჩვენთან ხომ თითქმის ყოველდღე ვუმზერთ ტელეეკრანებზე მოღიმარ გენერლებს — მინისტრი იქნება თუ პოლიციის დაბალჩინოსანი, რომლებიც გამუდმებით გვარწმუნებენ — კრიმინოგენული ვითარება უფრო და უფრო უმჯობესდებაო... დამეთანხმებით, მსგავსი განცხადების შემდეგ, დაყაჩაღებული და ნაცემი კაცისთვის, ძალადობა უფრო მტკივნეული აღსაქმელია, ვიდრე ბანგლადეშში ან სიერა-ლეონეში...

საქართველო იმით არის უნიკალური, რომ მრავალფეროვნებით გამოირჩევა ყველგან და ყველაფერში — ბუნებაში, სიმღერაში, ცეკვაში და, წარმოიდგინეთ, ძალადობაშიც. ამას წინათ, ახლობლის სანახავად ერთ-ერთი საავადმყოფოს სარეანიმაციო განყოფილებაში მომიწია მისვლა (სხვათა შორის, ისიც „ქუჩური ძალადობის“ მსხვერპლი გახდა).

ჩემს იქ ყოფნაში ახალგაზრდა ქალი მოიყვანეს, რომელიც ცუდად გამხდარიყო ქუჩაში, როგორც მისი თანმხლები გოგონასგან გავიგე — მოწამვლის გამო. ექიმებმა ქალს აუცილებელი პროცედურა ჩაუტარეს, მანამდე კი, ოქროულობა შეხსნეს. როგორც თავად განმარტეს, „ვირაოდ“ — სანამ ქალბატონის ნათესავები მოვიდოდნენ და მკურნალობის საფასურს გადაიხდიდნენ. საინტერესოა, რას იზამდნენ, ქალს რომ სამკაულები არ ჰქონოდა? — ღმერთმა დაგვიფაროს ცუდის გაფიქრებისგან...

ძალადობის ერთ-ერთ სახეობას უბრალო მოქალაქეთა და სამართალდამცავთა ურთიერთობა წარმოადგენს. დამეთანხმებით, რომ სამართალდამცავთა მოვალეობა სწორედ მოქალაქეთა ძალადობისგან დაცვაა — ისინი ამაში იღებენ ხელფასს, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ეს ხელფასი ხშირად აგვიანებს, ან სულაც „იყინება“ ხოლმე... პოლიციელებს კი ოჯახები აქვთ შესანახი და უშუალოდ მოსახლეობისგან ცდილობენ ფულის „ამოღებას“...

ამას წინათ, ახლობელთან ერთად ვმგზავრობდი მანქანით. ერთ-ერთ შუქნიშანთან საგზაო პოლიციელმა გაგვაჩერა და ნებისმიერი მძღოლისთვის კარგად ნაცნობი დიალოგი გაიმართა:

— დაარღვიე!

— არ დამირღვევია!

— დაარღვიე!

— არ დამირღვევია!

— მოიტა ხუთი ლარი და გიშვებ!

ოღონდ, ამჯერად ჩემს ახლობელს არც ხუთი ლარი ჰქონდა და რომც ჰქონოდა, არც მისი გადახდის სურვილი აღმოაჩნდა.

ასეთ შემთხვევებში მძღოლები ათასნაირ მოწმობას იშველიებენ ხოლმე. კამათი რომ გამწვავდა და გაწევ-გამოწევაში გადაიზარდა, ჩემმა ახლობელმაც „დააძრო“ მოწმობა. ინსპექტორი არ შეეპუა — მაინც, ვინა ხარ, სად მუშაობ, ეგრე რომ „მეჭიმებიო“. ჩემი ახლობელი დიდი იუმორის პატრონია:

— ვინა ვარ და, წყალქვეშა მეხანძრე ვარ! — უპასუხა თვალის დაუხამხამებლად.

— მერე, მაგით მაშინებ?! რა „ზვანია“ გაქვს? — მთელი სერიოზულობით განაგრძო კამათი ინსპექტორმა...

ისე, სხვათა შორის, „კანონში პოლიციის შესახებ“ ცალკე პარაგრაფად არის გამოყოფილი ინსპექტორისა და მძღოლის ურთიერთობა. ცხადია, გამოძალვასა და ძალადობაზე იქ ლაპარაკიც ზედმეტია: ინსპექტორს ისიც კი ეკრძალება, მძღოლს მისი შვილების თანდასწრებით მოსთხოვოს პასუხი წესრიგის დარღვევის შემთხვევაშიც კი!..

ბევრს არ გავაგრძელებთ — ჩვენს წერილს ისე დავასრულებთ, როგორც დავიწყეთ: სახელმწიფოს სოციალური თუ კულტურული დონე, ყველაზე ნათლად მის ქუჩებში აისახება...

■

ქმარი ჩემი?! – მტერი ჩემი!

მედეა გოგსაძე

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ოჯახში ძალადობაზე ლაპარაკი მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ საქმე უცენზურო გინებას, ცემა-ტყეპას, ჭურჭლის მტვრევასა და მძიმე საგნების ცოცხალ მიზანში სროლას შეეხება – ასეთია ამ მოვლენის მეშჩანურ-ყოფითი განსაზღვრება.

სინამდვილეში, ძალადობა ოჯახში – ეს არის მისი წევრის მიმართ ჩადენილი არა მარტო ფიზიკური ან სექსუალური, არამედ აგრეთვე ფსიქოლოგიური ძალმომრეობა, რომელიც თავისი გავლენით არაფრით ჩამოუვარდება (თუ არ აღემატება!) დანარჩენ ორს. ყველასათვის ნათელია, რამდენად დამანგრეველი შეიძლება იყოს ადამიანის ფსიქიკისათვის სისტემატური დაშინება, მუქარა და დაცინვა. ოჯახური ძალადობის მსხვერპლი შეიძლება იყოს ქალი, ბავშვი, ხნიერი ადამიანი, უფრო იშვიათად – მამაკაციც.

რა უსიამოვნოც უნდა იყოს ძლიერი სქესის წარმომადგენლებისათვის ეს ფაქტი – სტატისტიკური მონაცემებით, მოძალადეთა 97 პროცენტი მამაკაცია და მათ მსხვერპლს, უფრო ხშირად, სწორედ მისი თანამეცხედრე, ე.ი. ქალი წარმოადგენს.

დახურულ კარს მიღმა...

ოჯახში ძალადობის მიმართ წაყრუება-მიჩუმათების პოლიტიკას საზოგადოება იმ მოსაზრებით იჩენს, რომ ეს „საშინაო სამზარეულოა“ და მისი პერიპეტიები მხოლოდ დრამის უშუალო მონაწილეებს ეხება. ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი, ფაქტობრივად, სოციალურად იზოლირებულნი არიან. კრიმინოლოგები და საზოგადოება 1970 წლამდე თითქმის იგნორირებას უკეთებდნენ ამ მოვლენას. საინტერესოა, რომ საბჭოთა კანონმდებლობით, ქმრის მიერ ცოლის ცემა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (ქუჩა, ეზო, დაწესებულება და სხვ), კვალიფიცირდებოდა, როგორც ბოროტი ხულიგნობა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. მაგრამ იგივე დანაშაული, ჩადენილი ბინაში, რატომღაც ხულიგნობად აღარ ფასდებოდა, იმის მიუხედავად, რომ ორივე შემთხვევაში ერთი შედეგი გვაქვს – ნაცემი ადამიანი.

საგულისხმოა, რომ დღესაც ამ მხრივ მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა. ქმარს ცოლის ცემას არავინ დაუშლის, მთავარია, „ეგზეკუცია“ საკუთარ სახლში და დაბალ ტონალობაში ჩაატაროს. უფრო მეტიც – არავინ მოუწონებს ქალს ჩივილის მცდელობას; თავად მსხვერპლიც ერიდება გახმაურებას – არ სურს ქვეყანამ გაიგოს, როგორ ამცირებს ქმარი, რადგან უკეთეს შემთხვევაში, ზიზღნარევ სიბრალულს, ხოლო უარესში – გაკიცხვას მოიმკის.

ისმის კითხვა: რატომ არ ეყრება ხულიგან ქმარს?

პასუხი ძალზედ ბანალურია: მარტოობის შიში პლუს საზოგადოებრივი აზრი; სამწუხაროდ, ქალი ხშირად ფინანსურად დამოკიდებულია კაცზე ან, უბრალოდ, წასასვლელიც არსად აქვს. მეორე მხრივ, „განათხოვარი ქალის“ სტატუსი მრავალ ძნელად გადასაწყვეტ პრობლემას გაუჩენს. სწორედ ამიტომ არის, რომ უმრავლესობა ემორჩილება ბედს და დღევანდელი დღის საზრუნავით ცხოვრობს.

ამბავი პირველი ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ორი შვილი ჰყავს. ქმარი – უმუშევარია, ცოლი – დიასახლისი. ოჯახს წვრილმანი ვაჭრობით ნაშოვნი ფულით გააქვს თავი. კაცი საკმაოდ კარგად „ეგუება“ სასმელს, სამაგიეროდ, საფუძვლიანად შეზარხოშებული, ნაკლებად ეგუება ცოლს, რომელსაც ასეთ დროს ათას ნამდვილ და მოგონილ ცოდვას უხსენებს. ცემა ამ ოჯახში „საბრალდებო მონოლოგის“ უკანასკნელ, ყველაზე „დამაჯერებელ“ არგუმენტად იქცა. ერთ-ერთი მორიგი „დისკუსიის“ დროს, ქმარმა ქალი ისე უმოწყალოდ სცემა, რომ ფეხიც კი მოსტეხა. მიუხედავად ამისა, ქალი გაყრაზე არც ფიქრობს. პრაქტიკულად, ყველამ მიატოვა.

ეს ამბავი სწორედ იმით არის საინტერესო, რომ მასში არაფერია ორიგინალური. ათასობით ოჯახი ცხოვრობს ასეთი ცხოვრებით და გარშემომყოფნი ამას უბედურებად სრულებითაც არ აღიქვამენ. იმის გასარკვევად, თუ რამდენად თვლის საზოგადოება ოჯახში ძალადობას სოციალურ პრობლემად, ორგანიზაციამ „ქალები დემოკრატიისათვის“ ჩაატარა გამოკვლევა თბილისში და იმერეთის რეგიონში. რესპონდენტებს დაუსვეს შეკითხვა: „თვლით თუ არა ოჯახში ძალადობას (ცემა, შეურაცხყოფა, გინება, მუქარა, საზოგადოებისაგან იზოლაცია, ფინანსური კონტროლი) სოციალურ პრობლემად?“ გამოკითხულთა 80-მა პროცენტმა აირჩია პასუხის ვარიანტი „არ ვიცი“, 17-მა – „დიახ“, 3-მა – „არა“. აშკარაა, რომ საზოგადოებას არ გააჩნია გამოკვეთილი პოზიცია ოჯახური ძალადობის, როგორც სოციალურად სახიფათო მოვლენის მიმართ, რაც მოძალადეში დაუსჯელობის რწმენას, ხოლო მსხვერპლში კი ფატალური უმწეობა-დაუცველობის შეგრძნებას აღვივებს.

ცნობისათვის: იმერეთის რეგიონში გამოკითხულთა აზრით, თუ ქმარი ცოლს

სცემს, ამაში თავად ქალია დამნაშავე (ე.ი. დაიმსახურა – კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავს!).

ამით ხომ არ აიხსნება ის ფაქტი, რომ ოჯახში ძალადობამ ამ ბოლო დროს სოციალური სინდრომის სახე მიიღო? ამ ორიოდე თვის წინ ჩატარდა გენდერული (სექსუალურ ნიადაგზე) ძალადობის წინააღმდეგ მიმართული თექვსმეტდღიანი აქცია. დასკვნით კონფერენციაზე ითქვა, რომ თბილისში უკვე აღინიშნება ოჯახური კონფლიქტის დროს ცოლის მკვლელობის ფაქტები. რატომ მაინცდამაინც ცოლის? ეს ლოგიკურიც არის: სოციალურმა კრიზისმა მამაკაცს წაართვა მისი პიროვნული ღირსების მთავარი საყრდენი – მარჩენალის ფუნქცია, რაც არასრულფასოვნების კომპლექსს აყალიბებს. ამის საფუძველზე აღმოცენებული აგრესიული იმპულსები ასოციალური ქმედებებისკენ უბიძგებს. ცოლი – ყველაზე მოსახერხებელი ობიექტია, ვინაიდან ქმრის ცნობიერებაში დამტანჯველ პასუხისმგებლობასა და შეუსრულებელ მოვალეობასთან ასოცირდება. ბუნებრივია, რომ აგრესიად გარდაქმნილ დანაშაულის განცდას მამაკაცი სწორედ მასზე გადმოანთხევს.

ამბავი მეორე ამ ამბის პირველწყარო თავად გმირის ხასიათში უნდა ვეძიოთ, თუმცა, უეჭველად, დიდი როლი ითამაშა აღზრდის ქართულმა მოდელმა.

ქმარი – 27 წლის ტიპური ქართველი დარდიმანდი და „კაი ტიპი". ცოლი – 25 წლის ულამაზესი გოგონა, რომელსაც ამ ქორწინებამ ძალზე შთამბეჭდავი ცხოვრებისეული პერსპექტივა მოუსპო. გათხოვებამდე სწავლობდა მოსკოვის ერთ-ერთ სოლიდურ ინსტიტუტში, მისი იშვიათი გარეგნული მონაცემებით მოიხიბლა თავად მრავლისმნახველი რუსი კუტიერე ზაიცევი და თავის სტუდიაში მიიწვია. ვაჟმა სავსებით სწორად განჭვრიტა, რომ მანეკენობა, ისიც ასეთ სახელგანთქმულ მოდელების სახლში, გოგონას საურთიერთო წრეს სახიფათოდ გააფართოებდა. შესაძლოა მეტოქეებიც გასჩენოდა, ამიტომ პრობლემა ძალზე ოპერატიულად გადაწყვიტა და მოიტაცა. გოგონას ოჯახი მოერიდა სკანდალს და ქორწინებაზე დასთანხმდა. შედეგი „შესაშური" მიიღეს. ვაჟი ძალიან სწრაფად შეიჭრა „მეუღლისა და მბრძანებლის" როლში – ცოლს, უბრალოდ, მუშაობაც კი აუკრძალა. ქალის სილამაზე გარკვეული ხნის შემდეგ ქმრისთვის დისკომფორტის წყაროდაც იქცა – აღიზიანებდა ცოლის მისამართით ნათქვამი ყოველი კომპლიმენტი, სხვა მამაკაცების აღტაცებული მზერა. მალე უბედური ქალის წრე ოჯახის წევრებითა და მეზობლებით შემოიფარგლა. მაგრამ კაცი ამითაც არ დაკმაყოფილდა, ცოლის გარეგნობის კრიტიკაც კი დაიწყო – რას გავხარ, შენი დაგრეხილი ფეხების პატრონი რა მოდელობაზე ოცნებობდი, ყანჩასავით აწოწილი ხარო... თითქოს სამაგიეროს უხდიდა უწინდელი უყურადღებობა-უარყოფისთვის.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ქალი ძალიან უმწეო აღმოჩნდა ამ სასტიკი ტერორისა და ფსიქოლოგიური „დამუშავების" წინააღმდეგ: ჩაქრა, ჩაფერფლა, დაივჯერა საკუთარი სიუშნოვე, ულამაზესი გოგონა ლანდად გადაიქცა. სამწუხაროდ, დღესაც ერთად არიან, ქმარი კვლავ განაგრძობს თავის პოლიტიკას, ცოლი კი ისევ მსხვერპლის როლშია.

რა ასაზრდოებს ქმრის მიერ არჩეული ურთიერთობის მოდელს? პასუხი ერთია – საკუთარი არასრულფასოვნების განცდა და უარყოფის პერიოდში დაგროვილი აგრესია. მამაკაცმა ჩინებულად უწყის, რომ ცოლის ღირსი არ არის და ეს მისთვის მუდმივი ბოღმის წყაროა. რეალობაში ხშირია საწინააღმდეგო შემთხვევები, როდესაც თავისი სოციალურ-პიროვნული მონაცემებით ქმრებზე აშკარად უფრო დაბლა მდგომი ქალები, ჩინებულად ახერხებენ მეუღლეთა „ყურებით დაჭერას", სწორედ იმის

წყალობით, რომ მათში არანაირ არასრულფასოვნების განცდას არ იწვევენ, თანაც,მოხერხებული დიპლომატიის მეშვეობით საკუთარ „ნაკლებობასაც" ავიწყებენ (რა მოხდა, რომ შენ უკეთესი ხარ – სამაგიეროდ, მე გონიერი და ერთგული ვარ, მხარში გიდგავარ, ჩემ გვერდით დამშვიდებულად შეგიძლია იგრძნო თავი და სხვა ამგვარი).

„ქალის კულტის" მეორე მხარე

საქართველოში გაბატონებულია თვალსაზრისი, რომ ტრადიციული ქალის კულტი პრაქტიკულად გამორიცხავს ოჯახში ძალადობას ან ქალის მიმართ უპატივცემულობას და ყველაფერი ცალკეული ფაქტებით ამოიწურება. ამ მოსაზრების მომხრენი არაკორექტულადაც კი მიიჩნევენ ოჯახში ძალადობის სოციალურ მოვლენად აღიარებას.

ისმის კითხვა: რამდენად წარმოადგენს „ქალის კულტი" სოციალურ დონეზე პატივისცემის გარანტიას?

ამაზე პასუხის გასაცემად ჯერ გავარკვიოთ, თუ როგორი ქალის თაყვანისცემას გულისხმობს ხსენებული ტრადიცია: ეს არის მორჩილი (სწორედ მორჩილი და არა დამჯერი!) ცოლი, მზრუნველი დედა, ჩინებული დიასახლისი, სამაგალითო რძალი, გულუხვი მასპინძელი და სათნო მეზობელი – ამ პარამეტრებით ამოიწურება ქალის ეროვნული ხატის სოციალურ-პიროვნული სივრცეები.

მაგრამ რა ვქნათ, თუ ქალს არ აკმაყოფილებს თვითრეალიზაციის ეს ფარგლები და მათ გაფართოებას შეეცდება? საკამათო არ არის, რომ განათლება და დიპლომი ჩვენში კარგი საპატარძლოს მზითვის აუცილებელ „ატრიბუტად" მიიჩნევა, მაგრამ დიპლომი ერთია – პროფესიონალიზმი კი სულ სხვა. არავინ უშლის ქალს (კიდეც მოუწონებენ!) მოიპოვოს „ხარისხი" ამ ფორმალური დოკუმენტის სახით, რომელიც „საპატარძლო ბაზარზე" რეიტინგს ძალზე აუმაღლებს, მაგრამ არავის არაფერში ესაჭიროება (როგორც წესი!) მისი რეალური პროფესიული უნარ-ჩვევები.

აქ კიდევ ერთი მომენტია საგულისხმო: პროფესიული წინსვლა და ამ გზით თვითდამკვიდრება ქალს უმაღლებს თვითშეფასებას, რაც მამაკაცში, რომელიც ჩვენს კრიზისულ რეალობაში და, აგრეთვე, აღზრდის სისტემიდან გამომდინარე, არასრულფასოვნების კომპლექსით არის შეპყრობილი, კონკურენციის საფრთხის შეგ-

რძნებას წარმოშობს. გამოსავალი ორია: ან „დაეწიოს“ ცოლს, ან აუკრძალოს „მეტიჩრობა“. მამაკაცთა უმრავლესობა, როგორც წესი, მეორე გზას ირჩევს.

შემზარავი დეტალი: ამ რამდენიმე წლის წინ, ავტომატიანმა მამაკაცმა ტორონტოს უნივერსიტეტის აუდიტორიაში თექვსმეტი გოგონა დაცხრილა იმ მიზეზით, რომ „მამაკაცური“ პროფესიის დაუფლებას აპირებდნენ.

ამბავი მესამე ეს ამბავი ხსენებული სიტუაციის კლასიკური მაგალითია, მხოლოდ ერთი „აბეზარი“ დეტალით: ფინალი ფრიად არატიპური აღმოჩნდა — ცოლი არ შეეპუა ქმრის დიქტატს.

ისინი თანაკურსელები იყვნენ, ამდენად, სტარტი სავსებით თანაბარ პირობებში აიღეს. ძალიან მალე გამოიკვეთა გოგონას უპირატესობა, რომელიც ვაჟზე გაცილებით ნიჭიერი აღმოჩნდა. ყოველი ჩაბარებული საგამოცდო სესია ამის თვალსაჩინო დადასტურება გახლდათ. სულიერ-ინტელექტუალურმა არათანხვედრამ მალე განაპირობა მსოფლმხედველობრივ-ღირებულებითი შეუთავსებლობა, რამაც ყოფითი თანაცხოვრება საერთოდ აუტანელი გახადა. ვაჟი აშკარად ცდილობდა ცოლის „გაკოჭვას“, მისთვის მოსაწონ ფარგლებში მოქცევას: ბოლოს, ქალმა ცივი გონებით გათვალა რეალური პერსპექტივა: ქმრის ნება-სურვილთან შეგუება, ანდა წერტილის დასმა. მან მეორე ირჩია.

მრავალ ტრადიციულად მოაზროვნესთვის ასეთი გადაწყვეტილება, რბილად რომ ვთქვათ, მიუღებელია, რამეთუ „ქალს დათმობა შეშვენის“, „ბავშვს სჭირდება დედაც და მამაც“ და მისთანანი. საკითხავი ისღა რჩება, „შეშვენის თუ არა დათმობა კაცს?“ და „სჭირდება თუ არა ბავშვს, ოჯახში დაძაბული სიტუაცია?“

ვარლამის ტყვია

ოჯახში ძალადობა იმითაც არის საშიში, რომ მისი მავნე ზემოქმედება ამახინჯებს მოზარდი თაობის ფსიქიკას. პიროვნების ჩამოყალიბების კლასიკური თეორიით, ბავშვის ჰარმონიული განვითარებისათვის მართლაც აუცილებელია როგორც დედა, ისე მამა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოდელი მხოლოდ ჰარმონიულ, ანუ ყოველგვარი ძალადობისგან თავისუფალ და ურთიერთპატივისცემის ნორმებზე დაფუძნებულ ოჯახში „მუშაობს“. დისჰარმონიული ოჯახების შემთხვევაში (დღეს კი უამრავი ოჯახია ასეთი), უფრო ადეკვატურია ჩარლზ ქუულის და ჰერბერტ მედის თეორია, რომლის მიხედვითაც ადამიანის სოციალური „მე“ სხვათა „მნიშვნელოვნების“ გავლენით ყალიბდება. ყველაზე ახლო მაგალითი სწორედ საკუთარი ოჯახია, ამდენად, ბავშვი პირველ გაკვეთილს უშუალოდ მშობლებისგან ღებულობს. ადვილი წარმოსადგენია შედეგი, თუ ეს მაგალითი უარყოფითია. კიდევ ერთი გამოჩენილი ფსიქოლოგის — პეტერსონის მოდელითაც მძიმე ატმოსფერო ოჯახში ხელს უწყობს დაბალ თვითშეფასებას, თანატოლებისგან მოწყვეტას, ცუდად სწავლას, რასაც შეიძლება ფრიად შორს წასული სავალალო შედეგები მოჰყვეს.

ცოლ-ქმარს შორის ძალადობა, იზოლირებული პრობლემა არ გახლავთ და ბუნებრივად ბავშვებზე ძალადობაში გადადის ხოლმე.

როგორც ხედავთ, ოჯახში ძალადობა ფრიად რთული ფენომენია და წაყრუების პოლიტიკამ შეიძლება მხოლოდ დიდი ზიანი მოგვიტანოს. ამ ბოლო დროს, გენდერის პრობლემებით დაინტერესებასა და ადამიანის უფლებების სფეროს აქცენტირებასთან დაკავშირებით, ოჯახში ძალადობა საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების ფოკუსში მოექცა. რამდენიმე დღეა, რაც თბილისში დასრულდა ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის პროგრამის პირველი ეტაპი, რომელსაც ახორციელებს ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰარმონია“. რამდენიმე თვით ადრე „ადამიანის რესურსების განვითარების ფონდის“ თანამშრომლებმა წარმოადგინეს პროექტი — „საფარი“, რომელიც ანალოგიურ მიზნებს ისახავს.

დასასრულ, გთავაზობთ ჩამონათვალს, რომელიც აღწერს, თუ რას შეიძლება ეწოდოს ძალადობა ოჯახში (პროექტი „საფარი“). ეს თავისებური ტესტია, რომელიც დაგეხმარებათ იმის გარკვევაში, ხართ თუ არა თქვენ, თქვენი ახლობელი ან ნაცნობი ძალადობის მსხვერპლი. ძალადობას ადგილი აქვს მაშინ, როცა თქვენი ოჯახის წევრი: 1. გამუდმებით გაკრიტიკებთ; 2. იქცევა მეტისმეტად მზრუნველად, ცდილობს, გააკონტროლოს თქვენი ქცევა ან უკიდურესად ეჭვიანობს; 3. გემუქრებათ ზიანის მიყენებით თქვენ, თქვენს შვილებს, ოჯახის წევრებს ან საკუთარ თავს; 4. უეცრად რისხდება და წონასწორობას კარგავს; 5. გიშლით თქვენთვის მნიშვნელოვან ადამიანებთან ურთიერთობას; 6. აზიანებს ნივთებს; 7. ერთპიროვნულად აკონტროლებს ოჯახის ბიუჯეტს და თქვენს ხარჯებს; 8. ცდილობს თქვენით მანიპულირებას; 9. გაყენებთ ფიზიკურ შეურაცხყოფას; 10. მიმართავს ძალდატანებით სექსუალური კავშირის დამყარებას; 11. გამცირებთ სხვა ადამიანთა თანდასწრებით; 12. გემუქრებათ იარაღით; 13. გიშლით წამლის ან საჭმლის მიღებას; 14. გიშლით პროფესიულ საქმიანობას.

ამ ჩამონათვლის რამდენიმე პუნქტიც საკმარისია ძალადობის ფაქტის დიაგნოსტირებისათვის. ალბათ, ისიც უკვე ცხადია, რომ ოჯახში ძალადობა კერძო საქმე ნამდვილად არ არის, რამეთუ ძალმომრეობის შხამიანი ატმოსფერო მომავალს წამლავს — ვარლამის ტყვიას უდანაშაულო თორნიკე ეწირება...

■

მარინა ბაბუნაშვილი

ჩვენი ბავშვობის ზღაპრები

და დღევანდელი სინამდვილე

„ეყო და არა იყო რა...“ – ამ სიტყვებით იწყება ჩვენი ბავშვური სამყარო, სადაც დიდხანს გვჯერა ფიზიკურად ძლიერი, მაგრამ ბრიყვი დევის, გამჭრიახი ხუთკუნჭულასი, მოხერხებული ნაცარქექიასი, ავი დედინაცვლის, მისანი ხარის, მზეთუნახავისა თუ უფლისწულის არსებობის.

გაირბენს წლები, გავხდებით დედები და მამები და ახლა ჩვენს პატარებს ვუყვებით ზღაპრებს. ჩვენს შვილებსაც სჯერათ, რომ არსებობენ კეთილი და ბოროტი სულები, გოლიათები და ქონდრისკაცები და ჩვენს ცხოვრებაში ზღაპრიდან შემოდის ძალმომრეობის „პატარა ნამცეცები“ და ყალიბდება „საზარელი მოძალადის“ სახე. კიდევ კარგი, ზღაპრების მთავარი დევიზია – „ბოროტსა სძლია კეთილმან“, თორემ ზოგიერთში ისეთი საზარელი ამბავია მოთხრობილი, რომ არათუ სიკეთით აგავსებს, შეგაძრწუნებს და უიმედობასაც ჩაგისახავს...

თავი დავანებოთ „ცუდ“ ზღაპრებს და გავიხსენოთ ყველასთვის ცნობილი, საყვარელი „ნაცარქექია“... არის თუ არა მასში ძალადობის ნიშნები? რა თქმა უნდა, არის! ზარმაცი, მაგრამ გონებამახვილ ჩია კაცს ჭკუით რომ არ ეჯობნა, ხომ „ბრდღვნად“ არ ეყოფოდა გოლიათ დევს! ძალმომრეობა მარტო ფიზიკურად ძლევას როდი ნიშნავს – ფსიქოლოგიური „ზეწოლაც“ ხომ ზოგჯერ ფიზიკურსაც სჯობნის. ჰოდა, თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაცარქექიამ ფსიქოლოგიური ომი მოიგო. ცხოვრებაშიც ხშირად ხდება ასე: დიდი და ბრგე აღნაგობის კაცი, პატარა, გაქნილი და კვაჭი სუბიექტის „ძალმომრეობის“ მსხვერპლი შეიძლება გახდეს. ძალმომრეობა კი, ბავშვობიდან მოყოლებული, მთელი ცხოვრების მანძილზე გვხვდება სხვადასხვა სახითა და მასშტაბით.

... საბავშვო ბაღში, დათქმულ დროზე ადრე მივაკითხე ჩემს ბიჭს წამოსაყვანად. დავინახე, რომ მასწავლებელს ბავშვები გარს შემოესვა და დიდი გატაცებით უკითხავდა ქართულ ზღაპარს – „ჩიტი-ჩიორას“. ხელი აღარ შევუშალე და მოცდა ვამჯობინე. დროდადრო ოდნავ შემოღებულ კარში ვიჭვრიტებოდი. მასწავლებელი ცდილობდა, რაც შეიძლება გამომსახველად გადმოეცა ბედკრული დედა-ჩიტისა და ცბიერი მელაკუდას ამბავი. როცა თხრობამ კულმინაციას მიაღწია და ჩიტმა მესამე ბარტყიც გადაუგდო მოძალადე მელას, დავინახე, სიბრალულისგან პატარა, თვალხატულა ქეთის, როგორ აუკანკალდა ტუჩები, მერე ნიკაპი, ბოლოს კი ყელში გაჩხერილ „ბურთს“ „გზა“ მისცა და ხმამაღლა ატირდა. ცოტა ხანში მას სხვებიც აჰყვნენ, მათ შორის ჩემი შვილიც. გულმა აღარ მომითმინა და ოთახში შევედი. მასწავლებელი ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა და ეფექტით უზომოდ კმაყოფილი... იღიმებოდა კიდეც... ქეთი კი ისევ მოთქვამდა: ცუდი დედაა ჩიორა, სამი ბარტყი გადაუგდო და შეაჭმევინა მელიას... არ მიყვარს მე ეს ჩიტი, არც ზღაპრები მიყვარს და აღარც ბაღი... დედიკო რომ მოვა, ყველაფერს ვეტყვი და აქ აღარ მომიყვანსო... ვცადე, ბავშვებისთვის ამეხსნა, რომ ის, რაც ზღაპარში მოისმინეს, ცხოვრებაში არ ხდება: ქართველი დედა, როგორც არ უნდა გაუჭირდეს, შვილს არასდროს გაწირავს-მეთქი... შევატყვე – ჩემმა სიტყვებმა ბავშვებზე იმოქმედა: მიმნდობი, სითბოს მოწყურებული ბავშვური სული სიკეთეს უფრო ადვილად იჯერებს, ვიდრე ბოროტებას...

გადის წლები, ბავშვს გამოცდილება ემატება და მწარე გაკვეთილებიც გარემოსა და გარშემომყოფებისადმი უფრო ფრთხილ, ზოგჯერ ეჭვიან დამოკიდებულებას ასწავლის, დაანახვებს, რომ ზედმეტად მიამიტი და მიმნდობი, ხშირად, წაგებული გამოდის...

ერთი „ბოხვერა“ ბიჭი თავისთვის კუთხეში მიმჯდარიყო და კუბურებით „სახლებსა“ და „ავტომაგისტრალებს“ აშენებდა. მის შორიახლოს ბიჭების ჯგუფი მანქანებით ერთობოდა. ერთ-ერთმა მათგანმა, შეამჩნია თუ არა, რომ მისმა თანატოლმა საკმაოდ დიდი და „მაღალსართულიანი სახლი“ ააშენა, დაუმიზნა და... ზუსტი დარტყმით დაუნგრია. „ბოხვერა“ ჯერ თითქოს ტირილს იწყებდა, მერე კუბურა აიღო და „მოძალადეს“ პირდაპირ თავში ესროლა. ჩხუბის მოთავე ატირებული მოვიდა ჩვენთან და ისე მოხერხებულად დაადანაშაულა მომხდარში „მშენებელ-კონსტრუქტორი“ – ჩვენი თვალით რომ არ გვენახა ყველაფერი, ალბათ მას უფრო დავუჯერებდით, ვიდრე მოწინააღმდეგეს, მით უმეტეს, რომ შუბლზე დიდი კოპიც ჰქონდა...

იზრდებიან ბავშვები და, რომ იტყვიან, მათთან ერთად პრობლემებიც „იზრდება“.

ნინო, საშუალო სკოლის მასწავლებელი:

– თხუთმეტი წელია, რაც სკოლაში ვმუშაობ. ყველაზე რთული, გარდატეხის პერიოდი მე-8, მე-9 კლასიდან იწყება. ამ დროს ბიჭები განსაკუთრებით ყოყლოჩინობენ, საკუთარი „მე“-ს დამკვიდრებისათვის თავისებურად „იბრძვიან“. მათ არც გოგონები ჩამოუვარდებიან, ამიტომაც ყოველთვის ვცდილობ, რომ თუ წინა წლებში მკაცრად ვექცეოდი, მაღალ კლასებში უფრო მეგობრული ვიყო მათთან. ღრმად ვარ დარწმუნებული – მარტო სიმკაცრით მიზანს ვერ მივაღწევთ.

რაც შეეხება კლასის „ყოჩებს“, ამ „საპატიო წოდებისთვის“, გაგიკვირდებათ და, პირველი კლასიდანვე იწყება ბრძოლა. ბევრი ცდილობს, „ყოჩის“ სახელი დაიმკვიდროს. ალბათ ეს არის ძალმომრეობის ერთ-ერთი პირველი გამოვლინება, რაც მერე და მერე გაუხეშებული, უფრო სასტიკი სახით გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ძალიან რთულია მოზარდებთან მუშაობა. ერთმა ჩემმა მეგობარმა შენიშვნა მისცა მეცხრე კლასის მოსწავლე ბიჭს. დამსწრე თანაკლასელებს შორის ყოფილა ამ ბიჭის შეყვარებული გოგონა. ყმაწვილი „ყოჩობდა“ და იუკადრისა შენიშვნა, პროტესტის ნიშნად კი, გაკვეთილიდან გამოგდებულმა, დერეფანში შიშველი ხელებით მინები ჩალეწა. შემთხვევა კინაღამ ტრაგიკულად დამთავრდა, რადგან შუშამ ვენა გადაუჭრა... ეს ამბავი არ აპატია და იმდენი ქნა, რომ მასწავლებელი იძულებული გახადა, სხვა სკოლაში გადასულიყო... მოსწავლე-მასწავლებლის კონფლიქტებს შორის კიდევ ერთი შემთხვევა მახსენდება: მოსწავლეს გართულებული ურთიერთობა ჰქონდა ხაზვის მასწავლებელთან. ერთ-ერთი ინციდენტის შემდეგ, შებინდებისას, შინ დაბრუნებულ კაცს ბიჭი სადარბაზოსთან ჩაუსაფრდა და სადღაც ნაშოვნი „დუბინკით“ თავი გაუჩეხა...

ქეთევანი, მასწავლებელი:

— მე-11 კლასის დამრიგებელი ვარ, მეხუთე კლასიდან მოვყვები. მეშვიდეში იყვნენ, როცა ჩვენთან გადმოვიდა ძალიან კარგი ბიჭი, რომელიც მუსიკაზე დადიოდა — ვიოლინოზე დაკვრას სწავლობდა. გარეგნობითაც სასიამოვნო ბავშვი იყო და სკოლაშიც სანიმუშო მოსწავლედ ითვლებოდა. მისი წარმატება თვალში არ მოუვიდა კლასის რამდენიმე „ყოჩს“ და ერთხელაც, მუსიკის გაკვეთილიდან გამოსულს დახვდნენ და უმიზეზოდ სცემეს. ბიჭმა არაფრით არ გასცა ახალი თანაკლასელები, თუმცა მისი მშობლები ძალიან შეწუხებულნი იყვნენ მომხდარის გამო. ეჭვად მქონდა, ვინც იქნებოდნენ „დამტერორებელნი“, მაგრამ არ ჩავრეულვარ, ვფიქრობდი — მოზარდები თვითონ მორიგდებოდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ იგივე განმეორდა... ბიჭმა თავი დაანება მუსიკას და სკოლაშიც უკლო სწავლას: გოგონებმა ჩუმად მომიტანეს ამბავი — რომ „ყოჩებმა“ „დაიგინეს“, რომელი ბიჭიც გაკვეთილს კარგად უპასუხებს, მაგრად მივბეგვავთო. დავიმარტოხელე არა „მოძალადეები“, არამედ დაჩაგრული და დიდხანს ველაპარაკე ვაუკაცობაზე, პრინციპულობაზე, „მეობაზე“... ჩანს, ჩემმა სიტყვებმა იმოქმედა და ბიჭმა კვლავ დაიწყო მუსიკაზე სიარული, სწავლასაც მიუბრუნდა და ძიუდოშიც დაიწყო ვარჯიში. კვლავ აიქოჩრნენ „მაგარი ბიჭები“, მაგრამ „საქმის გარჩევა“ ამჯერად, მათთვის სავალალო შედეგით დასრულდა.

დაჩი, მშობელი, 30-ოდე წლის კაცი:

— სკოლაში ყველას გვისწავლია და ყველას გვახსოვს „ძველი ბიჭები“, სკოლის ეზოში, საყელოწამოწეულნი რომ „აბირჟავებდნენ“ ხოლმე. ადრეც და ახლაც თინეიჯერები (მოზარდები) საკუთარი პიროვნებისა და „მეობის“ გამოვლინებას მათზე ფიზიკურად უფრო სუსტი ბავშვების დაჩაგვრაში ხედავენ და სხვადასხვა დამამცირებელ დავალებასაც აძლევენ: ქუჩაში სიგარეტის ნამწვავების მოგროვება, სკოლის ტუალეტში „ატანდაზე“ დგომა (მასწავლებელმა მოწევისას რომ არ წაასწროს), ბუფეტის ტალონების „შეწერვა“ და სხვა ამგვარი. სისუსტეში ფიზიკურად სუსტი ბიჭები არ მიგულისხმია — აქ უფრო სულიერ გაუტეხლობაზეა საუბარი. მახსოვს, როგორ ჩაგრავდნენ ხოლმე ბუთხუზა, ჩაპუტკუნებულ ბიჭებს („დედიკოს ბიჭებსაც“ ვეძახდით) გაჩხიკინებული, „მოლეული“ „ყოჩები“. ცოდვა გამხელილი სჯობს და არც მე გამიძლია ყოველთვის იმის ცდუნებისთვის, რომ, ვთქვათ, „ბულკი“ წამერთმია „ლაყე“ თანაკლასელისთვის. გარეგნულად, სუსტი კი ვიყავი, მაგრამ ხმა მქონდა მჭახე... ხშირად მიფიქრია, „ახლა რომ ამან ხელი შემომიბრუნოს, ხომ გამსრესს ჭიანჭველასავით-მეთქი“... საბედნიეროდ, მსგავსი რამ არ მომხდარა — როგორც გითხარით, ხმა მქონდა მჭახე... თუმცა არც „ძველი ბიჭობის“ პრეტენზია მქონია, — როგორც იტყვიან, „ჩემთვის ვიყავი“. მაგრამ ერთხელ, დასვენებაზე, როგორღაც ისე მოხდა, რომ ჩემი აგდებული, საკმაოდ მძიმე ჩანთა ერთ-ერთ „ძველ ბიჭს“ დაეცა თავზე და... „გათიშა“. ძლივს მოასულიერეს. მე, რა თქმა უნდა, გვარიანად შევშინდი და მალეც „მოვუსვი“ შინისკენ. მეორე დილას სკოლაში მისულს რაღაც, სხვანაირი რიდით შემხვდნენ: მერე გავიგე, ათასნაირი ჭორი აგორებულა — „ერთი დარტყმით გააგორაო“, „ნოკაუტში ჩაადგოო“... ლამის, კრივის ჩემპიონადაც კი გამომაცხადეს. „სკოლის ჩაბარების“ ინსტიტუტსაც იცნობთ ალბათ: სკოლა, ჩვეულებრივ ერთ-ერთ „ყოჩს“ „აბარია“ ხოლმე — ის არჩევს კონფლიქტებს, ხვდება სხვა სკოლიდან პრეტენზიებით მოსულ ბიჭებს და ა.შ. იმ ჩემი „გმირობის“ შემდეგ, ერთ-ერთი „ძველი“ მოვიდა და დიდის ამბით გამანდო: წინამორბედი „ყოჩი“ თურმე სკოლას მას „აბარებდა“ და — შენ რაიმე პრეტენზია ხომ არ გექნებაო?.. ამ „ყოჩების“ შესახებ ჩვეულებრივი სკოლის მასწავლებლებიც სრულ ინფორმაციას ფლობენ, მაგრამ ზოგჯერ სათავისოდ იყენებენ და ცდილობენ, „ყოჩთან“ ყოველთვის კარგ ურთიერთობაში იყვნენ — მისი მეშვეობით ხომ კლასში წესრიგის დამყარებაც შეიძლება...

ერთი წერილით ამ ყოვლისმომცველ თემას მოლიანად, ცხადია, ვერ მოვიცავთ. არც დაგვისახავს მიზნად — უბრალოდ, გვინდოდა ყურადღება გაგვამახვილებინა მოზარდების ცხოვრების იმ მხარეებზე, რომლებიც ხშირად, ჩვენი — უფროსების ყურადღების მიღმა რჩება ხოლმე და სავალალო შედეგების საფუძველი ხდება. ■

ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე საშინელი და თავისი შედეგებით, უმძიმესი სახეობა, მოზარდების მიმართ ჩადენილი სექსუალური აგრესიაა. დამნაშავეობის ამ სახეობასთან საბრძოლველად, დასავლეთის ქვეყნებში ბევრი ორგანიზაციაა შექმნილი. ერთ-ერთი მათგანის — სექსუალურ ნიადაგზე დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების პროფესიათაშორისი ასოციაციის — „აისპასის“ თანამშრომელი ჯულია მებრაკი საქართველოს რძალია. ჰყავს სამი შვილი, ოჯახთან ერთად აშშ-ში ცხოვრობს. თბილისში მცირე ხნით ყოფნისას თავისი გამოცდილება გაგვიზიარა:

ბავშვები და სექსუალური აგრესია

გალაქტიონ ტაგანაშვილი

– ბავშვები და სექსუალური აგრესიულობა განსაკუთრებით მსხვილი ქალაქებისთვის დამახასიათებელი ბოროტებაა.

საზოგადოების დემოკრატიზაციის ნეგატიურ მოვლენად იქცა დამნაშავეობის საყოველთაო ზრდა, მათ შორის, სექსუალურ ნიადაგზე. სანამ სტატისტიკური სამსახურის ორგანოები მკაცრ და დაუნდობელ ციფრებს გვიმჟღავნებენ, მართლწესრიგის დამცველნი კი ამ უბედურების საწინააღმდეგო გზებს და საშუალებებს ეძებენ, ფსიქოლოგები და პედაგოგები ვფიქრობთ, როგორ ვასწავლოთ ბავშვს პოტენციურ დამნაშავეთაგან თავის დახსნა ისე, რომ არ დავაზიანოთ ბავშვის ფსიქიკა, ფაქიზი გონებრივი და სულიერი სამყარო. დასავლეთის ქვეყნების მონაცემებით, 18 წლამდე ასაკის ყოველი მერვე გოგონა და ყოველი მეათე ბიჭი, სექსუალური დამნაშავის მსხვერპლი ხდება. და მაინც, მშობელთა უმრავლესობა არ ფიქრობს იმაზე, როგორ გადაარჩინოს თავისი ნაშიერი ამ უბედურებას... ან სულაც, არაფერი იციან ამის შესახებ. ბავშვისათვის რჩევა-დარიგების მისაცემად სჯობს, როგორმე იმგვარად წარმართოთ საუბარი, რომ მან თვითონ დაგისვათ კითხვა – რას ნიშნავს გაუპატიურება? როცა ბავშვს ქუჩაში უაზროდ ყიალსა თუ ეზოში თამაშს უშლით, ისიც უნდა გააგებინოთ, რომ მას ათასგვარი ხიფათი ელის. იპოვეთ საჭირო სიტყვები, რათა ყველაფრის მარტივად ახსნა შეიძლებოდეს. მაგალითად, ასე: „ხომ იცი, უფროსები კეთილი, კარგი ადამიანები არიან, მაგრამ მათ შორის ზოგჯერ ისეთიც შეგვხვდება, ყოველგვარ უკეთურობაზე მზად რომ არის...“ იმის შიშით, შვილს სიმშვიდე არ დაერღვესო, ბევრი მშობელი ცდილობს, ააცილოს მოზარდი ხიფათზე, ძალადობაზე საუბარს და ამიტომაც, ხშირად ჩიხში ექცევა, როდესაც საქმე სექსს ეხება. გამოვტყდეთ – მართლაც რთული ასახსნელია, სიტყვებს ვერ პოულობ...

იქნებ სჯობდეს, ის აუხსნათ, ბავშვს რისთვისაც აფრთხილებთ, რისიც გეშინიათ. ვთქვათ, ასე: „თუ ვინმე გაიძულებს, მოეფერო, აკოცო ადამიანს, რომელიც არ გიყვარს, უცხოა, შენზე ბევრად უფროსია, – თავი აარიდე, შენ ხომ სულ პატარა ხარ და სულაც არ გჭირდება უცხო ადამიანის ალერსი. სიყვარული უმშვენიერესი გრძნობაა, მხოლოდ მაშინ, როცა ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს – აი, როგორც შენს დედას და მამას. სხვა შემთხვევაში, ასეთი ურთიერთობა ძალადობაა და კანონით ისჯება“.

იმ წუთიდან, როდესაც ბავშვი დამოუკიდებლად იწყებს სკოლიდან შინ დაბრუნებას, ვალდებულნი ხართ, გააფრთხილოთ, ასწავლოთ, რომ სექსუალური ბოროტმოქმედნი გარეგნულად ჩვეულებრივ ადამიანებს ჰგვანან და ბავშვის მოხიბლვასა და მოტყუებას ადვილად ახერხებენ. ამიტომ მოზარდს თავდაცვის რეფლექსი უნდა გამოუმუშავდეს: „თუ ვინმე უცხო მთხოვს – ქუჩაზე გადამიყვანე, ძაღლის მოძებნაში დამეხმარე, სახლამდე მიმაცილეო, – მე უნდა ვუპასუხო – „არა“! – მაშინაც კი, თუ ის ვიღაც ნაცნობია. ჩემმა მშობლებმა არ იციან, სად ვარ, მათ ამიკრძალეს უცხო ადამიანებთან გამოსაუბრება“ – აი, მარტივი ფორმულა, რომელიც ბავშვის გონებაში უნდა ჩაიბეჭდოს. ასწავლეთ თქვენს შვილს: თუ ქუჩაში ვინმე საეჭვოდ აეკიდა, თავი მაღაზიას შეაფაროს, გამყიდველს გამოელაპარაკოს. აჩვენეთ, სად არის მაღაზია, აფთიაქი, საპარიკმახერო. ყოველი შემთხვევისთვის დააზეპირებინეთ მეზობლის ტელეფონი.

ყველაზე სახიფათო კი, მომხდარი ძალადობის დაფარვაა. ძალიან ხშირად დაზარალებული ბავშვი შიშით და სირცხვილით ვერ ამხელს, რაც გადახდა. გაითვალისწინეთ, ჩვენმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ბავშვი უმეტესად ნაცნობის ან მშობლების მეგობრის მსხვერპლი ხდება, რადგან ბავშვი იცნობს და ენდობა მას. ზოგჯერ საკუთარი სახლი ბევრად საშიშია, ვიდრე ქუჩაო, გვიმტკიცებენ ფსიქოლოგები... აუხსენით ბავშვს, რომ თუ იგი რაიმე ვითარებაში თავს უხერხულად იგრძნობს, შიში დაეუფლება – უნდა ენდოს თავის ინტუიციას და, რაც ყველაზე მთავარია, აუცილებლად გაგანდოთ სატკივარი. ჩაუნერგეთ შვილს, რომ მას არ უნდა შერცხვეს მშობელთან არაფრის გამჟღავნებისა.

კიდევ ერთ რთულ პრობლემაზე მინდა, გაგიზიაროთ ჩემი აზრი – ყველა დანაშაულის დაბეჯითებით იდენტიფიცირება შეუძლებელია. როგორ გავავლოთ ზღვარი ნორმალური ადამიანური გრძნობის გამოვლენასა და ზნედაცემულ, პათოლოგიურ ლტოლვას შორის? სპეციალისტები გვირჩევენ – უმჯობესია, ბავშვმა თავად მოახდინოს ბუნებრივი რეაქცია – „რატომ მიყურებ ასე?“ სავსებით შესაძლებელია, რომ სხვათა გასაგონად ნათქვამმა ამ უწყინარმა ფრაზამ „სექსუალურ თავდამსხმელს“ მადა წაუხდინოს და შემდგომი ქმედებისგან თავი შეაკავებინოს.

ჩვენს ორგანიზაციას გარკვეული წვლილი შეაქვს „სექსუალურ აგრესიათაგან“ მოზარდი თაობის დაცვის საქმეში. გვაქვს სპეციალური პროგრამა, ვავრცელებთ ვიდეოკასეტებს, რომლის მეშვეობით ბავშვი ადვილად ითვისებს, როგორ აღუდგეს წინ ძალადობას, როგორ აღკვეთოს მოძალადის ბინძური მცდელობა.

...ჩემ გვერდით პოეზიის გვირგვინი — გალაკტიონი ზის!

ბატონი იპოლიტე ვართაგავა სასულიერო სემინარიაში მუშაობდა პედაგოგად. მისი მოწაფეები სხვადასხვა დროს ყოფილან გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II...

გალაკტიონი ძალიან მორცხვი სემინარიელი ყოფილა. სხვათა შორის, სიმორცხვე სიკვდილამდე თან სდევდა დიდ პოეტს. იმ დროს, როცა ყველა მოწაფე იზეპირებდა გაკვეთილებს, გალაკტიონი თურმე ჩვეულებრივი, სადა ენით ჰყვებოდა. ერთხელ დავალება მიუციათ სემინარიაში. უნდა დაეწერათ თემა „Сбор винограда в Грузии“. გალაკტიონის ნამუშევარი განსაკუთრებული არ ყოფილა, მაგრამ უცბად გაისმა — ტაბიძე ლექსებს წერსო. სემინარიის რექტორიც გასცნობია მის ლექსებს და გალაკტიონისადმი დამოკიდებულება იმ დღიდან შეიცვალა...

მოსკოვში უნდა გამოცემულიყო გალაკტიონ ტაბიძის ლექსების კრებული. თვითონ მისულა თავის ყოფილ მასწავლებელთან — იპოლიტე ვართაგავასთან და ბწკარედის გაკეთება უთხოვია. ეს თხოვნა დაუყოვნებლივ შეუსრულებია ბატონ იპოლიტეს.

... გალაკტიონის ბოლო კრებულის გამოსვლასთან დაკავშირებით, მასწავლებელთა სახლის ლიტერატურული წრის ხელმძღვანელის — იური ჩიკვაიძის ინიციატივით, სახლის საჯარო დარბაზში მზადდებოდა პოეტის საღამო... გალაკტიონისათვის ფოტო უთხოვიათ დარბაზში დასაკიდებლად. პოეტს იდუმალი ღიმილით უთქვამს: „დიდი ხანია სურვილი მაქვს, სურათი გადავიღო ჩემს ყოფილ მასწავლებელ იპოლიტე ვართაგავასთან. წავიდეთ მასთან...“

ბატონი იპოლიტე იხსენებდა: „მაშინდელი აკაკი წერეთლის ქუჩაზე, სადაც ვცხოვრობდი, მოულოდნელად ზარის ხმა გაისმა. ოთახში გალაკტიონი და იური ჩიკვაიძე შემოვიდნენ და შიხმანის ფოტოატელიეში მთხოვეს წასვლა სურათის გადასაღებად. მე მათზე არანაკლებ მიხაროდა, სიამაყის გრძნობით ვივსებოდი, როცა ჩემი ყოფილი მოწაფის, იმ წუთში ოლიმპიელი ზევსის ხელკავით წერეთლის ქუჩას მივუყვებოდი“...

ბატონი იპოლიტესათვის დაუვიწყარი გამხდარა ის დღე. თვითონვე ამბობდა შვილიშვილებთან: „მაგიდის შუაში ვზივარ მე, ღრმად მოხუცი ადამიანი, გალაკტიონის ყოფილი მასწავლებელი და რიგითი კალმოსანი. ჩემ გვერდით სხედან XX საუკუნის ქართული პოეზიის გვირგვინი — გალაკტიონი და მისი მეგობარი — იური ჩიკვაიძე“.

ლელა ხიყამვილი

სიყვარულზე საუბარს პარტიის ყრილობაზე საუბარი მირჩევნია!

ნანა ქიბიშაური

ვინ არის ეს კაცი სამხედრო ფორმით, ჩინ-მედლებით, ქართული სახით და ქორული გამოხედვით? ვინ და — პანტელეიმონ გიორგაძე! კარგად დააკვირდით: თვალები ჰგავს? — ჰგავს! ცხვირი ჰგავს? — ჰგავს! ულვაშები ჰგავს? — ჰგავს! ესე იგი... ჰგავს!

პანტელეიმონ გიორგაძე ამ ფოტოს გადაღების დროს იმ ასაკშია, როცა გენერლობაზე მხოლოდ ოცნებობენ, არადა, უკვე კაპიტნის წოდება აქვს. მართალია, ამ ბოლო დროს მას ყველა ოცნება ისე არ უსრულდება, როგორც ახალგაზრდობაში ჯარისკაცული ოცნება აუხდა, მაგრამ მხედრულ შემართებას მაინც არ კარგავს.

გენერლობის გარდა, ბატონ პანტელეიმონს, კიდევ ერთი ოცნება ჰქონია. ამ ოცნებას კი ვალია რქმევია. ბატონი გენერლის პირველი სიყვარული ქორწინებით დამთავრებულა. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. გიორგაძეების ტერორისტული საქმიანობის რა მოგახსენოთ, მაგრამ რაც ჩემი თვალით ვნახე, იმას გადმოგცემთ: — ბატონი პანტელეიმონი და ქალბატონი ვალია ადამ და ევასავით უხდებიან ერთმანეთს.

— ბ-ნო პანტელეიმონ, ჟურნალისტებმა შეიძლება თავიც კი მოგაბეზრეთ ყრილობაზე დასახულ სამომავლო ამოცანებსა და პერსპექტივაზე დასმული შეკითხვებით, ამიტომ, ამჯერად იქნებ უფრო მსუბუქ თემაზე ვისაუბროთ — მაგალითად, პირველ სიყვარულზე.

— ამ თემაზე საუბარს, ისევ ყრილობაზე საუბარი მირჩევნია.

— რატომ?

— კომუნისტური პარტიის იდეოლოგიაში მე ქვეყნის გადარჩენის გზას ვხედავ და სერიოზულ საკითხებზე საუბარი არ მეზარება. პირველი სიყვარული კი... რაღა დროს ჩემი სიყვარულია — არც შემეფერება ამის გახსენება. მოგეხსენებათ, ჩემი ოჯახი დაქსაქსულია: 6 წელია, ჩემი შვილი, რძალი და შვილიშვილები არ მინახავს, ჩემი სიყვარული რა გასახსენებელია, როცა ჩემი შვილიშვილი, 24 წლის ბიჭი, მატერიალური მდგომარეობის გამო ვერ დაქორწინებულა.

— ვისზე აპირებს დაქორწინებას? რამდენადაც ვიცი, ხმები პუტინთან თქვენი დამძახლების შესახებ სასტიკად უარყავით.

— მე არ ვიცი, ბოლოს ჩემი შვილიშვილი ვისზე დაქორწინდება, მაგრამ ვიცი ის, რომ ამ პირობებში მას ამის დრო არა აქვს. იგორის ოჯახის წევრები ფაქტობრივად დევნილები არიან. თანაც, მათ ათასგვარ ტყეულ ბრალდებას უვრცელებენ.

— თქვენ, თქვენს შვილიშვილთან შედარებით, ალბათ უფრო სასურველ სასიძოდ ითვლებოდით. იმ დროს „ფორმიანი“ კაცი მანდილოსნებში მეტი პოპულარობით სარგებლობდა.

— გეთანხმებით, სხვა დრო იყო, მე მართლაც სხვანაირი ახალგაზრდობა მქონდა, სხვა თაობა ვიყავით, სხვა მუსიკას ვუსმენდით, სხვა წიგნებს ვკითხულობდით, „ტანც პლაშჩადკებზე“ დავდიოდით, გოგონებს ვხვდებოდით და ვამყობდით იმით, რომ ერთგულება და დიდი სიყვარული შეგვეძლო. დღეს ჩემი სიტყვების გაგება მხოლოდ ჩემი თაობის ხალხს შეუძლია, რადგან სიტყვა „სიყვარული“ საქართველოში სიტყვა „სექსმა“ შეცვალა. ადრინდელი — „მე შენ მიყვარხარ!“ იცით, დღეს როგორ ჟღერს? „შენ რა სექსი ხარ, ტო!“

— ესეც შევარდნაძის ბრალია?

— აბა, ჩემი ბრალია? ეს იმის შედეგია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ზნეობრივად გარყვნეს და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

— თუ გახსოვთ, როგორ და ვის გამოუტყდით პირველად სიყვარულში?

— როგორ არ მახსოვს — ამის დავიწყება არც შეიძლება. მე მაშინ ალმა-ათაში, სამხედრო კავალერიის სასწავლებელში ვსწავლობდი. 20 წლის ვიქნებოდი. საღამო ჟამს ჩემს მეგობართან ერთად მივსეირნობდი ქუჩაში, ამ დროს, ქუჩის ბოლოდან ჩვენკენ მომავალი გოგონა დავინახე. დავინახე და სუნთქვა შემეკრა. ისე მოხდენილად მოდიოდა და ისე იღიმებოდა, ეტყობოდა, რომ რაღაცით ძალიან გახარებული იყო. მე გამოველაპარაკე: გოგონა, რა გიხარიათ-მეთქი? მან კი მიპასუხა — დღეს საბჭოთა პასპორტი ავიღეო!.. ასე გავიცანი ქალი, რომელიც შემიყვარდა. ციმბირელი იყო, ვალია ერქვა. სიყვარული პირველად მას ავუხსენი, ნახევარ წელზე მეტხანს ვხვდებოდით ერთმანეთს. შემდეგ დავქორწინდით და საცხოვრებლად „ყაზახისტანში“ წავედით. იქ შეგვეძინა პირველი შვილი — იგორი, შემდეგ მარინა დაიბადა...

— მაინც როგორი იყო შეყვარებული კავალერისტი პანტელეიმონ გიორგაძე — რომანტიკული? მებრძოლი? თუ ჩაფიქრებული?

— ახლა როგორიც ვარ, ისეთივე ვიყავი. იმიტომ, რომ მე დღესაც ისევე მიყვარს, როგორც მაშინ. ჩვენ ერთად ბევრი რამ გადავიტანეთ და რომ არა ის სიყვარული, რამაც ოჯახი შეგვაქნევინა, ამდენ პრობლემას, რომელიც ხელოვნურად მოახვიეს ჩემს ოჯახს თავზე, ვერ მოვერეოდით. ვალიას ჩემ გვერდით არ ჰქონდა მშვიდი ცხოვრება, თუმცა კარგად მოსაგონარი დღეც ბევრი გვაქვს. დღეს ჩვენი მთავარი სადარდებელი დაფანტული ოჯახია. კარგ დღეებსა და პაემნებზე უფრო დაწვრილებით მაშინ მოგიყვებით, როდესაც მე, ჩემი მეუღლე, შვილები და შვილიშვილები — ყველანი ერთად შემოვუსხდებით საოჯახო სუფრას. ასეთი დღის გათენებას კი მე და ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული, მოთმინებით ველოდებით. ■

პუტინის ქართველი

ორეული თუ ძმა?

ნანა ქიბიმაური

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს უმაღლესი პირებისათვის „ორეული“ ძალზედ საჭირო და, ამავე დროს ძალზედ სახიფათო ფენომენია. ცნობილია, რომ პრეზიდენტების ორეულების „დავერბოვკებისთვის“ სახელმწიფო უშიშროების გარდა, დაინტერესებული ქვეყნის დაზვერვაც დიდი მონდომებით მუშაობს. ე.წ. თადარიგის დუბლი ჰყავდა ნაპოლეონს, ლენინს, სტალინს, ჰიტლერს, ბრეჟნევს, ელცინს. ჩვენთან რატომღაც არავის უნახავს შევარდნაძის ორეული, სამაგიეროდ, ასლან აბაშიძის მსგავსი „ტიპები“ ყოფილან მრავლად. სტალინის ორეული თურმე თავის სამუშაო დღეებში ტრიბუნაზე იდგა და „ჩესტით“ იღებდა აღლუმს. ამ დროს დიდი ბელადი საკუთარ კაბინეტში ივჯდა და ძვირფას დროს უქმად არ კარგავდა. თავისუფალ დღეებში კი ცრუ სტალინი რიწის აგარაკზე ისვენებდა. ბრეჟნევის ორეული თურმე ბრეჟნევზე უკეთესად გამოდიოდა კრიტიკული მდგომარეობიდან და საქვეყნო საქმეებით დაკავებულ „პატრონს“ დროდადრო „თავისი“ წიგნების წაკითხვის საშუალებასაც აძლევდა. ბრეჟნევის ორეულს ნამდვილი ბრეჟნევისგან, თურმე პირადი დაცვის წევრებიც ვერ არჩევდნენ და ხშირად თვითონაც არ იცოდნენ, როდის ვის იცავდნენ. ასე რომ, ცნობილი მისალმების ავტორი (Дорогой Индира Ганди) შეიძლება სრულებით არ არის ლეონიდ ილიას ძე. ამ ალბათობას ზრდის ისიც, რომ დუბლიორ ბრეჟნევსაც სიბერის წყეული სენი – სკლეროზი სჭირდა. ცუდ დღეში იყო დაცვა: ამათ თვითონაც აერიათ, რომელია ნამდვილი და რომელი ორეული და ჩვენ როგორ გავარჩიოთო?!

რუსეთის ახლანდელი პრეზიდენტის პირადი მცველები ამ დილემის წინაშე ნამდვილად არ დგანან. მათი პრეზიდენტი ახალგაზრდაა და ფიზიკურად ჯანმრთელი. მისი ორეული კი – რუსეთიდან შორს, მზიურ საქართველოში ცხოვრობს. სად ვიპოვეთ ჩვენებური „პუტინი“? სად და – არც მეტი, არც ნაკლები – მეტროში. ვინ აღმოაჩინა? ვინ და ჩვენმა „პაპარაციმ“. მსგავსება იმდენად დიდი იყო, რომ, როგორც ჩანს, საკუთარ პროფესიულ მზერასაც არ ენდო ბოლომდე და მიჩურჩულა: „შეხედე, ერთი, პუტინია თუ პუტინის ორეული?“ ნაჩვენები მიმართულებით გავაპარე მზერა და რას ვხედავ: ვაგონის კარს მიყრდნობილი ვლადიმირ პუტინი ისეთი კეთილი ღიმილით შემომცქერის, თითქოს მე ვბომბავდე ჩეჩნეთს! სანამ მე შთაბეჭდილებიდან გამოვიდოდი, „პაპარაციმ“ „წაიპაპარაცა“ და პუტინს რამდენიმე კადრი გადაუღო. შემდეგ გამოველაპარაკეთ. მაშინვე მიხვდა, რაც გვაინტერესებდა და გულღიად დაიწყო: მეგობრებო, მე არ ვარ პუტინი. მე ვარ ივანე შერმადინი. ძმაკაცებთან ვიყავი, ერთი-ორი ჭიქა დავლიე. ერთმანეთს სხვა დროს შევხვდეთ და მაშინ, რაც გინდათ, ის მკითხეთო. შეხვედრის დროც დავთქვით და რამდენიმე დღის შემდეგ ეს ინტერვიუც „გამოვაცხვეთ“.

— ბატონო ივანე, ეი. თქვენ ხართ თბილისელი „პუტინი“?

– ამჟამად თბილისში ვცხოვრობ, ისე კასპის რაიონიდან ვარ.

— კასპიდან? დედათქვენს ვერა ხომ არ ჰქვია?

– არა, ციალა ჰქვია.

— როგორც მახსოვს, ვინმე ვერა პუტინა, რომელიც კასპიდან არის, აცხადებს, რომ ვლადიმირ პუტინი მისი შვილია.

– კი, ამის შესახებ მეც წამიკითხავს. კასპში ერთი მწვრთნელია, სპორტსკოლის დირექტორი ლავრენტი კაციაშვილი. მე მისგან მსმენია, რომ პუტინი კასპში იზრდებოდა და ჭიდაობაც პირველად მასთან დაიწყო.

— შემთხვევით, თქვენც ხომ არ ჭიდაობთ?

– მე თავის დროზე 60 კგ წონით კატეგორიაში სამბოსა და ძიუდოში საქართველოს ჩემპიონიც ვიყავი.

— აი, კიდევ ერთი დამთხვევა. კიდევ თუ გაქვთ რაიმე საერთო რუსეთის პრეზიდენტთან?

– საერთო არაფერი მაქვს. უბრალოდ, გარეგნობით ვგავარ. ჩემი მეგობრები მოსვენებას აღარ მაძლევენ – ისე ჰგავხარ, აქ რაღაც სხვა ამბავი იქნებაო. მოკლედ, რაც პუტინი პრეზიდენტი გახდა, მოსვენება აღარ მაქვს, ერთი სუფრიდან მეორეზე მეპატიჟებიან. ჩემი მეუღლე სულ იმ არჩევნებს წყევლის, ეს რა დღეში ჩამაგდო ელცინმა – ქმარი გამილოთაო.

— თქვენ ხუმრობთ, მაგრამ

მართლაც საეჭვოდ ჰგავხართ. ჩვენთან ასეთ დროს, ხომ იცით, რა კითხვაც ჩნდება. თქვენ ვისზე გაქვთ ეჭვი?

— მამაჩემზე. პუტინი რომ მე მგავს, ამაში მამაჩემის... „ხელი“ ურევია... ცოცხალი რომ იყოს, დავსვამდი და კაცურად დაველაპარაკებოდი. ახლა რა ვქნა, არ ვიცი, მგარ შარში კი გამხვია... ისე, მამაჩემს, მიხეილს ახალგაზრდობაში რუსეთისკენ ხშირად უწევდა მოგზაურობა და, რამდენადაც ვიცი, საკმაოდ ცულლუტი კაცი იყო. არც რუსი ქალები ყოფილან მის მიმართ გულგრილნი... ამ საკითხს რამდენიმე თვეა, რაც ჩავუღრმავდი და ვცდილობ, დავადგინო, მიხოს გენი ხომ არ ურევია ვალოდიას სისხლში. ჯერჯერობით მამაჩემის ახლობლების გამოკითხვას ვაწარმოებ და თუ სარწმუნო ინფორმაციები შევაგროვე, ვეცდები, პუტინსაც დავუკავშირდე... ეგ რომ მოხდეს, ადამიანურად ავუხსნი და იქნებ საბოლოოდ გაირკვეს, რა ხდება ჩემს თავს, თუ — ჩვენს თავს?!..

— მართლა რომ თქვენი ძმა აღმოჩნდეს, მერე რას აპირებთ?

— ეგ მაინც სათუოა, მაგრამ რა ვიცი, ყველაფერი ხდება და თუ ეს სიმართლე აღმოჩნდა და გვიკადრა, საქართველოში, ჩემთან დავპატიჟებ და ყანწით სმას ვასწავლი. მერე ვნახოთ... ეს ხუმრობით, თორემ სიმართლე რომ გითხრათ, ამ თემაზე საუბრით ახლობლებმა ისე შემაწუხეს, მგონი სერიოზულადაც ვიწყებ ამ საკითხზე ფიქრს. არადა, წამიერად რომ წარმოვიდგენ, ამ შემთხვევაში რამდენ ხათაბალას შეიძლება გადავაწყდე... ეღიზიანდები.

— მართლა ხომ არ ბრაზდებით? ბოლოს და ბოლოს, კორეის პრეზიდენტთან მსგავსებას, ისევ რუსეთის პრეზიდენტთან მსგავსება სჯობს. მაინც ჩვენი მეზობელია!

— არ ვბრაზდები, პირიქით, როცა ეკრანზე ვხედავ, თვალს არ ვაცილებ და ჩემს თავს ვიჭერ იმაში, რომ რაღაც თბილი გრძნობაც კი მიჩნდება ხოლმე მის მიმართ. მინდა უფრო ახლოს ვიცნობდე, მინდა კარგად იყოს, მას შემდეგ კი, რაც გავიგე, რა სპორტული კარიერაც ჰქონია, უფრო მეტად „ვბალელშჩიკობ“. ჩვენ, ძიუდოისტებს სხვა სპორტსმენებთან შედარებით განსაკუთრებული პატივისცემა გვაქვს ერთმანეთის მიმართ.

— ეს პატივისცემა ჭიდაობაში ხელს არ გიშლით?

— არა. მე, მაგალითად, ვლადიმირსაც (უკვე შინაურულად ვიხსენიებ) სიამოვნებით დავეჭიდებოდი.

— ის თუ გეჭიდავებოდათ?

— პუტინი ნამდვილი ძიუდოისტია და დარწმუნებული ვარ, უარს არ მეტყვის. ერთი, რუსეთამდე ჩავაღწიო, ჩემი ორეული ახლოდან ვნახო და მერე მე ვიცი!

— როგორი იყო თქვენი რეაქცია, როცა აღმოაჩინეთ, რომ ვიღაცის ორეული ხართ?

— სანამ მე ვნახავდი, რამდენიმე კაცმა მითხრა, ტელევიზორში გნახეთ და თვალებს არ ვუჯერებდით — ეს რა ხდება, ჩვენი ივანე სად „გაქაჩულაო“. დავინტერესდი, დავჯექი ტელევიზორთან და პუტინი რომ გამოჩნდა, მეც არ დავუჯერე თვალებს, ფაქტია — მგავს.

— მოულოდნელად მის ადგილას რომ აღმოჩნდეთ, პირველ რიგში რას მოიმოქმედებთ?

— რა თქმა უნდა, სავიზო რეჟიმს გავაუქმებ. ■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რა ეწოდება ცირკში პროგრამის წამყვანს?

ა) კონფერანსიე;
ბ) შპრეხშტალმაისტერი;
გ) მაესტრო.

2. რომელი თეორიის ავტორია დიმიტრი უზნაძე?

ა) განწყობის;
ბ) თამაშთა;
გ) ალბათობის.

3. როდის მოხდა ნობელის პრემიის ლაურეატების დაჯილდოება პირველად?



ა) 1898 წელს;
ბ) 1901 წელს;
გ) 1907 წელს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

77 წლის კაცმა თავის ძმას შვილი მოუკლა

„ბუვიის გასროლამდე ჩემი ძმისშვილის უმადურობამ მიმიყვანა“

მიხეილ მაისურაძე

ანა პირველი

ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში 79 წლის მოხუც კაცს მკვლელობისთვის ასამართლებენ. ორი წლის წინ პოლიციაში მისული შეტყობინების თანახმად, მიხეილ (მიშა) მაისურაძემ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ღვიძლი ძმისშვილი – 30 წლის ავთანდილ მაისურაძე სიცოცხლეს გამოასალმა.

ვაკის რაიონის პროკურატურამ მიშა მაისურაძის წინააღმდეგ საქმე 1999 წელს აღძრა. სამართალდამცავთა ინფორმაციით, მან ძმისშვილის მკვლელობა თბილისში თავის საკუთარ ბინაში (ყიფშიძის ქუჩის №18-ში) წინასწარი განზრახვით ჩაიდინა. ავთანდილ მაისურაძეს ტყვია გულმკერდის არეში მოხვდა და ადგილზევე გარდაიცვალა. მომხდარის შესახებ ნათესავებს ტელეფონით თავად მიხეილ მაისურაძემ შეატყობინა, მერე კი პოლიციას ჩაბარდა. შემთხვევის ადგილას მისულმა ახლობლებმა და სამართალდამცავებმა მოკლულის სხეული ეზოში ცალკე აშენებულ სამზარეულოს კართან, ძირს დავარდნილი იპოვეს. ფანჯრის მინა ჩამტვრეული, ხოლო კარის სახელურებში რკინის დიდი ჯაჭვი იყო გაყრილი. ექსპერტების თქმით, გარდაცვლილს ტყვია გვერდიდან სროლის შედეგად გულში აქვს მოხვედრილი, რასაც სხეულზე არსებული კვალი მოწმობდა.

გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 1999 წლის 13 სექტემბერს, საღამო ხანს, ავთანდილ მაისურაძე, ჩვეულებრივ, ბიძას ესტუმრა. ავთანდილ მაისურაძე უცოლშვილო, პროფესიით ექიმი-სტომატოლოგი გახლდათ, თუმცა არსად მუშაობდა და ძირითადად, გორის რაიონის სოფელ არბოში პაპისეულ სახლში ცხოვრობდა. დროგამოშვებით თბილისში ჩამოდიოდა და ღამეს თავის ბიძასთან ათევდა. იმ საღამოს ბიძამ, ჩვეულებისგან განსხვავებით, ძმისშვილი შინ არ შეუშვა, თავად კი ეზოში, ცალკე აშენებულ სამზარეულოში ჩაიკეტა და ავთანდილს, დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, კარს არ უღებდა. მოთმინებიდან გამოსულმა ავთანდილ მაისურაძემ ფანჯრის მინების მტვრევა დაიწყო. სწორედ ამ დროს ბიძამისმა სახლში შენახული იარაღი აიღო და ძმისშვილს ესროლა.

პროკურატურის ინფორმაციით, მიხეილ მაისურაძემ ცეცხლსასროლი იარაღი – „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი თავისივე საბრძოლო ვაზნებით, მეტრო „ვოცირიძის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, გამოძიებით დაუდგენელი პირისგან, უკანონოდ, 200 ლარად შეიძინა. სამართალდამცავებმა მიხეილ მაისურაძე დააკავეს, თუმცა მისი ასაკი და ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა მხედველობაში მიიღეს და საკანში მოთავსების ნაცვლად, სასამართლოს განაჩენამდე შინაპატიმრობა მიუსაჯეს.

განსასჯელი, ავთანდილ მაისურაძის განზრახ მკვლელობაში თავს დამნაშავედ არ ცნობს. ჩვენთან საუბრისას ამ ტრაგედიაში მან თავად გარდაცვლილი დაადანაშაულა.

მიხეილ მაისურაძე:

„1922 წელს ვარ დაბადებული, ცხოვრებაში ბევრი რამ მინახავს, მაგრამ ჩემს თავს ასეთი უბედურება თუ დატრიალდებოდა, ვერასოდეს წარმოვიდგენდი... მე და ჩემი მეუღლე თავიდანვე ყიფშიძის ქუჩაზე, იმ სახლში ვცხოვრობდით. სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერებათა კანდიდატი გახლავართ, წლების მანძილზე სოფლის მეურნეობის ინსტიტუტში ლექციებს ვკითხულობდი, უამრავი განათლებული მეგობარი და ნაცნობი მყავდა, ფულიც საკმარისად მქონდა და შემეძლო ეს ყველაფერი ჩემი შვილების სასიკეთოდ მომეხმარა, მაგრამ ღმერთმა ასე არ ინება – მე და ჩემს მეუღლეს საკუთარი შვილი არ გაგვიჩნდა. სამაგიეროდ, სამი ძმისშვილი მყავდა და გადავწყვიტეთ, მთელი ჩვენი ყურადღება, მზრუნველობა მათზე გადაგვეტანა. საკუთარი შვილებივით ვზრდიდით, არაფერს ვაკლებდით, უფრო ხშირად ჩემთან იყვნენ, ვიდრე თავიანთ მშობლებთან. მათთვის ვცხოვრობდი ამქვეყნად. წარმოიდგინეთ, სამივეს ჯერ გაკვეთილებს ვასწავლიდი, გამოკითხავდი და საჭმელს მხოლოდ ამის შემდეგ შევჭამდი... სამივე სამედიცინო ინსტიტუტში მოვაწყვე, მაგრამ სტუდენტები გახდნენ თუ არა, შეიცვალნენ. მინდოდა ამაგი დაეფასებინათ, თუმცა ამას მათგან ვერ ვგრძნობდი. განსაკუთრებით, ჩემი ცოლის სიკვდილის შემდეგ „გაცივდნენ“. ორი მათგანი დაოჯახდა, მესამე – ავთო დარჩა უცოლშვილოდ. გზას ასცდა, კარტის თამაში დაიწყო, ვიღაც ქუჩის ბიჭებს დაუმეგობრდა, მუდამ ფულს აგებდა, რის გამოც ბევრი ვალი დაუგროვდა. გადასახდელი თანხა კი არ გააჩნდა, რადგან არსად მუშაობდა, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიით ექიმი გახლდათ. პრობლემები რომ გაუჩნდა, ალკოჰოლურ სასმელებს მიეძალა, თითქმის ყოველდღე მთვრალი დადიოდა. სხვებისგან მომდიოდა ეს ამბები, თუმცა, მეც ვხვდებოდი: ჩემთან რამდენჯერაც მოვიდა, იმდენჯერვე ნასვამი იყო. ფულს მთხოვდა, მეუბნებოდა – ეს სახლი გაყიდე, თანხა მომეცი, შენ კი სოფელში – არბოში წადი საცხოვრებლადო. რა თქმა უნდა, უარს ვეუბნებოდი – მთელი ცხოვრება შენ და შენს და-ძმას შემოგწირეთ, არაფრით დამიფასეთ, უპატრონოდ გყავართ მიტოვებული და ახლა სახლის გაყიდვასაც მთხოვ-მეთქი? ჩემი ცოლი ამ კედლებში გარდაიცვალა, აქედან გაასვენეს და მეც აქ უნდა დავლიო სული-მეთქი. მაგრამ ავთოს ამის გაგონებაც არ სურდა, მისი მოთხოვნა თანდათან ყვირილსა და მუქარაში გადაიზარდა. რამდენჯერმე მთვრალი მოვარდა, მოკვლით დამემუქრა და მოხრჩობაც კი დამიპირა, მაგრამ რაღაცნაირად გადავრჩი, ხან ჩემი მოხერხებულობით, ხანაც – რა ვიცი, ღმერთმა ინება ასე...

1999 წლის ივლისი იყო, როცა

გაბრაზებული კვლავ მოვარდა და ყვირილისა და ლანძღვა-გინების შემდეგ ძაღლი მომიკლა. ის ძაღლი ჩემი იმედი გახლდათ, ძალიან ავი იყო და ჩემს სიახლოვეს კაციშვილს არ უშვებდა. ავთომ ეს რომ ჩაიდინა, პირველი, ნამდვილი შიში სწორედ მაშინ ვიგრძენი. ვიფიქრე – ამას რაღაც ცუდი აქვს ჩაფიქრებული-მეთქი და გადავწყვიტე, იარაღი შემეძინა. ცოლის ნივთები გავყიდე და ფული ამ გზით დავაგროვე. წავედი და „ხელზე" ერთი კაცისგან პისტოლეტი ვიყიდე. რა სისტემის იყო, არ ვიცი, მაგრამ შიგ ტყვიებიც იდო. იარაღი წამოვიღე სახლში და შევინახე. ისევ რომ მოვიდეს და მოხრჩობა დამიპიროს, ვისვრი და დავაშინებ, მეორედ ჩემთან მოსვლას ველარ გაბედავს-მეთქი, ვიფიქრე.

იმ დღეს, 13 სექტემბერს, სახლში, ჩვეულებრივ, მარტო ვიყავი და კერძს ვამზადებდი. სამზარეულო ეზოში ცალკე დგას, მეც იქ გახლდით. კარი ჩაკეტილი მქონდა, რადგან ყოველთვის ვფრთხილობდი. ბინდდებოდა, როდესაც ჩემი ძმისშვილი, დაახლოებით 3-4 პიროვნებასთან ერთად სამზარეულოს კართან მომადგა. გარედან დამიძახეს – კარი გააღეთო. მე, რა თქმა უნდა, ვიუარე. მაშინ უცნობებმა მითხრეს – პოლიციიდან ვართო და რაღაც საბუთიც დამანახვეს, მაგრამ ძალიანაც რომ მომენდომებინა, იმ სიბნელეში მაინც ვერაფერს წავიკითხავდი, თუმცა მათი სიტყვების არც მჯეროდა. ვუპასუხე – თუ ნამდვილად პოლიციიდან ხართ, ჩემთან რა გინდათ, ამ ღამეში რომ მომადექით, მე რა დანაშაული მიმიძღვის-მეთქი? – არა, ახლავე უნდა წამოგვყვე განყოფილებაშიო. ვუთხარი – არსადაც არ წამოვალ, თუკი ასეთი საჭირო კაცი ვარ თქვენთვის, ხვალ დილით ჩემი ფეხით მოვალ პოლიციაში, ღამით კი არ წამოგყვებით-მეთქი. ამ სიტყვების შემდეგ ისინი გაბრუნდნენ და მანქანით წავიდნენ. იმწუთას ჩემი ძმისშვილიც მათ გაჰყვა, თუმცა ცოტა ხანში ისევ მობრუნდა. სამზარეულოს კართან დადგა და ყვირილი დაიწყო – ახლავე შიგნით შემომიშვი, შენ გამო პოლიცია მე მადანაშაულებსო (რაში სდებდნენ ბრალს, ან მე რა შუაში ვიყავი, არ უთქვამს) და კარს ჯაჯგური დაუწყო. სახლში დიდი რკინის ჯაჭვი მქონდა და ის საჩქაროდ სახელურებს გავუკეთე. ეს რომ დაინახა, ფანჯრებზე გადავიდა – მინა შემოამტვრია. სწორედ მაშინ ავიღე იარაღი და კარის მიმართულებით გავისროლე... ტყვია მას მოხვდა...

ამ ამბავმა ჩემზე საშინლად იმოქმედა. წარმოიდგინეთ იმ კაცის მდგომარეობა, რომელმაც ძმისშვილი საკუთარი შვილივით გაზარდა, ასვა, აჭამა, ტანთ ჩააცვა, ასწავლა, მერე კი იმავე ძმისშვილმა, თავისი უმადური საქციელით იგი – 77 წლის მოხუცი, ტყვიის გასროლამდე მიიყვანა! იმ ტყვიამ ავთოს სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ მე სხვა გზა არ მქონდა – თავი უნდა დამეცვა..."

ამ საშინელი ამბის მოყოლისას მიხეილ მაისურაძეს დროდადრო ტირილი ერეოდა და სულ ერთიანად კანკალებდა. თუმცა, ისიც გვითხრა, რომ მოსამართლის დიდი იმედი აქვს და ეჭვი არ ეპარება მის სამართლიანობაში. განსასჯელის ერთ-ერთი ნათესავის თქმით (მან თავისი სახელისა და გვარის გამომზეურებაზე უარი გვითხრა), მიხეილ მაისურაძე, ჩადენილი მკვლელობის შემდეგ ძალიან ცუდად იყო, მძიმედ დაავადდა და ფსიქიკაც საგრძნობლად შეერყა. თუმცა ამჟამად, შედარებით მომჯობინებულია და, რაც მთავარია, საღად აზროვნებს.

გამოძიების მასალებში აღნიშნულია, რომ მიხეილ მაისურაძეს დადებით პიროვნებად ახასიათებენ, თუმცა განსასჯელის ოჯახის წევრები – კერძოდ, მისი ძმა, რძალი და დანარჩენი ძმისშვილები ამ აზრს არ იზიარებენ.

„ბიძაჩემის მონათხრობიდან ერთი სიტყვაც კი არ შეეფერება სიმართლეს. როცა მის მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება წავიკითხე, გავოგნდი. დღემდე ვერ გამიგია, რაში დასჭირდა ჩემი ძმის მოკვლა, ან როგორ გაიმეტა მოსაკლავად? მასთან ვიზრდებოდით, მერე კი, როდესაც მოხუცდა, ყურადღებას არ ვაკლებდით. ავთო სოფელში ცხოვრობდა, იქ საკუთარი სტომატოლოგიური კაბინეტი ჰქონდა, მიწაზეც მუშაობდა, მოსავალიც მოჰყავდა და მთელ ოჯახს ის არჩენდა. ბიძამისზეც ზრუნავდა, წამლებს, საჭმელს ის უზიდავდა...

ყიფშიძის ქუჩაზე რომ სახლია, ის მამაჩემს ეკუთვნის, ოფიციალურად მასზეა გაფორმებული, რისი დამადასტურებელი საბუთებიც გვაქვს. ბიძაჩემი და ბიცოლაჩემი სწორედ მამაჩემის სახლში ცხოვრობდნენ, მაგრამ ისინი არასოდეს არავის შეუვიწროებია. არც ცოლის სიკვდილის შემდეგ აგდებდა ვინმე მიხეილ მაისურაძეს. საქმე ის გახლდათ, რომ ჩემს ძმას სოფელში კერძო კლინიკის გახსნა უნდოდა, ფული სჭირდებოდა, რის გამოც მთელმა ოჯახმა გადავწყვიტეთ, ყიფშიძის ქუჩაზე არსებული სახლი გაგვეყიდა. მამაჩემმა ბიძაჩემს შესთავაზა – სადაც გინდა, იქ გიყიდი ბინას, თუ არა და, სოფელშიც შეგიძლია იცხოვრო, გნებავს, ჩემთან გადმოდი საცხოვრებლადო. ჩემი ძმა მას თავს არასოდეს დასხმია და ამას არც იკადრებდა, რადგან ის სხვა სულის და ბუნების ადამიანი გახლდათ. იმ დღეს, როგორც ჩანს, ბიძა მიეპარა და ტყვია მოულოდნელად დაახალა, თორემ ავთოს მისი მოგერიება არ გაუჭირდებოდა" – დასძენს მოკლულის – ავთო მაისურაძის და. იმავე პოზიციის გახლავთ ვაკის რაიონის პროკურორი, რომელმაც მიხეილ მაისურაძეს 105-ე და 238-ე (I-II) მუხლები (ძველი რედაქციით – განზრახ მკვლელობა და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შენახვა-ტარება) წაუყენა.

„აღსანიშნავია, რომ მიხეილ მაისურაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 1990 წელსაც იყო აღძრული. მას ბრალი მაშინაც განზრახ მკვლელობაში ედებოდა, 11 თვის მანძილზე წინასწარი პატიმრობის იზოლატორში იჯდა, თუმცა საქმის გამოძიება ბოლომდე არ მისულა. იგი გარდაბნის პროკურატურის მიერ შეწყვეტილი იქნა იმ მოტივით, რომ მაისურაძის წინააღმდეგ საკმარისი სამხილი არ მოიპოვებოდა", – განაცხადა პროკურორმა.

ეს ფაქტი განსასჯელის ნათესავებმაც დაადასტურეს: **„იმ პერიოდში მას გარდაბნის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მეურნეობის თავმჯდომარესთან – მაღლაკელიძესთან ერთად ნაკვეთები ჰქონდა აღებული, სადაც ბოსტნეული მოჰყავდათ. თუმცა, მოსავალი განადგურდა, რაშიც მიხეილ მაისურაძე მაღლაკელიძეს ადანაშაულებდა და მას ზარალის ანაზღაურებას სთხოვდა. ის კაცი ფულს ვერ აძლევდა, რის გამოც ერთმანეთში შელაპარაკება მოუვიდათ. მკვლელობაც სწორედ მაშინ ჩაიდინა. თუმცა, როგორც ამბობენ, იმისათვის, რომ ციხეში არ ჩაესვათ, პროკურატურას მან 12.000 დოლარი გადაუხადა".**

მიხეილ მაისურაძეს, პროკურატურის მიერ წაყენებული მუხლების შესაბამისად, 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. თუმცა, რამდენად სამართლიანია წარმოებული გამოძიება და პროკურორის აღნიშნული მოთხოვნა, ამას ალბათ ვაკის რაიონის სასამართლო გაარკვევს. მოსამართლე თეიმურაზ ანდღულაძე საბოლოო გადაწყვეტილებას მომავალ კვირას გამოიტანს. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის
უშის წიგნაკიდან:

1. აცტეკები თავიანთ ღმერთს კეცალკოატლის ფრთოსანი გველის სახით გამოსახავდნენ.

2. იულიუს კეისარს იმპერატორობამდე ედილის, კონსულის და პრეტორის თანამდებობანი ეკავა.

3. ბალთაზარ კოსა იმდენად მოუსვენარი ბუნებისა და თავისუფალი ქცევის ადამიანი იყო, უფრო პაპის მოპირდაპირეთა ბანაკში უნდა მოხვედრილიყო და მოხვდებოდა კიდეც, რომ თვით არ გამხდარიყო პაპი.

4. მგელს, ძველ გერმანულ მითოლოგიაში, რომელიც ჯოჯოხეთში მიცვალებულებს აწამებდა, ფერნისი ერქვა.

5. არისტოტელე მოწაფეებს ლიკეის ბაღში სეირნობის დროს ამეცადინებდა. P.S. სწორედ ამ სკოლა-ბაღის კურსდამთავრებული იყო ალექსანდრე მაკედონელი.

6. ტახტზე ასვლის დროს პაპი ჩვეულებრივ სახელს იცვლიდა.

7. წყლის საათს კლეპსიდრა ჰქვია.

8. ავღანეთის ომის თითოეული დღე საბჭოთა კავშირს 10 მილიონი მანეთი უჯდებოდა.

9. თერმოპილეს ხეობაში გოგირდოვანი წყლები ამოჩქეფს. თერმოპილე ბერძნულად „ცხელ ჭიშკარს“ ნიშნავს.

10. სპერმის ბანკის კლიენტებს მხოლოდ დონორის სიმაღლეს, წონას, ასაკს, თვალების ფერსა და ეროვნებას ატყობინებენ.

11. რომის პაპი პიუს V ენას უხვრეტდა ყველა სამღვდელო პირს, ვისი ქადაგებაც არ მოსწონდა.

12. ლეონარდო და ვინჩის ეკუთვნის მრავალი გაბედული, ნოვატორული პროექტი. მათ შორის არის საბეჭდი მანქანისა და წყალქვეშა ნავის პროექტები.

13. პლუტარქე თავისი განსწავლულობის და რომაული ორიენტაციის გამო, დაიახლოვა იმპერატორმა ტრაიანემ.

14. პანკების ყველაზე გავრცელებულ ვარცხნილობას „იროკეზი“ ჰქვია.

15. ბაირონის თარგმნა საქართველოში XIX საუკუნიდან დაიწყო. მის პირველ ქართველ მთარგმნელთა შორის იყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. P.S. ბაირონს ჯორჯ ნოელ გორდონი ერქვა.

16. ხოჭო მარტორქა ყველაზე ღო-

„გოგო მიდის მოხვეულში“...

მარადიული თემის თანამედროვე ვარიაცია

მედეა გოგსაძე

ისტორია ყოველთვის მეორდება.

საკითხავი მხოლოდ ის არის, რამდენად ჯობნის ან ჩამოუვარდება გამეორება ისტორიულ ანალოგს.

ჩვენს ისტორიაში ყველა სიუჟეტური ელემენტი ადგილზეა: „გოგო“ (უკაცრავად, ორმოცს გადაცილებული, მაგრამ სავსებით მედგრად მომზირალი ქალი), „ბიჭი“ (უფრო სწორად, მამრის ზომიერად ჩაპუტკუნებული ბნელი სილუეტი) და „მოხვეული“ (სადარბაზოს კიბე – ჩვენი „ენერგომამების“ მზრუნველობით, რომანტიკულად ჩაბნელებული, როგორც ჩანს, სიუჟეტის მეტი სიმძაფრისთვის). აი, დედა კი მონახაზიდან ამოვარდა, თუმცა, „გოგოს“ ასაკიდან გამომდინარე, სრულებით ზედმეტი დეტალი იქნებოდა. ამდენად, „ბიჭს“ (თუ მამრის სილუეტს – როგორც ისტორიის განვითარებიდან გამოჩნდება, ასე უფრო ზუსტია) ფართო გასაქანი მიეცა.

მოკლედ, მოვდივარ სარედაქციო კრებიდან და შემოქმედებითი წვით ჩაფერფლილს, დიდად არ მაღელვებს გლდანის უკუნი სიბნელე. ჩვენში დარჩეს და, ყოველგვარი მოულოდნელობა – როგორც სასიამოვნო, ისე პირიქით, – სწორედ წყვდიადშია დადარაჯებული.

ჰოდა, ამ აზრით გულმოცემული, უშიშრად შევდივარ დევის ბნელი ხახასავით დაფჩენილ სადარბაზოს შესასვლელში. სხვათა შორის, ხერხემალი თქვენი მონა-მორჩილისთვის ერთგვარი „ანტენის“ როლს ასრულებს – უშეცდომოდ მაგებინებს ზურგს უკან ცოცხალი ობიექტის სიახლოვეს და, წარმოიდგინეთ, ცუდ განზრახვას – ასეთ დროს ზურგის გაყოლებაზე მსუბუქი „წვა“ მეწყება. ამჯერად „ანტენა“ დუმს და დარდიც არაფრის მაწუხებს, მაგრამ...

პირველი სართული, მეორე, მესამე და...

„ანტენის“ ყურისწამღები „ზუზუნი“!

ზურგი დამდუღრულივით მეწვის!

წამში ვბრუნდები და ხელს

ვკრავ რაღაც უფორმო მასას, რომელიც მოაჯირზე თავს ძლივს იმაგრებს; ესეც სიუჟეტის მეორე აუცილებელი დეტალი — მამრის ზომიერად ჩაპუტკუნებული ბნელი სილუეტი! რატომ დუმდა „ანტენა“, სანამ ობიექტი ასეთ სახიფათო დისტანციაზე არ მომიახლოვდა? აჰ, გასაგებია, სურდოს გამო ვარ გაგუდული და ერთი სული მაქვს, სახლამდე როდის მივაღწევ. ენდე ამის შემდეგ „აპარატურას“!

„გიჟია, ოხერი!“ — ბრდღვინავს ჯეელი.

გიჟიც მე ვყოფილვარ!

„ხმა არ ამოიღო, თორემ დანას დაგარტყამ!“

კაცმა რომ თქვას, მშიშარა არა ვარ, მაგრამ დანის დარტყმის პერსპექტივა, ცოტა არ იყოს, გუნებას მიფუჭებს...

„გაჩერდი, მხოლოდ ჩანთას გაგისინჯავ და გაგიშვებ!“

უყურე ამ საზიზღარს! გაითვალისწინეთ, რომ ჩანთაში ორმოცი ლარი მიდევს და უკვე წინასწარ ვტკბები საკუთარი პერსონის „სტრეიჯში“ წარმოდგენით. სიმწრისაგან გული მომეცა:

„გასინჯე რა, მაინც არაფერი მიდევს!“

თურმე რა მსახიობი ვყოფილვარ — მიჯერებს! ეტყობა, სიბნელესაც თვალი შეაჩვია და უფრო „საინტერესო“ იდეაც დაებადა. აშკარად ვგრძნობ ბნელი სილუეტისაგან წამოსულ ეროტიკულ ფლუიდებს.

ესღა მაკლდა!

„ჩუმად, თორემ დანას დაგარტყამ!“

კარგი სანახავი კი ვიქნები, ამ კიბეზე...

შეხედე ამ უჯიშო „კაზანოვას“ — უკვე ხელების დაგრძელებას აპირებს და წყალწაღებულივით, რომელიც ხავსს ეჭიდება, შეტევაზე გადავდივარ. ჩემდა გასაოცრად, ხმაში კეკლუცი ნოტებიც კი „მიჟღურტულებს“:

„მაჩვენე ერთი, სად გაქვს დანა...“

ჯეელს ხელებში ვეტაკები, შემდეგ ხელს ქურთუკის ჯიბეებში ვუფათურებ (რეები უყრია ამ შეჩვენებულს?!), ბოლოს, გულის ჯიბეებს ვუსინჯავ.

ჯერ გაშტერებული მიყურებს (კი არ ვხედავ — ვგრძნობ!), შემდეგ შებრუნდება და... კიბეზე დაეშვება!

„გიჟია-ოხერი!“

ზომიერად ჩაპუტკუნებულ ბნელ სილუეტს წყვდიადი შთანთქავს.

გაგიგონიათ, ხალხო — გაიქცა! ფულიც ადგილზე დატოვა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ქალიც! თუმცა, რაღა „თქვენ წარმოიდგინეთ“ — პრიორიტეტული სწორედ ეს ზრახვა გახლდათ. მცირედი ფიქრის შემდეგ თავს აშკარად შეურაცხყოფილად ვგრძნობ.

ღმერთო, ჩემო, თითქოს მედგრად გამოვიყურები!..

აბა რაშია საქმე?

ეჰ, სიბნელეში, ყველა კატა ნაცრისფერია; მოკლედ, ისევ სქოლია დამნაშავე, ის უდღეური ამერიკელი, ვის გამოც ქალს მოძალადე ვერ გაურჩევია, მოძალადეს კი — ძალადობის ფორმა!

ნეტავი რა მაქვს სალაპარაკო: ჩემს თვრამეტი წლის თოჯინასავით გოგონას, ამას წინათ კოხტად გამოწყობილი ყმაწვილი ავტობუსში მხოლოდ იმისთვის დაუდგა გვერდით, რომ ფული ამოეცალა...

მთლად გადაჯიშდნენ ეს კაცები!!!

წინათ ბიჭი გოგოს „მოხვეულში“ საკოცნელად ხვდებოდა, ახლა — დასაყაჩაღებლად უსაფრდება. კაცმა რომ თქვას, ერთიც ძალადობაა და მეორეც, მაგრამ მთელი მსოფლიოს ფემინისტები რომ განმირისხდნენ, ისევ კოცნას ვამჯობინებდი: სხვა თუ არაფერი, ქალად მაინც გთვლიან...

მოკლედ, აღარაფერი გვეშველება, აღარც პოლიტიკოსები გვივარგა და აღარც... მოძალადეები!!!

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

ნიერი მწერია დედამიწაზე. მას საკუთარ წონაზე ასჯერ მეტი ტვირთის აწევა ძალუძს.

17. ლუდის პუტჩის ჩახშობის შემდეგ, ჰიტლერი 5 წელი აყურყუტეს ციხეში. სწორედ იქ დაწერა „მაინ კამპფი“ („ჩემი ბრძოლა“). P.S. ნეტა იმ ციხეში ერთიორი მუტრუკი შავკანიანი რატომ არ იჯდა!

18. რომის პაპ პავლე II-ს, რომელსაც საკუთარ ქალიშვილთან ჰქონდა სასიყვარულო რომანი, ხალხმა ასეთი პასკვინადა მიუძღვნა: „წმინდა მამა შენ არა ხარ, ბედნიერ მამად კი ჩაითვლები“.

19. გერმანიის პირველ რაიხსკანცლერს ოტო ედუარდ ლეოპოლდ ბისმარკი (თავადი ფონ ბისმარკშენჰაუზენი) ერქვა.

20. პერიფეტე (მეტსახელად კორინეტე), სინისი (ფიჭვთა მზნექელი), სკირონი, კერკიონი, დამასტე (მეტსახელად პროკრუსტე — „გამჭიმავი“) — ეს იმ ყაჩაღთა სახელებია, რომლებიც ათენში გზად მიმავალმა თეზევსმა დახოცა.

21. ბეისბოლი ამერიკული თამაშია, კრიკეტი — ინგლისური, პესაპოლო — ფინური, იონა — რუმინული.

22. 1572 წლის 24 აგვისტოს, ბართლომეს ღამეს, ეკატერინე მედიჩისა და ჰერცოგი გიზების ბრძანებით, სამი ათასზე მეტი ჰუგენოტი დახოცეს.



23. ბეთჰოვენს სიყრუის ნიშნები 27 წლის ასაკიდან დაეწყო და მის მძიმე სულიერ ტრავმად იქცა. P.S. ამ უდიდესმა კომპოზიტორმა ცხოვრების უკანასკნელი წლები თითქმის სრულ სიმარტოვესა და სიღარიბეში გაატარა.

24. ყირიმის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი მიხეილ ჯავახიშვილმა საკუთარ ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის გამო ვერ დაამთავრა. ავაზაკებმა მას დედა და და მოუკლეს; მამაც ამ უბედურებას გადაჰყვა.

25. თბილისში, 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის შემდგომ ინფორმაციულ პროგრამა „ვრემიაში“ სხვა ამაზრზენ სიცრუეთა გვერდით ასეთმა ფრაზამ გაიჟღერა: „ჯარისკაცები განსაკუთრებული მზრუნველობით ცდილობდნენ, არაფერი ევნოთ ბავშვებისა და ქალებისათვის“. P.S. ალბათ ამ გადაჭარბებული „მზრუნველობის“ ბრალი იყო, რომ ბარბაროსულად მოკლულ ქალთა შორის ყველაზე ახალგაზრდა 16 წლის იყო და ყველაზე ხნიერი — სამოცდაათის.

■

თამარ ბოჭორიშვილი:

წელიწად-ნახევარია, რაც ვახტანგ ბოჭორიშვილი დეპუტატის მანდატის მფლობელი და საპარლამენტო ფრაქცია „XXI საუკუნის“ თავმჯდომარე გახლავთ. ამ ხნის მანძილზე მან სამართლიანად მოიპოვა ლექსის კითხვის, აღმოსავლური იგავებისა და რუსთაველის აფორიზმების უბადლო მცოდნის სახელი. მას პატივს სცემენ, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ასევე უმცირესობის წარმომადგენლები. ბატონ ვახტანგს ორი ქალიშვილი ჰყავს. მისი „საშინაო რენომეს“ გასარკვევად ერთ-ერთ მათგანს — თამარ ბოჭორიშვილს შევხვდით.

«ჩემს შვილებს მეტისმეტად უმწიკვლო ბაბუა ჰყავთ...»

ნათია გოგსაძე

— ბატონ ვახტანგს წლების მანძილზე საზოგადოება იცნობდა, როგორც ექიმს, ერთ-ერთ საუკეთესო პროფესიონალს. ბოლო წლებში კი აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწევა. როგორ მიგაჩნიათ, რომელ სფეროშია უფრო მეტად მისი ადგილი?

— ძალიან ძნელია ისაუბრო და შეაფასო საკუთარი მამა, მაგრამ ერთი დანამდვილებით შემიძლია ვთქვა: მამაჩემი ის პიროვნებაა, რომელსაც პოლიტიკა სათავისოდ, პირადი მიზნებისათვის არ გამოუყენებია. ის ყოველთვის ცდილობს, დაეხმაროს სხვას, რამდენჯერ მიუმართავს თხოვნით ზურაბ ჟვანიასა და ჯანდაცვის მინისტრისთვის! და იცით, რატომ? ვიღაცას ოპერაცია აქვს გასაკეთებელი, ვიღაცას მკურნალობა სჭირდება და სათანადო სახსარი არა აქვს. მამა ყოველთვის ადამიანის უფლებების დასაცავად იღვწოდა და რევოლუციონერის სახელიც კი მოიხვეჭა. სამედიცინო ინსტიტუტში, ხარკოვში სწავლობდა. ერთი პერიოდი იქ ძალიან დიდი ზეწოლა იყო ებრაელებზე. მამას საყვარელ ლექტორს — ეროვნებით ებრაელს, გაგდებას უპირებდნენ. ქართველი სტუდენტის თაოსნობით ამ ამბავს ბევრი აღუდგა წინ და იმ კაცს ხელი არ ახლეს. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. წლების შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს ჟურნალ „ზდოროვიეში“ დაიბეჭდა სიყვარულითა და მადლიერებით აღსავსე წერილი, სადაც ებრაელი მასწავლებლის შვილი დიდ მადლობას უხდიდა მამაჩემს. თურმე ის მთელი ცხოვრების მანძილზე იხსენებდა ქართველ სტუდენტს, რომელმაც უმუშევრობისგან იხსნა.

— ამბობენ, პოლიტიკა ბინძური საქმეაო. შეძლებს ბატონი ვახტანგი, თავისი მიზნების რეალიზაციას?

— გეთანხმებით, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა. პარლამენტართა უმრავლესობაც საკუთარი ინტერესების ლობირებისთვის არის ხელისუფლებაში, მაგრამ ვახტანგ ბოჭორიშვილზე ამას ვერავინ იტყვის. ის ყოველთვის სიმართლისთვის იბრძვის, რასაც უმრავლესობაც აღიარებს და უმცირესობაც. მამაჩემს შეუძლია ბოლო წუთამდე იღვაწოს თავისი მიზნისათვის. შეიძლება თავიდან არ მოუსმინონ, მაგრამ შეუძლია ათჯერ და ასჯერ მივიდეს ერთ საქმეზე და საბოლოოდ, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ მართალია.

ის არაჩვეულებრივი მამაა. თუმცა, ძალიან არაპრაქტიკული კაცია. დღესაც ისე უყვარს დედაჩემი და ისე ეფერება, რომ კეთილი შურით მშურს. ბედნიერებაა, როდესაც ცოლ-ქმარი მთელ ცხოვრებას ასეთ სიამტკბილობაში გაატარებს. მამა ძალიან დამთმობი და რბილია, მიმნდობია — რაშიც გინდა ადვილად დაარწმუნებ... ყოველთვის გვენდობოდა და ჩვენც არასოდეს გაგვიწბილებია.

— თქვენ კარგა ხანს რუსეთში ცხოვრობდით?..

— მოსკოვში დავიბადე, ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე. ქართული პრაქტიკულად არ მისწავლია. მშობლიურ ენას თბილისში ჩამოსვლის შემდეგ დავეუფლე. ახალი დაწყებული მქონდა მუშაობა სეფსისის ცენტრში, მაშინ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ავადმყოფის ისტორიისა და სხვა დოკუმენტაციის რუსულად შედგენა. მეც რუსულად შევადგინე ავადმყოფის ჯანმრთელობის ფურცელი და მთავარ ექიმს — ვახტანგ ბოჭორიშვილს მივუტანე. მამა აღშფოთდა და გამაფრთხილა — თუ ქართულად წერას ვერ შეეჩვევი, სამსახურის გამოცვლა მოგიწევსო... მას შემდეგ რუსულად აღარაფერი დამიწერია. დისერტაციაც ქართულად დავიცავი. დღეს მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და ორი კათედრის გამგე ვარ.

— თქვენს პროფესიულ არჩევანზე ალბათ მამამ იქონია ზეგავლენა?

— ეს თავისთავად მოხდა: ბავშვობიდანვე ექიმების გარემოცვაში ვიზრდებოდი. ლენინგრადში სამედიცინო აკადემიის სახლში ვცხოვრობდი და სულ „თეთრხალათიანებს“ ვხედავდი. მახსოვს, ერთ დღესაც ვნახე მამაჩემის პაციენტის ნაჩუქარი ვერცხლის თასი, რომელზეც ეწერა: „თქვენ მე სიცოცხლე მაჩუქეთ“. ეს ფრაზა სულ მახსოვდა, ფაქტობრივად,

ამან მიბიძგა ექიმობისაკენ. ასჯერ რომ დამეწყო ცხოვრება ახლიდან, ასჯერვე ამ პროფესიას ავირჩევდი. პრინციპში, ზეგავლენა ჩემზე მამის გარემოცვამ იქონია. ხარკოვში, სამედიცინო ინსტიტუტში მოთავსებულ წარჩინებულთა დაფაზე დღესაც ნახავთ ვახტანგ ბოჭორიშვილის სურათს... მისაღებ გამოცდაზე, რუსულ წერაში მამაჩემს 5-იანი მიუღია, არადა ნაწერი უამრავი სწორებით სულ გადაწითლებული ყოფილა. გამომცდელს რომ ჰკითხეს, ფრიადი რატომ დაუწერეო, მან უპასუხა: მართალია, გრამატიკული შეცდომა ბევრი იყო, მაგრამ აზრი ისე ლამაზად ჰქონდა ჩამოყალიბებული, ნაკლებს ვერ დავუწერდიო... ნახევარ წელიწადში იქით უსწორებდა რუსებს გრამატიკულ შეცდომებს. მუდამ კარგი მეხსიერება ჰქონდა და წიგნი და სწავლა უყვარდა.

— თბილისში როდის გადმოხვედით საცხოვრებლად?

— მახსოვს, კონკურსი გამოცხადდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ინფექციური კათედრის გამგის თანამდებობაზე. მამამ გამოაგზავნა თავისი ნაშრომები, გამოკვლევები და კონკურსშიც გაიმარჯვა. თავდაპირველად მარტო გადმოვიდა, შემდეგ კი ჩვენც წამოვედით.

— თქვენ სადისერტაციო ნაშომი დაიცავით, ორი კათედრის გამგე ხართ, სულ მალე კი სეფსისის ცენტრის დირექტორი გახდებით. თქვენი აზრით, რამდენად შეთავსებადია ქალისთვის ოჯახი და კარიერა და რომელ სფეროს უფრო აკლებთ ყურადღებას?

— ნებისმიერი საქმე მთელ გულსა და გონებას მოითხოვს. ამით, სამწუხაროდ, ბევრი აკლდება ოჯახს, რადგან სამსახურია ჩემთვის უმთავრესი. დასვენების დღესაც მივდივარ ხოლმე საავადმყოფოში, რადგან ხშირად უმძიმესი ავადმყოფები გვყავს. ვალდებულიც ვარ, პირველ რიგში, ამ ადამიანებს მივაქციო ყურადღება. შინაც ბევრი საქმე მაქვს. ერთხანს დამხმარე ქალი ავიყვანე, მაგრამ, უშუქობის გამო, ვერც სარეცხი დარეცხა, ვერც მტვერსასრუტი ჩართო და თვითონვე დამეთხოვა... საჭმელი კი, მე თუ არ გავაკეთე, ჩემი ოჯახის წევრები არც მიეკარებიან... ასე რომ, ვცდილობ, ყველაფერი მოვასწრო, ვიყო აქტიური. ჩემს ავადმყოფებსაც სულ ვეუბნები — სანამ ცოცხალი ხარ, ცოცხალი უნდა იყო!.. პასიურ ცხოვრებას ვერ ვიტან. შვილის გაჩენიდან სულ მალე დავიწყე ინსტიტუტში სიარული და ერთი დღეც არ გამიცდენია.

— თქვენი შვილები, რას ფიქრობენ, ბაბუის მოღვაწეობაზე?

— ორი შვილი მყავს: ქალ-ვაჟი. ბიჭი კალათბურთელი იყო, მოსკოვის „დინამოში“ თამაშობდა, პროფესიით იურისტია, ხოლო ქალიშვილი კი მედიცინისთვის „გავწირე“. თანამედროვე ახალგაზრდები ცოტა სხვაგვარად უყურებენ ცხოვრებას: მათ აკვირვებთ სისპეტაკე, უმწიკვლო ბიოგრაფია... უამრავ თანამდებობამოვლილ ვახტანგ ბოჭორიშვილს რატომ არა აქვს აგარაკი, მდიდრული ავეჯი...

— ბატონმა ვახტანგმა ტელეშოუში 1.500 ლარი მოიგო...

— იმ ფულიდან 1.000 ლარი ჩვენს საავადმყოფოს გადმოურიცხა — აყრილი იატაკის შესაკეთებლად. სპეციალურად დამავალა, ნაწილი მაინც გავაკეთოთ — ამით რამდენიმე პალატას მაინც მოვაწესრიგებთო.

■

ტესტი მრუდიციაზე

1. რომელი ოპერა მიუძღვნა სუეცის არხის გახსნას იტალიელმა კომპოზიტორმა ვერდიმ?

ა) „ტრუბადური“;
ბ) „ფალსტაფი“;
გ) „აიდა“.

2. რომელი ძვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი — პეტრიწის ტაძარი?

ა) ბულგარეთის;
ბ) თურქეთის;
გ) აზერბაიჯანის.

3. სამი და ოთხწლიანი ცხენების დოლს ეწოდება:

ა) სპრინტი;
ბ) კროსი;
გ) დერბი.

4. ხელოვნურად გაშენებულ ტყეს ჰქვია:

ა) კორომი;
ბ) კორდი;
გ) ჭალა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მიხოს მონოლოგი

თამაზ ქორქოლიანი

მე, მიხოსა, ძალიან გამკვირვებია იმ ხალხისა, ნულოვან ვარიანტ რო არ ეთანხმება – თქვე დალოცვილებო, თქვენა! ამოდენა ხანია ნულოვან ვარიანტში გვაცხოვრებთ და ეხლა არ ეთანხმებით?! აბა დამისახელეთ წელიწადი, სახელმწიფო ბიუჯეტი რო შესრულდა – ცხრა წლის განმავლობაში არც ერთხელ არ შესრულებულა და ყოველ მომდევნო წელსა, უფრო ნაკლებ და ნაკლებ გეგმავენ ახალ-ახალი ჩინოვნიკები და ი ნაკლებიც არა სრულდება. პირველკლასელმა ბალღმაც კი იცის, ის რაც კლებადია – ნულისკენ მიისწრაფვის. ბიუჯეტი თუ კლებადია და ნულოვანი ვარიანტისკენ მიისწრაფვის – კლებადია ქვეყნის არმია, თავდაცვისუნარიანობა და უშიშროებაი, ხოდა, აქედანა, კლებადია სახელმწიფო ტერიტორიებიცა, კლებადია ჯანმრთელობის დაცვაი, განათლებაი, მეცნიერებაი და კულტურაი, კლებადია მრეწველობაი, სოფლის მეურნეობაი, ვაჭრობაი, კლებადია თვითონა ხალხის რაოდენობაი, რადგან სიკვდილიანობა ერთი ათჯერ ჭარბობს შობადობასა. ბოლოსა, კლებადია მომავლის რწმენა-იმედი და ესე იგი ნულისაკენ მიისწრაფვის საზოგადოების მორალი და ზნეობაი.

ეგ ხო ეგრეა და ჩემზე კარგად იციან მაგათა, მაგრამა მაინც თავისას არ იშლიან. იცით რაი მაგონებენ ე ჩვენი ჩინოვნიკები? რასა და იმ რეგვენ ხალხსა, სახლი რო ეწვით და იმი მაგივრათა – გაისარჯონ, წყალი მოიტანონ და ჩააქრონ – დამდგარან და ხელებ ითბობენ საკუთარი სახლის ცეცხლზედა. ყველასათვინ კარგა არი ცნობილი, რა მუცლი გვრემა აწუხებთ, ეგეთი ფაციფუცი რო ასტეხეს ნულოვან ვარიანტზედა – ეგენი მაინც არ იშლიან თავიანთ ვირეშმაკობასა – საქმე ის არი, რო, თუ ნულოვან ვარიანტ ხელ არ მოაწერენ და ცოცხალს მკვდარში არ გაცვლიან, ახალი სესხები, გრანტები, კრედიტები და ტრანშები აღარ წამოვა საერთაშორისო სავალუტო ფონდიდანა, მაგათი უბე-ჯიბეებიკენა და ამიტომაც იკლავენ თავსა, თორე, შე დალოცვილო, შენა, თუ 140 მილიონის გადახდა არ შეგიძლია, რაღა ხელისუფლება ხარ?! დაიხურე ქუდი და წადი, საიდანაც მოხველი, იქა. ანდა თუ გადახდი თავი არა გაქვს, რაღათ იდებ ვალებსა? იქნებ იმი იმედი გააქ, ვიღაცას შეებრალები და გაპატიებს? არადა, ყველამ ძალიან კარგად იცის საზღვარგარეთაცა და საზღვარშიგნითაც, ვინ სარგებლობს ე მაგ ტრანშებითა და სესხებითა, ვინ გაატარა ახალი წელი კანარის კუნძულების, ფიჯისა და „კაბაკაბანას პლიაჟზედა“. ვისი ცხე-სიმაგრეები შენდება წყნეთში, მთაწმინდაზე, საირმის გორაზე და საგურამოს ველებზედა, ეგეც ხო ცნობილია. ხოოდა, ეხლა ვალები გადახდი დრო რო მოიდა, ხო უნდა გამოინახოი რაღაცა სახსარი, დღეს რო ერთი სახელმწიფო გთხოვს, ხვალ მეორე მოგთხოვს, ზეგ მესამეი და ასე შემდეგა... ჩვენმა ხელისუფლებამა ხო ისე მოგვიწყო, რო ყველას ვალი ჩვენა გვაქ, ჩვენი კი არავისა. ხოოდა მე, მიხოი, გთავაზობთ ფულის სახელმწიფოს სასარგებლოდ შოვნის ერთ ნაღდ ვარიანტსა. ეს იდეაი, ამას წინათა, ერთი ახალგაზრდა რეფორმატორ-ჩინოვნიკისაგან ვისესხე: გამოიდა ე ბალღი და თქო: ჩვენაო ერთი გარეწარ-ენერგეტიკოსი ლიფსიტა რო გვყავ დაპატიმრებული, ისაო თავდებით უნდა გამოგვეშვა ციხიდანა, ერთი მილიონი ლარის გირაოს საფასურადაო. ეგ კაცი ამოდენა ფულის გადამხდელია, რადგანა კარგად ვიცი, ერთმა ქურდმა ციხის უფროსს შეუთვალა, ეგ ლიფსიტა ჩემ „კამერაში“ ჩასვი და თვეში ათას დოლარ ფეშქაშად მოგართმევო. ხოოდა, ეგ რო გავიგონე, მე, მიხოი, შემოქმედებითად მივუდექი ამ იდეასა, განვავითარე და საკუთარ აზრსაც ვთავაზობ ხელისუფლებასა. „ტარანი თვლითააო“ – ხომ გაგიგონიათ, ხოდა დავითვალოთ: მაგალითადა, გადასახდელია 140 მილიონი დოლარი. ერთ გარეწარ ლიფსიტასა შეუძლია მოიტანოს 1 მილიონი ლარი ანუ 500 ათასი დოლარი. ამოცანა გვეკითხება: რამდენი ლიფსიტას დაჭერაა საჭირო 140 მილიონის შესასრულებლადა? პასუხი: თუ ერთ ლიფსიტას შეუძლია 500 ათასი დოლარის მოტანა, 140 მილიონის შესასრულებლად საჭიროა 140X2=280. ესე იგი, დასაჭერია და შემდეგ გირაოს საფასურად გასაშვები 280 გარეწარი ლიფსიტა, ეს კი ჯერ-ჯერობითა ძნელი არ არის. მოიტანენ ფულსა, გავისტუმრებთ ვალსა და ეგენიც თავისუფლად „იგულავებენ“...

ეხლა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სხვა სახელმწიფოებიც მოინდომებენ თავიანთი ფულების დაბრუნებასა, ჩვენი კი იმავე გზითა უნდა გავაგრძელოთ „თევზაობაი“. როცა ლიფსიტები გამოილევიან, კაპოტებზე გადავალთ, მერე ღლავებზე, ლოქოებზე, ზვიგენებზე და ბოლოს, შეიძლება ვეშაპებზე ნადირობამაც მოგვიწიოი. ხოდა, როცა ყველა ვალ გავისტუმრებთ ამ მეთოდებითა უნდა ერთი პეტიცია შევადგინოთ და ყველა სახელმწიფო მთავრობებსა, საერთაშორისო ორგანიზაციებსა მსოფლიო ხალხებსა გავუგზავნოთ, ერთადერთი თხოვნითა, რომა – ნუ გვასესხებენ და ნურც გვაჩუქებენ ნურაფერსა, რადგანაც, რასაც ისინი აქეთკენ აგზავნიან, „სახელად ჩვენია და სახრავად სხვისი“. რაც ჩვენი სახელით, ამათ ფულები იშოვეს, იმი ათი პროცენტი ხალხს რო მოხმარებოდა, აღარც ნულოვან ვარიანტზე საუბარი დაგვჭირდებოდა, აღარც მდიდარი კაცი იქნებოდა უსინდისობის სიმბოლო დღევანდელ საქართველოშია და აღარც ღარიბი – იძულებითი პატიოსნების სინონიმი.

P.S. ავტორი არამცთუ არ ეთანხმება, კატეგორიულად ემიჯნება მიხოს აზრებს და კვლავ, მეგობრულად სთხოვს, თავი დაანებოს „მოუკრეფავებში“ სიარულს და ურჩევს, თეთრი ვეშაპის შესახებ „მობი დიკი“ წაიკითხოს.

■



როგორ იმახსოვრებთ რიცხვებს?

აღნიშნული ტესტით შეგიძლიათ დაადგინოთ, რამდენად კარგი და ზუსტი მხედველობითი მეხსიერება გაქვთ. ქვემოთ მოცემულია 12 სხვადასხვა ორნიშნა რიცხვი. 20 წამის განმავლობაში ყურადღებით დააკვირდით მათ და ეცადეთ, დაიხსომოთ.

დააფარეთ მოცემულ რიცხვებს ხელი და ცარიელ ჩარჩოში, 5 წუთის განმავლობაში, ნებისმიერი მიმდევრობით ჩაწერეთ ყველა ის რიცხვი, რომელთა დამახსოვრებაც შეძელით (ნუ აყვებით ცდუნებას და ტესტის შესრულებისას არ ჩაიხედოთ რიცხვებში — ამ შემთხვევაში სწორ პასუხს ვერ მიიღებთ!)

13	91	47	39
65	83	19	51
23	94	71	87

თითოეული სწორად დაწერილი რიცხვი შეაფასეთ 1 ქულით და დაითვალეთ ქულათა ჯამი.

6 ქულა და ნაკლები: თქვენ საკმაოდ გიჭირთ რიცხვებთან ურთიერთობა და სუსტი მხედველობითი მეხსიერება გაქვთ. ხელს ნუ ჩაიქნევთ, ხშირად ეცადეთ, დაიხსომოთ და შემდეგ გონებაში აღიდგინოთ რიცხვები, თარიღები თუ უბრალოდ ნაცნობების მანქანების ნომრები. შედეგს სულ მოკლე ხანში მიიღებთ.

7-9 ქულა: თქვენ საშუალოზე კარგი მხედველობითი მეხსიერება გაქვთ. საჭიროების შემთხვევაში, დიდი ხნის წინ დამახსოვრებული ღირსშესანიშნავი თარიღების და დავიწყებული ტელეფონის ნომრის გახსენება არ გაგიჭირდებათ.

10-12 ქულა: გილოცავთ – ეს საკმაოდ იშვიათი შედეგია. შესანიშნავი მხედველობითი მეხსიერება გქონიათ. თქვენს თვალს არაფერი გამოეპარება, ერთხელ დამახსოვრებული რიცხვები კი დიდი ხნის განმავლობაში არ დაგავიწყდებათ.

გისურვებთ წარმატებებს!

სეტი I და ჰატორი. ახალი იმპერია, 1294-1186 ძვ.წ.აღ.

სეზოსტრ მესამის ქანდაკება, 1862-1843 ძვ.წ.აღ

ღვთიერ გამარჯვების სიმბოლო



ეგვიპტის უძველესი ცივილიზაციის შემსწავლელი მეცნიერების — ეგვიპტოლოგიის დაბადების თარიღად მიჩნეულია 1822 წელი, როდესაც ფრანსუა შამპოლიონმა პარიზის მეცნიერებათა აკადემიას მოახსენა მის მიერ წარმოებული ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობის ამოკითხვის შედეგები.

იეროგლიფთა გაშიფვრას სათავე დაედო როზეტის ქვიდან, რომელიც არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის (იპოვა უცნობმა ჯარისკაცმა...) განსაკუთრებით გამოირჩევა. იგი წარმოადგენს შავი ბაზალტის ფილას, რომელზეც სამ ენაზე, სხვადასხვაგვარი დამწერლობით, სამი წარწერაა ამოკვეთილი: პირველი, თოთხმეტსტრიქონიანი — იეროგლიფური; მეორე, ოცდათორმეტსტრიქონიანი — დემოტური; ხოლო მესამე, ორმოცდათოთხმეტსტრიქონიანი — ძველბერძნული. ეს ქვა „როზეტის სამენოვანი ქვის“ სახელით გახდა ცნობილი და სწორედ მისი მეშვეობით ამოიხსნა ეგვიპტის მრავალი საიდუმლო.

„სასწაულმოქმედი“ ეგვიპტელები და მათი ღმერთები

„საღვთო“, ეგვიპტელთათვის ივივეა, რაც „სამარადჟამო“, როგორც მარადიული ცხოვრების ჰიმნი. ღვთაებები და მათი „შვილები“ — ფარაონები უზარმაზარ ძალისხმევასა და მსხვერპლს ინახავენ, პირამიდებისა და მთლიანად ეგვიპტური კულტურის სახით. სულ შემორჩენილია ასამდე პირამიდა. თითოეულ მათგანს ოცდაათი წლის განმავლობაში, ასი ათასამდე მონა აშენებდა და მონათა ეს ჯგუფი, ყოველ სამ თვეში ერთხელ იცვლებოდა. ქვებს უნიკალური მექანიზმით ეზიდებოდნენ. ამ ტვირთის გადაადგილებას დღეს 600 000 სატვირთო ვაგონი დასჭირდებოდა. არათუ ფარაონის, არამედ ერთ-ერთი დიდბატონის — ტის სამარხში 65-70 ტონამდე სიმძიმის ქვებია ნაპოვნი.

ტაძრების მშენებლობასთან ერთად, ღმერთიც უფრო და უფრო მაღლდებოდა. საუკეთესო მაგალითია უზენაესი ღმერთის — ამონის მწვერვალი: ივი ღმერთების მეფედ იწოდებოდა და უნი-

სამსონი და	წინამძღოლი	დიდ ქვა	საათების იაპონური ფირმა	ფრინველი	საყოფაცხოვრებო ნარჩენები	[illegible]
[illegible]						[illegible]

სალვადორ	ძვირფასი ქვა	მსახიობი ჭანა	... დიმიტრიადი	ქულა ძიუდოში	მძღოლის ადგილი	ნიანგის ჯიში

მეუე ტაჰარკას ქანდაკება, რომელიც თაყვანს სცემს შევარდენს — ღმერთ ჰემენს. 780-656 ძვ.წ.აღ. ოქრო, ვერცხლი, ქვა და ბრინჯაო.

ვერსალური მბრძანებლის რანგში ავიდა.

ამონი ან ამონ-რე: კოსმოსური, უზენაესი მზე-ღმერთი.

ჰატორი: სიყვარულის, მხიარულების, მუსიკისა და ცეკვის ქალღმერთი.

ოსირისი: სიკვდილის ღმერთი.

ჰორუსი: ოსირისის ვაჟი, ფარაონთა მფარველი ღმერთი.

იზისი: ოსირისის ცოლი, მუმიების მფარველი, მაგიის ქალღმერთი.

სეხმეტი: ომისა და მზის მხურვალების ქალღმერთი.

ურაუსი: კობრას გამოსახულება, დამცველი სიმბოლო მზიური ძალაუფლებისა (გვხვდება ფარაონთა შუბლსა და თავსაბურავებზე).

ნემესი: ფარაონთა თავსაბურავი, რომლის ბოლოები მხრების გასწვრივაა ჩამოშვებული.

ფარაონი: თავდაპირველად ნიშნავდა სამეფო სასახლეს, ხოლო შემდეგ — მეფეს.

წმინდა ცხოველები

ცხოველთა კულტები ეგვიპტური რელიგიის მნიშვნელოვან ატრიბუტად იყო მიჩნეული. ისინი (ძაღლი, ხარი, შევარდენი, მაიმუნი, ნიანგი, ცხვარი, კატა, გველი და სხვ.) ღვთაებრივ არსებათა მიწიერ გამოხატულებად იყვნენ წარმოდგენილნი. სხვადასხვა ცხოველისათვის საგანგებო სამარხი იყო გამოყოფილი, სადაც ამ უკანასკნელს დიდი ცერემონიალით მარხავდნენ. მათი ზოგიერთი ქანდაკება განსაკუთრებულია და ცოცხალი ცხოველის ასლს წარმოადგენს. განსაკუთრებით კატების სამარხის გამოკვლევამ ცხადყო, რომ ისინი უშუალოდ მუმიფიკაციამდე, საგანგებოდ იყვნენ დახოცილნი. ამ მეთოდის გამოყენება ალბათ იმით აიხსნება, რომ ცოცხალთან შედარებით, ცხოველის მუმია უფრო მოსახერხებელ „მენატურეს" წარმოადგენდა ამავე ცხოველის ბრინჯაოს ქანდაკების შესაქმნელად. მეორე ვერსიით, მუმია უფრო იაფი და ეფექტური ძღვენი იყო ღვთაებისათვის, ვიდრე ძვირფასი ქანდაკება.

ეგვიპტური ხელოვნების პრინციპები

ძველი ეგვიპტის ხელოვნებაში ისევე, როგორც დამწერლობაში, დიდი მნიშვნელობა აქვს გამოსახულებას, რომელიც „გაშიფვრისათვის გამზადებულ" მინიშნებათა ენას წარმოადგენს. ქანდაკებაში იკითხება გარკვეული ინდივიდის რაობა, მისი ადგილი საზოგადოებაში. „სასწაულმოქმედი" ხელოვანი ხაზს უსვამს ძირითადს და სათქმელს გამოხატავს არა მხოლოდ რაიმე ნივთით, არამედ სიუჟეტით. გარკვეული პრინციპით განლაგებულ ფიგურათა კომბინაციის მთლიანობაში იკითხება ფრაზა — აი, რას წარმოადგენს ძველეგვიპტური იეროგლიფი! ფრაზის ამოკითხვა მხოლოდ სურათის ერთიანობაშია შესაძლებელი, რომლის ელემენტებიც ურთიერთმიმართებაში გამოხატავს გარკვეულ სათქმელს.



ოზორკონ მეორის ტრიადა: სიკვდილის ღმერთი-ოსირისი (შუაში), მისი ვაჟი — ჰორუსი და ცოლი — იზისი. 945-715 ძვ.წ.აღ.

როდესაც საქმე სამარხსა ან სხვა ნაგებობაში დამარხული საიდუმლოს გამოაშკარავებას ეხება, მაშინვე ვაწყდებით ოდესღაც „ჩვენთვის" გამიზნულ დაბრკოლებებსა და აკრძალვებს... ალბათ, ისღა დაგვრჩენია, ვიფიქროთ, რომ ზეადამიანურ ძეგლებში, ისევ და ისევ, ზეადამიანური ინტერესებია ჩამარხული...

დიდოსტატებმა, ეგვიპტური კულტურის სახით, ძეგლი დაუდგეს თავად ხელოვნებას — როგორც „მომაკვდავ" დროზე გამარჯვების სიმბოლოს...

მოამზადა კოტე იანტბელიძემ

...ა"	იაპონური არაყი	პატარა ფლეიტა	სახელმწიფო ამბავში	უალკოჰოლო სასმელი	ყურძნის ჯიში	უდიდესი ღრმული ოკეანეში	
პირის რუს თაღი	ერთგვარი ქუდი	როდოსის ...	ირანის ფული	... ლიზა (ჯოკონდა)	ხელის ნაწილი	საქართველოს მეფე-ქალი	... ბანი, განი, ლონი

აღავსო ზღვა და ხმელეთი ქველის საქმემან დავითისმან

8 თებერვალი (26 იანვარი) წმინდა დავითის (აღმაშენებლის) ხსენების დღეა

ნინო ტარყამშვილი

ძველი და ახალი პოლიტიკოსები, ქვეყნის მმართველები, მეფენი — ბედნიერი მეფობის წინაპირობად ბედნიერ მემკვიდრეობას მიიჩნევენ. დავით მეოთხეს ამის საპირისპიროდ ურთულესი მემკვიდრეობა ერგო. დაშლილ-დაქუცმაცებული სახელმწიფო, მტრის შიშით მთებში გახიზნული მოსახლეობა. საეკლესიო თუ სამეფო კარის დიდგვაროვანთა და ეპისკოპოსთა დაქვეითებული ზნეობრიობა („რომელთაც წმინდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი ქვაბ ავაზაკთა ქმნეს“) და მაინც ერმა (სრულიად დამსახურებულად) ერთადერთს მას უწოდა უაღმატებულესი ეპითეტი — აღმაშენებელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ საკეთებელ საქმეთა წარმატებულობა დამოკიდებულია არა მხოლოდ გარემოებაზე, არამედ პიროვნებაზეც, მის კეთილსინდისიერებაზე: რა სურს, რისი გაკეთება უნებია საკუთარი ქვეყნისათვის და აგრეთვე მის ქმედითუნარიანობაზე — მზად არის თუ არა კეთილ საქმეთა აღსასრულებლად. ღმერთიც ამის შესაბამისად აძლევს პიროვნებას ნიჭს, ძალას, უნარს, ერის და მამულის საკეთილდღეოდ გარდამოუვლენს ქვეყანას, გმირებს და იხსნის მათ წინაადმდგომთა მტერთაგან... მოდით, ნურც იმას დავიჩემებთ, გაჭირვების ჟამს უფალი უთუოდ მოუვლენს ერს მხსნელსო. მოუვლენს — თუ ისურვებს ერი, შეეწევა — თუ ისურვებს პიროვნება, თორემ უფალს ალბათ იმ ქვეყნების ხსნაც ეწადა, სრულიად რომ აღიგავნენ პირისაგან მიწისა. ქართველ ერს ასეთი გმირი არა ერთი და ორი ჰყოლია. ღირსეულთაგან უფრო ღირსეული, გამორჩეულთაგან უფრო გამორჩეული, იყო დავით აღმაშენებელი — წოდებული ქართველთა მეფედ და მოძღვრად, ალექსანდრე მაკედონელად და დავით მეფსალმუნედ.

„საჩინო ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის, შვენიერ, ვითარცა ვარდი ყვავილთა შორის, ვითარცა სიყვარული სათნოებათა შორის, ძლიერი — ვითარცა ლომი მხეცთა შორის, ბრძენი — ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის, მშვიდი, ვითარცა დავით ცხებულთა შორის, უზადო, ვითარცა მაკედონელი მფლობელთა შორის, საკვირველი, ვითარცა იოანე მეგობართა შორის, მხურვალე, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის, მკვირცხლი ვითარცა პავლე მოციქულთა შორის“ — ასე ახასიათებს დავით აღმაშენებელს მისი მოძღვარი — ბერი არსენი. და მართლაც, ყოველ ერში მოიძებნებიან ხოლმე ეჭვიანი ადამიანები და რაგინდ დიდ ფიგურაზე უნდა იყოს საუბარი, უმალ რაღაცას გამოჩხრეკენ და ეჭვქვეშ დააყენებენ მის ნაფიქრ-ნაღვაწს. დავითი ამ მხრივაც გადაურჩა გაკილვას. უბრალოდ იმდენად დიდია, რომ ვერავინ შეძლო უკეთესად მისი მოხსენება, იმდენად მაღალია, რომ ვერავინ გაუსწორა თვალი მისი ხმლის ბრწყინვალებას. რით დაიმსახურა ასეთი საყოველთაო სიყვარული ქართველთა მეფემ? ნეტავ, წინასწარ თუ გრძნობდა რაიმეს 1089 წელს 16 წლის ჭაბუკი დავით მეოთხე, როდესაც მამის — გიორგი მეორის გადაწყვეტილებით თავზე უნდა დაედგა სამეფო გვირგვინი? ნეტავ წინდაწინ თუ ჭვრეტდა, რომ ქართველი ერის ისტორიის მანძილზე, მას შეეძლო, დარჩენილიყო, როგორც მისი სათაყვანებელი გვირგვინოსანი, თუ როგორც უბრალოდ ღვთისნიერი მოყვასი, საკეთებელ საქმეთა მიზანდასახულობას ზომავდა გონების თვალით? რაღაც უფრო ღრმა შინაარსი ხომ არ იმალება მემატიანის სიტყვებში — „თვით მამამან ზეცათამან პოვა დავით, მონა თვისი და საცხებელი მისი წმინდა სცხო მას“?

ასეა თუ ისე, ჭაბუკი დავითის შემდგომი მართვა-გამგეობა, უკვე გვაძლევს მიზეზს, რომ ვიფიქროთ, ჭეშმარიტი ღვთის რწმენითა და ღვთის მცნებათა დაცვით აღზრდილ მეფეს, მეფედ კურთხევამდეც წინდაწინ მოზომილი და გაანგარიშებული ჰქონდა თითოეული გადასადგმელი ნაბიჯი. როგორც კი ხელთ იპყრა სახელმწიფო მართვის სადავეები, ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრების კალაპოტში ჩაყენება მოისურვა. უპირველეს ყოვლისა, დავით მეფემ დიდთურქობის დროს გაქცეული და მიუვალ ადგილებს შეხიზნული ქართველების დაბრუნება დაიწყო ძველ ნასახლარებზე, ხოლო შემდგომ მოიწვია რუის-ურბნისის სახელით ცნობილი საეკლესიო კრება, რომლის ძალითაც გათელილი და აბუჩად აგდებული ზნეობა თავის სიმაღლემდე უნდა ამაღლებულიყო. კრებამ საფუძველი ჩაუყარა თავგასულ ფეოდალთა და უღირს სასულიერო პირთა თავნებობის აღკვეთას. დაადგინა საეკლესიო წესები, რომლითაც მღვდელმსახურთ და მორწმუნე ერს უნდა ეხელმძღვანელა, გამოიკვეთა მართლმადიდებელი სარწმუნოების სასიცოცხლო მნიშვნელობა ერისა და პიროვნების გადარჩენის საქმეში.

რუის-ურბნისის კრების შემდგომ, დავით მეოთხემ საქართველოს სრული გაერთიანებისათვის მზადება კახეთ-ჰერეთის შემოერთებით დაიწყო. ღვთის წყალობას მინდობილი ლაშქარი ერწუხთან უშიშრად შეეგება თურქთა უზარმაზარ მხედრობას. რიგითი ჯარისკაცივით იბრძოდა მეფეც, ხელჩართულ ბრძოლაში უშიშრად შეუძახებდა ხოლმე ქართველობას გასამხნევებლად. სამი ცხენი მოუკლეს მას ამ ბრძოლაში. მეოთხეზე ამხედრებულმა დაამთავრა ბრძოლა საკვირველი გამარჯვებით.

ამის შემდგომ თურქთა სულთანმა მუჰამედმა 100 ათასიანი ლაშქარი დაძრა საქართველოსკენ. როცა მტრის შემოსვლა შეიტყო, დავით მეფე უმალ დაიძრა თრიალეთისაკენ. განთიადისას შეება ერთმანეთს უთანასწორო მხედრობა. „შეწევნითა ღმრთისათა იძლია ბანაკი თურქთა...“

იზრდებოდა და ძლიერდებოდა სახელმწიფო: 1115 წელს მტკვრის ხეობა შეუერთდა საქართველოს, ცოტა ადრე — ქალაქი რუსთავი, გიორგი ჭყონდიდელის მეცადინეობით. ერთი წლის შემდეგ კი კარნიფორსა და ბასიანს შორის დაბანაკებული თურქები განიდევნნენ. უკვე დავაჟკაცებული უფლისწული დემეტრეც გვერდში ამოუდგა მამას...

მიუხედავად ბრწყინვალე გამარჯვებებისა, დავით აღმაშენებელმა დროულად იგრძნო, რომ მცირერიცხოვან ქართულ

მხედრობას საქართველოს ქალაქებისა და ციხეების უსაფრთხოების დაცვა და იმავდროულად მუდმივმოქმედ არმიაში ყოფნა გაუჭირდებოდა. ამასთან, გაამპარტავნებულ დიდგვაროვან ფეოდალებს შეეძლოთ ესარგებლათ ლაშქრის სიმცირით და გადამწყვეტი ბრძოლის წინ ზურგში ლახვარი ჩაეცათ მეფისათვის. საჭირო იყო მუდმივი ლაშქრის შექმნა. მეფემ გადაწყვიტა, ყივჩაღთაგან შეექმნა ასეთი არმია. იგი კარგად იცნობდა ამ ხალხის ზნე-ჩვეულებებს. მისი მეუღლე – გურანდუხტ დედოფალიც ხომ ყივჩაღთა მთავრის – ათრაქა შარაღანის ძის ასული იყო. ათრაქამ სიხარულით მიიღო სახელოვანი სიძის წინადადება. მხოლოდ პრობლემად რჩებოდა საკითხი: გამოატარებდნენ თუ არა მშვიდობიანად ოსები ყივჩაღებს. ყივჩაღთა მშვიდობიანი გზის უზრუნველსაყოფად მეფე და მისი აღმზრდელი – გიორგი ჭყონდიდელი ოსეთს გაემგზავრნენ (სამწუხაროდ, აქ დაასრულა სიცოცხლე გიორგი ჭყონდიდელმა, რომელიც გულითადად დაიტირა მეფე დავითმა). დავითმა ყივჩაღთაგან ჩამოაყალიბა 40 ათასიანი არმია, რომელსაც 5 ათასი ქართველი მეომარიც დაემატა და ამრიგად საჭიროებისამებრ 45 ათასიანი ჯარის გამოყვანა შეეძლოთ უპრობლემოდ. თანამედროვენი ალბათ იტყვიან, რომ ყივჩაღთა ჩამოსახლება მაინც გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული – როგორ შეეწყობოდნენ უცხოტომელები მკვიდრ მოსახლეობას, მით უმეტეს, რომ ყივჩაღები ჩამოსახლებულნი იყვნენ ოჯახებით. მაგრამ ისევ მეფის წინდახედული და საზრიანი პოლიტიკის წყალობით ყივჩაღებმა მალევე იწყეს გაქრისტიანება და გაქართველება. ღმერთი, რომელმაც იცოდა დავითის გულის ზრახვანი, ყოველმხრივ ეხმარებოდა მეფეს კეთილი მიზნების განხორციელებაში, აძლევდა რწმენას წინააღმდეგობათა დაძლევისა, გამოუნახავდა სხვადასხვა საშუალებას მტერზე გამარჯვებისათვის, ხოლო ბრძოლებში თუ ქვეყნის მართვა-განმგებლობის ჟამს დავითს ღვთის მიერ მოვლენილი მფარველი ანგელოზი იცავდა სიკვდილისაგან. ერთხელ, მეფეს შიგ გულში დაუმიზნა ისარი მტერმა, რომელიც მკერდზე ჩამოკიდებულმა მაცხოვრის ხატმა აისხლიტა – მუდმივად თან რომ დაატარებდა. სხვა დროს, მეფე გელათის მაღალი კიდიდან გადმოვარდა და თითქოს უცილობლად მტვრად უნდა ქცეულიყო, მაგრამ თითქმის არც კი რამ უტკენია. რაც უფრო ძლიერდებოდა დავითი, მტერიც მეტი გააფთრებით ესწრაფოდა მის საბოლოო განადგურებას: „ესე ვითარ ჭირთაგან შეიწრებული თურქმანნი“ სულთან მაჰმუდს ეახლნენ ბაღდადში – გლოვისა და შეჭირვების ნიშნად შავად შეღებილებმა აუწყეს ამიერკავკასიაში მიმდინარე ამბები. სულთანმა არაბთა მეფე დურბეიზს უხმო. მისცა თავისი ძე-მალიქი. 600000-იანი არმია შეკრიბა და საქართველოსკენ დაიძრა.

1121 წლის აგვისტო იდგა. დავით მეფემ ბრძოლის დაწყების წინ სიტყვით მიმართა ლაშქარს: „ეჰა, მეომარნო ქრისტესნო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ და ერთ რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ესაა, რომ ჩვენ ყველამ ხელთა ცისადმი აპყრობით ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე უმალ მოვკვდებით – ვიდრე გავიქცევით. და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლით შემოვსულვართ, ხეთა ხშირ ხერგებით შევკრათ და მტკიცე გულით მტრებს, როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, სასტიკად შევუტიოთ“.

დიდგორის ბრძოლაში ნაზიარები და ნალიტანიები ჯარი გამოიყვანა დავითმა... ღვთის მადლმოსილებით უკან დახევას ვინ იკადრებდა? „ხელი მაღლისა შეეწეოდა და ძალი ზეგარდმო ფარვიდა“ ქართველთა ლაშქარს, ხოლო „წმინდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინა უძღვოდა მას და მკვლავითა თვისითა მოსრვიდა ზედამოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა“.

დიდგორის ომმა წელში მოხარა ქართველთა მტრები, ხოლო მომდევნო წელს ძლევამოსილმა დავითმა თბილისის გათავისუფლებაც იზეიმა 400 წლოვანი ტყვეობიდან, 1123 წელს დმანისი შემოუერთდა დედასაქართველოს, რითაც საბოლოოდ გამთლიანდა მისი სხეული.

თავმდაბალ დავითს საკუთარი თავი „უსწავლელ“, „მხედრობათა შინა აღზრდილ“ კაცად მიაჩნდა, თუმცა კი, იმდენად უყვარდა კითხვა, რომ ლაშქრობაშიაც ჯორაქლემებით დაატარებდა წიგნს. როცა თვალნი დაეღლებოდა, ახლა სხვას მისცემდა წასაკითხად და თავად სმენას მოუნაცვლებდა. ერთხელ ისე გაუტაცია დავითი სამოციქულოს კითხვას, კინაღამ წაუგია ბრძოლა. მეფეს ჩვევა ჰქონდა: „რაჟამს დაასრულნის, ნიშანი დასუის ბოლოსა წიგნისასა“. ამ ნიშნების მიხედვით აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთ წელიწადს 24-ჯერ წაეკითხა სამოციქულო. ჭეშმარიტი მართლმადიდებელი იმდენად კარგად იყო გარკვეული ყურანში, დიდი წარმატებით ეკამათებოდა მაჰმადიანთა თავკაცებს ყურანის წარმოშობაზე.

დავითი უხვი მოწყალებით შეეწეოდა ეკლესია-მონასტრებს, იქნებოდა ეს ქვეყნის გარეთ თუ შიგნით. ჯერ კიდევ 1106 წელს დაიწყო გელათის ტაძრის მშენებლობა, რომელსაც დიდძალი განძი შესწირა. საქართველოში სამოღვაწეოდ მოიწვია „კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა“, რომელნიც დაემატნენ „თვისთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილ“ სწავლულთ და მათ საფუძველი დაუდეს უმაღლეს სასწავლებელს – გელათის აკადემიას, რომელიც უნდა შექმნილიყო „ახალ ათინად და მეორე იერუსალიმად“.

მოყვასისათვის მზრუნველმა მეფემ უფასო საავადმყოფოები დააარსა, სადაც ღარიბი და უპოვარი სნეულნი მოათავსებინა. თავადაც ხშირად იარებოდა მათ მოსანახულებლად და ახლობლურად მოიკითხავდა. ხოლო გაჭირვებულთა და ქვრივ-ობოლთათვის მუდამ თან დაჰქონდა სამოწყალო ქისა.

მეფემ სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე შექმნა სულის საოცარი აღსარება – „გალობანი სინანულისანი“, სადაც მოთქმით მოიხსენია მის მიერ ჩადენილი ყოველი ცოდვა. 1125 წელს დაწერა ანდერძი. თავისი ხელით დასვა სამეფო ტახტზე თვისი ძე – დიმიტრი, ხოლო თვითონ მშვიდობით აღესრულა 53 წლის ასაკში.

წმინდა დავით აღმაშენებელმა საკუთარ საძვალედ გელათის მონასტერი ინება. ანდერძისავე მიხედვით, დავითს უსურვებია, ყოველ მოკვდავს ფეხი დაებიჯებინა მის საფლავზე... საფლავის ქვაზე ამოკვეთილია მეფის უკანასკნელი სურვილი: „ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, ესე მნთქავს: „აქა დავემკვიდრო მე“.

ამქვეყნიური წარმავალი დიდების უარყოფის უბადლო ნიმუში, სადა და უბრალოა დავით მეფის საფლავი...

შთამომავლობამ დაუფასა დიდ წინაპარს ღვაწლი და აღმაშენებელის სახელთან ერთად წმინდანის გვირგვინითაც შეამკო იგი.

განვაგრძობთ ნარკვევების ციკლს, (იხ. „გზა“ №№28, 32, 33) 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს მიერ გადატანილი პირველი საომარი კონფლიქტების შესახებ.

პირველი რესპუბლიკის მხარე გამოცდილება

1920 წლის რუსეთ-საქართველოს ომი

კახა მაისურაძე

ომის დასაწყისი – ბაქოს აღება

როდესაც რუსეთ-საქართველოს 1920 წლის ომზე ვსაუბრობთ, იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი რუსული ჯარების მიერ ბაქოს აღებისა და აზერბაიჯანის ოკუპაციის ფონზე წარმოიქმნა. ამიტომაც ეს ომი ჩვენს მეზობელ ამ ქვეყანასთან კავშირის კონტექსტშია განსახილველი.

ყოველივე კი ასე დაიწყო. 1920 წლის გაზაფხულისათვის ბოლშევიკები საბოლოო მარცხს აყენებენ ჩრდილო კავკასიაში განლაგებულ დენიკინის თეთრგვარდიელებს და უშუალოდ სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებს – საქართველოსა და აზერბაიჯანს „უმეზობლდებიან“. დღიდან ამ წარმატებისა, მოსკოვი იწყებს თავისი ექსპანსიის სამხრეთის მიმართულებით გაფართოებისათვის მზადებას და, ბუნებრივია, მთავარ სამიზნედ იმთავითვე ამ ორ მოსაზღვრე რესპუბლიკას ირჩევს.

მომდინარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ჯერ კიდევ 1919 წლის ზაფხულში საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობათა წარმომადგენლები დებენ ხელშეკრულებას ერთობლივი თავდაცვის შესახებ, რომლის თანახმად, ორივე სახელმწიფო ვალდებული იყო, ერთმანეთისათვის შეიარაღებული დახმარება გაეწია, თუ რომელიმე მათგანს სხვა სახელმწიფო დაესხმებოდა თავს. „მაგრამ ეს კავშირი იმთავითვე ჩაკვდა, ბიუროკრატიული მიმოწერის ფსკერზე ჩაიძირა“ (გიორგი კვინიტაძე „მოგონებები“, 1998 წ.) და ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ აზერბაიჯანისა და საქართველოს სამხედრო წარმომადგენლებმა, შექმნილ კავშირში მაღალი სამხედრო თანამდებობების დაკავებაზე კონსენსუსს ვერ მიაღწიეს. მაგალითად: „სამხედრო კავშირის“ თავმჯდომარის თანამდებობაზე ერთმანეთს ეცილებოდნენ ქართველი გენერალი ილია ოდიშელიძე და აზერბაიჯანელი გენერალი მეხმანდაროვი.

უკანასკნელად საქართველოს მთავრობამ, ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად, კავშირის განახლება 1920 წლის აპრილში სცადა. ამ მიზნით იქ მიავლინა გენერალი გიორგი კვინიტაძე. მაგრამ ყოველივე დაგვიანებული აღმოჩნდა. აზერბაიჯანის ბედი ანკარასა და მოსკოვს შორის გამართულ მოლაპარაკებებზე გადაწყდა.

თურქეთის მთავრობამ, რომელსაც ამ დროისათვის უდიდესი გავლენა ჰქონდა აზერბაიჯანის მთავრობაზე, აზერბაიჯანი რუსეთს იმ დახმარების სანაცვლოდ დაუთმო, რომელიც იმდროინდელ ანკარას, ანტანტასთან წარმოებულ ბრძოლებში რუსეთის მხრიდან, ესაჭიროებოდა. ბაქოს გარნიზონის ძირითად ნაწილს თურქი ოფიცრები წარმოადგენდნენ. ბოლშევიკთა სამხედრო რაზმების მოახლოებისთანავე, მათ უმალ შეწყვიტეს წინააღმდეგობა და უბრძოლველად შეუშვეს მტერი ქალაქში. ყოველივე ეს 28 აპრილს მოხდა. მანამდე კი წინააღმდეგობა ოკუპანტებს საზღვარზე განლაგებულმა მხოლოდ იმ ერთადერთმა ბატალიონმა გაუწია, რომელსაც ქართველი პოლკოვნიკი თუმანიშვილი მეთაურობდა. მაგრამ შემდგომ ის, წინააღმდეგობის გაწევისა და მასზე მინდობილი პოსტის გმირული დაცვის გამო, ბოლშევიკებმა დახვრიტეს. იმავე დროს, ქ. განჯაში, აზერბაიჯანის არმიის რიგებში მომსახურე მეორე დიდი ქართველი გენერალი – ბალო მაყაშვილი დახვრიტეს.

როგორც ჯერ კიდევ 1920 წლის 17 აპრილს ლენინის მიერ სერგო ორჯონიკიძისადმი გაგზავნილი მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, აზერბაიჯანის დაპყრობას დაუყოვნებლივ უნდა მოჰყოლოდა საქართველოს ოკუპაციაც. ამიტომ ბაქოს აღების შემდეგ, ჯერი თბილისზეც მიდგა. რუსები გამალებით ემზადებოდნენ საქართველოში შემოსაჭრელად.

რუსული არმიის შემოჭრა საქართველოში

საქართველოში შემოსაჭრელად მზადებისას, პირველი, რაც აგრესორებმა მოიმოქმედეს ის იყო, რომ დაკავეს აზერბაიჯანის რკინიგზის 120-მდე ქართველი მუშამოსამსახურე. ბაქოში მოსკოვის მიერ ხელდასხმულმა მარიონეტულმა რეჟიმმა ისინი ქართველ სამხედრო ტყვეებად გამოაცხადა. პარალელურად, საქართველოს მიმართულებით რუსული არმიის მე-20 და 32-ე დივიზიები დაიძრა. საქართველოში კი ამ დროისათვის რა ხდებოდა? ჯერ კიდევ 28 აპრილს, თბილისში დაარსდა „თავდაცვის საბჭო“, მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით. ჯარების მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი გიორგი კვინიტაძე. გამოცხადდა ნაწილობრივი მობილიზაცია. ჯარში გაიწვიეს 1888-95 წლებში დაბადებული ყველა რეზერვისტი, ასევე ყველა ექიმი 35 წლის ასაკამდე. გამოქვეყნდა მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას მიმართვა ქართველი ხალხისადმი, სადაც ის მოუწოდებდა მოსახლეობას, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა მამულის გადარჩენისათვის. 30 აპრილს

ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ – დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო ხაზინიდან 100 მილიონი მანეთის გამოყოფას რესპუბლიკის თავდაცვის საჭიროებისათვის.

საომარი ოპერაციები რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ, ბაქოს აღებიდან სამი დღის შემდეგ – 1 მაისს დაიწყო. რუსეთი საბრძოლო მოქმედებებს ძირითადად ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებთან – აზერბაიჯანის მხრიდან აწარმოებდა. თუმცა, ჰქონდა მცდელობა, იერიში ჩრდილო-დასავლეთიდანაც – აფხაზეთის მონაკვეთზე მიეტანა, მაგრამ იმ შენაერთებს გზა, ყირიმში განლაგებულმა ვრანგელის ჯარების დესანტმა მოუჭრა.

1 მაისს მტრის მიერ დაწყებული სამხედრო მოქმედებები, ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. მტერმა ხელში ჩაიგდო ინიციატივა წითელი ხიდის რაიონში, უკუაქცია იქ განთავსებული კახეთის ბატალიონი და ქვეყნის ტერიტორიაზე 10 ვერსის სიღრმეში შემოიჭრა. მის შეჩერებას მხოლოდ გოგი ხიმშიაშვილის მეთაურობით მოქმედი გვარდიელთა ცხენოსანი დივიზია ცდილობდა. სამაგიეროდ, მოხერხდა მდ. ხრამზე გადებული ფოილოს ხიდის მიდამოებში არსებული საზღვრის მონაკვეთის შენარჩუნება. მოწინააღმდეგე ამ რაიონში შეტევას ჯავშანტექნიკისა და ჯავშნოსანი მატარებლების გამოყენებით ახორციელებდა. პოლკოვნიკ კენჭუაშვილის ბრძანებით, როდესაც მტერი ხიდს მიუახლოვდა, მისი დანაღმული შუა ნაწილი ააფეთქეს და ამით მისი იერიში შეაჩერეს.

როდესაც საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი წითელმა არმიამ გადმოლახა, ჟორდანიას მთავრობამ მოსკოვს, ამ თავდასხმის გამო, ახსნა-განმარტება მოსთხოვა. რაზედაც პასუხად მიიღო, რომ თავად არაფერ შუაშია, აზერბაიჯანი დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკაა. ყოველივე აზერბაიჯანის „ახალგაზრდა მთავრობის“ შეცდომა, „ადგილობრივი ინციდენტი“ იყო და სხვა (რემონ დიუგე, „მოსკოვი და წამებული საქართველო“, 1994 წ.). რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის სიცრუეს თუნდაც ერთი ასეთი ეპიზოდი ამხელს.

ომის დასაწყისშივე გოგი ხიმშიაშვილის კავალერიის მოწინავე რაზმი, ღამის გასათევად თათრების ერთ-ერთ სოფელში გაჩერდა. ღამით ამ სოფელში 40 კაცისაგან შემდგარი მტრის ცხენოსანი დანაყოფი შევიდა, ჩვენს გუშაგებს მიუახლოვდა და დანებება მოსთხოვა. გუშაგებმა სროლით უპასუხეს. ტყვიამ დანაყოფის მეთაური ოფიცერი ძირს დასცა. დანარჩენებმა ცხენები გააბრუნეს და სიბნელეში გაუჩინარდნენ. მოკლულ ოფიცერს ბრძანება უპოვეს, საიდანაც გაირკვა, რომ საქმე თბილისზე თავდასხმის მზადებას ეხებოდა, ე.ი. „ადგილობრივი ინციდენტი“ არ ყოფილა.

მომდევნო დღეებში, ქართული ჯარების სრულ მობილიზაციამდე, საომარი მოქმედებები ასეთივე ცვალებადი წარმატებებით წარიმართა. ყოველივე ამით იმედმოცემული, მტრის ცხნეზე ამხედრებული „ქართველი იუდა“ – სერგო ორჯონიკიძე კი მოსკოვს ასეთ პატაკებს უგზავნიდა: „ლენინს, სტალინს – ბაქო, 4 საათი, 3.V.20წ. დაწვრილებით გადმოგცემთ რადიოთი, ყველაფერი გათვალისწინებულია და სრულდება... მოვლენები ისე ვითარდება, რომ იმედი გვაქვს, არა უგვიანეს 15 მაისისა ვიქნებით თბილისში“. ანდა მეორე დეპეშა: „ლენინს, სტალინს – ბაქო, 4.V.20 წ. მოვლენები ისე ვითარდება, რომ იმედი გვაქვს არა უგვიანეს 12 მაისისა ვიქნებით თბილისში“ (გრ. ჟვანია, „როგორ მზადდებოდა საქართველოს ოკუპაცია“, 1992 წ.).

მაგრამ ამხანაგ სერგოს არც 12-ში და არც 15-ში საქართველოს დედაქალაქში შესვლა არ გამოუვიდა. ქართული ჯარები მალე კონტრშეტევაზე გადავიდნენ და მის მიერ მოყვანილი „რუსი ძმები“ ქვეყნის საზღვრებიდან კინწისკვრით განდევნეს. ამ ბრძოლებში განსაკუთრებით თავი ისახელა გენერალ კვინიტაძის ბრძანებით მოქმედმა „მარჯვენა“ და „მარცხენა“ ქართულმა სამხედრო დაჯგუფებებმა ვალიკო ჯუღელისა და გენერალ ჯიჯიხიას სარდლობით.

რუსული ჯარების დამარცხება და 32-ე დივიზიის განადგურება

აღსანიშნავია, რომ საომარი ოპერაციების პარალელურად, საქართველოს დელეგაცია გრიგოლ ურატაძის მეთაურობით მოლაპარაკებებს აწარმოებდა მოსკოვში, ამ ქვეყანასთან სამშვიდობო ხელშეკრულებების დადების მიზნით. მთავრობასაც ორიენტაცია უფრო კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებაზე ჰქონდა აღებული. მიუხედავად ქართული ჯარების წარმატებისა, ნოე ჟორდანია ორჭოფობდა, საბოლოოდ ვერ გადაეწყვიტა, როგორი დადგენილება მიეღო. მიეცა თუ არა შესაძებლობა ჯარებისათვის, სამხედრო მოქმედებების შემდგომი განვითარებისა.

„რა რაოდენობის ჯარი გყავთ ფრონტზე?“ – ეკითხება მთავრობის თავმჯდომარე მთავარსარდალს – გენერალ კვინიტაძეს. „უნდა ვაღიარო, რომ მოვატყუე. ვუთხარი, 9 ბატალიონი გვყავს-მეთქი. სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი: რომ სცოდნოდა 6 ბატალიონი გვყავდა, იერიშზე გადასვლის ნებას არაფრის დიდებით არ მოგვცემდა“ (გიორგი კვინიტაძე, „მოგონებები“, 1998 წ.).

როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ამ ტყუილმა ყველა სიმართლეზე მეტად დადებითი როლი ითამაშა: ქართული არმიის შემდგომი ოპერაციები წარმატებით განვითარდა. სასტიკ ბრძოლებში დამარცხდა და მთლიანად განადგურდა რუსთა 32-ე დივიზია. ქართულმა შენაერთებმა აზერბაიჯანის საზღვარი გადალახეს და 20-25 ვერსის (1 ვერსი 1.06 კმ-ს უდრის) მანძილზე წაიწიეს წინ. აღსანიშნავია, რომ შეტევით ოპერაციებში აქტიურად მონაწილეობდა იმდროინდელი ქართული ავიაციაც, რომელ-

ნოე ჟორდანია

იოსებ გედევანიშვილი

გრიგოლ გიორგაძე

გრიგოლ ლორთქიფანიძე

ქართველი კავალერისტები

იც საინჟინრო ჯარების შემადგენლობაში შედიოდა ცალკე „საავიაციო გუნდის“ სახით და კაპიტანი ნიკოლოზ მაყაშვილი ხელმძღვანელობდა.

„ჩვენმა ჰაეროპლანებმა დაბომბეს მტრის პოზიციები წითელ ხიდთან“, „ჩაყარეს ყუმბარები მტრის ზურგში“ – აღნიშნული იყო 11-12 მაისის გაზეთ „სახალხო საქმის“ ფურცლებზე, საქართველოს იმდროინდელი გენშტაბის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამავე დროს, ავიაციას პროპაგანდის საშუალებადაც იყენებდნენ: ცნობილია, რომ მთავრობის უშუალო მითითებით, ავიატორები ყრიდნენ პროკლამაციებს მტრის ტერიტორიაზე, ამ დროისათვის რუსეთ-საქართველოს შორის დადებული 7 მაისის ხელშეკრულების გასაცნობად. რაც ორივე მხარეს ცეცხლის შეწყვეტას ავალდებულებდა.

მაგრამ ამაოდ: ბრძოლა არ წყდებოდა. დაპირისპირებულ მხარეებს შორის მძაფრი შეტაკებები კვლავ მიმდინარეობდა, ეს კი ქართველთა საბოლოო გამარჯვებას სულ უფრო და უფრო გარდაუვალს ხდიდა. იქმნებოდა შესაძლებლობა ოკუპირებული აზერბაიჯანის გათავისუფლებისა, რომლის მთავარი მიზანიც სამხრეთ კავკასიიდან მტრის სრული განდევნა იყო.

ზავი, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა

მოპოვებული წარმატების შემდეგ, ქართული ჯარები ბაქოზე გენერალური შეტევისათვის ემზადებოდნენ. ამ მიზნით აზერბაიჯანის საზღვართან, გენერალ კვინიტაძის ბრძანებით ჩამოყალიბდა სამხედრო დაჯგუფება, რომელსაც გენერლები ჩხეიძე, ჯიჯიხია, გედევანიშვილი და სუმბათაშვილი მეთაურობდნენ.

ამასთან, ქართული სამხედრო დაზვერვისათვის ცნობილი გახდა, რომ რუსული ჯარის გადარჩენილი ნაწილები იმდენად იყვნენ შელახულნი, რომ ქართველთა მომავალ შტურმს ვერ შეაჩერებდნენ. ამას ემატებოდა თვით აზერბაიჯანში მტრისათვის შექმნილი საკმაოდ არახელსაყრელი მდგომარეობა: ცნობილია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ქართველთა მხრიდან მხოლოდ შეტევის დაწყებას უცდიდა იმისთვის, რათა თავადაც აქტიური მონაწილეობა მიეღო რუსთაგან თავიანთი დაპყრობილი სამშობლოს გათავისუფლებაში (ამას ადასტურებს 25 მაისს ქ. განჯაში მომხდარი ანტირუსული აჯანყება, დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ჯარების მიერ მდ. მტკვარზე გადასასვლელი ევლასხის ხიდის აფეთქების მცდელობა და სხვა.).

„დადგა იმ წუთთაგანი, როდესაც სახელმწიფოს ბედი წყდებოდა. სწორი გადაწყვეტილება უნდა მიგვეღო – ვიყავით კი მზად ასეთი მასშტაბის იერიშის განსახორციელებლად? უნდა ვაღიაროთ, რომ შექმნილ მდგომარეობაში შეგვეძლო მისი ხორცშესხმა“ – იგონებდა მოგვიანებით გენერალი კვინიტაძე.

მართლაც, ჯარი მთლიანად მობილიზებული იყო. ფორმირებული გახლდათ 3 ბატალიონიანი ქართული პოლკები. რომელთა საერთო რაოდენობა 40 ათასი კაცით განისაზღვრებოდა. ისინი სერიოზულად აღიქვამდნენ ვითარებას და მზად იყვნენ მეზობელი ქვეყნის გასათავისუფლებლად შეიარაღებული მოქმედებისათვის. ამას ემატებოდა ისიც, რომ ქართველთათვის ამ პერიოდში ხელსაყრელი გახლდათ თვით საბჭოთა რუსეთში შექმნილი ვითარებაც. კერძოდ, მოსკოვის წინააღმდეგ საომარ კამპანიას აწარმოებდა, ანტანტის სამხედრო-ტექნიკური დახმარებით გაძლიერებული პოლონეთის მთავრობა, მარშალ პილსუცკის მეთაურობით. პოლონეთის ჯარებმა გენერალ პეტლიურას სარდლობით ამ დროისათვის იმდენიც კი შეძლეს, რომ რუსებს წაართვეს კიევი, ოდესა, ტაგანროგი, დაატყვევეს რამდენიმე ათეული ათასი რუსი ჯარისკაცი და უშუალოდ მოსკოვს დაემუქრნენ.

ამას ემატებოდა ვრანგელის ჯარების მზარდი გაძლიერება ყირიმში. ასე რომ, ამ დროისათვის ბოლშევიკთათვის ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ მათ კავკასიისთვის ნამდვილად არ სცხელოდათ – მთელი ძალები დასავლეთის ფრონტზე ჰყავდათ გადასროლილი. რაც შეეხება კავკასიას – ბაქოს შტურმის შემთხვევაში, გარდა თვით აზერბაიჯანელებისა, მოსალოდნელი იყო ჩრდილოკავკასიელი მთიელების (ჩეჩენ-დაღესტნელები) აჯანყება, რაც ქართველთა შანსებს ერთი-ორად აორკეცებდა. შექმნილი მდგომარეობა საქართველოს აზერბაიჯანის გათავისუფლებას ჰკარნახობდა. საამისოდ ყველაფერი გაკეთდა კიდეც: 19 მაისს დაინიშნა გენერალური შეტევა. მანამ კი, რამდენიმე დღით ადრე, ჯარების საბძოლო განლაგება დაათვალიერა სამხედრო მინისტრმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ. „რა შედარებაა, არმიის წარსულ მდგომარეობასთან, ეს ხომ ცა და დედამიწაა!“ – აღუნიშნავს ქართველთა სამხედრო მომზადების მაღალი დონით აღფრთოვანებულ მინისტრს.

აი, ასეთი იყო 19 მაისისათვის შეტევის დაწყების წინ შექმნილი ვითარება, როდესაც ერთი დღით ადრე – 18 მაისს ჯარების მთავარსარდალი გენერალი გიორგი კვინიტაძე ღებულობს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას კატეგორიულ ბრძანებას, საომარი ოპერაციების შეწყვეტისა და მოწინააღმდეგესთან სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყების შესახებ. „ამ უცნაურმა და უგუნურმა ბრძანებამ, საქართველოს დამოუკიდებლობას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. მოსკოვის მთავრობა ალბათ გულში ხითხითებდა, როცა საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულებას აწერდა ხელს. ისტორიაში ალბათ პირველი შემთხვევა იყო, როცა გამარჯვებული არმია უკან იხევს. მტერი დაამარცხა, გააქცია, თავად კი უკან დაიხია“ (რემონ დიუგე, „მოსკოვი და წამებული საქართველო“, 1994 წ.).

ზავის პირობების საბოლოოდ შესათანხმებლად, ორივე მხარის წარმომადგენლები ერომანეთს აზერბაიჯანის ქალაქ აღსტაფაში შეხვდნენ. ამ შეხვედრებს უფრო მიტინგის ხასიათი ჰქონდა: ეს იყო მხურვალე გამოსვლები, კეთილშობილური ჟესტები, მოწოდებები მშვიდობიანი შრომისაკენ, ანტიმილიტარიზმისაკენ. რუსებმა იმას მიაღწიეს, რაც სურდათ – ჩვენს ჯარებს უკან, ძველი საზღვრებისკენ უნდა დაეხიათ. გამარჯვებულმა დაუთმო დამარცხებულს, რითაც უმალ კარგად ისარგებლეს და იმ დღიდანვე დაიწყეს თავისი ჯარების ამიერკავკასიაში გაძლიერება.

ბოლშევიკები ძლიერდებოდნენ და ამას დღითი დღე ყველა თვალნათლივ ხედავდა და გრძნობდა. მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა, არსებული დიპლომატიური მარცხის საკომპენსაციოდ, მოსკოვთან მყარი სამშვიდობო შეთანხმებისთვის მიეღწია, მაგრამ ამაოდ. ყველასათვის ცნობილი იყო, რომ მტერი რევანშისათვის ემზადებოდა. საქართველოს დასაპყრობად აზერბაიჯანში საგანგებო მე-11 წითელი არმია დგებოდა...

■

პლანეტის შესასვლელს უზარმაზარი სფინქსი იცავს

მიუხედავად იმისა, რომ ეს პლანეტა მზის სისტემაში იმყოფება, მისი აღმოჩენა ცაზე ყველაზე ძლიერი ტელესკოპითაც შეუძლებელია. ის რომ იხილოთ, კოსმოსში გაფრენა არ არის აუცილებელი, საკმარისია, თვითმფრინავში ჩაჯდეთ და ავსტრიისკენ გაემგზავროთ. სწორედ იქ, ტიროლის მიწების დედაქალაქ ინსბრუკის მახლობლად, პატარა ქალაქ ვატენსის მიწისქვეშა გამოქვაბულში ყოველდღე ცოცხლდებიან ზღაპრების ბროლის გმირები.

ბროლის ჯადოსნური პლანეტა

1995 წელს, მაშინ, როცა ავსტრიული ფირმა SWAROVSKI ასი წლის იუბილეს აღნიშვნას აპირებდა, გადაწყდა, შექმნილიყო ისეთი მუზეუმი, რომელიც ადამიანებს ბროლის ვარსკვლავური ბრწყინვალებისა და რიჟრაჟის პირველი სხივების დანახვაში დაეხმარებოდათ. პროექტის ავტორმა, ავსტრიელმა მხატვარმა ანდრე ჰელერმა მუზეუმის მიწისქვეშ განთავსება გადაწყვიტა, რადგან მისი აზრით, „სვაროვსკის“ ფირმის ბროლის ნიმუშებს თავისი სისუფთავითა და სიდიადით მხოლოდ ალმასები თუ შეედრება. ზღაპრულ გამოქვაბულს „სვაროვსკის ბროლის ქვეყნები“ დაარქვეს. მის დასათვალიერებლად მსოფლიოს ყველა კუთხიდან ყოველწლიურად 600 000 ტურისტი ჩადის.

ბროლის ზღაპარი 1891 წელს დაიწყო, მაშინ როცა ბოჰემიის (დღევანდელი ჩეხეთი – ეს მხარე განთქმული იყო ბროლის ნაკეთობათა ოსტატებით) მკვიდრმა, ყველასათვის უცნობმა მევიოლინემ დანიელ სვაროვსკიმ გამოიგონა მანქანა, რომელიც ბროლის ძვირფასი ქვებისა და კრისტალებისგან, დიდი რაოდენობისა და უზადო ხარისხის ნაკეთობათა დამზადების საშუალებას იძლეოდა. 29 დღის გამომგონებელმა ადგილობრივ ოსტატებთან კონკურენციას თავი აარიდა და ავსტრიაში გადასახლდა, სადაც 1895 წელს ტიროლის მახლობლად პატარა სოფელ ვატენსში დააფუძნა ბროლის ნაკეთობათა ქარხანა, რომლის პროდუქციითაც ძვირფასი ქვების იმიტაციას ახდენდა. იმ პერიოდში ფართოდ დაიწყეს ასეთი ქვების გამოყენება მოდური ტანსაცმლისა და აქსესუარებისთვის.

სამეფოში 590 სამკუთხა სარკეა

რამდენიმე წლის შემდეგ დანიელმა კრისტალების მოწახნაგებისა და ხეხვის ტექნოლოგიის სრულყოფილებამდე დახვეწა შეძლო. 1911 წელს კი სვაროვსკიმ შვილების – ვილჰელმის, ფრიდრიხისა და ალფრედის დახმარებით, ზეგამჭვირვალე ბროლის მისაღებად, ხარშვისთვის ოპტიმალური საწყისი ბროლის კრისტალების ნარევის დამზადება მოახერხა. ეს უნიკალური ბროლი იყო, რომლის მიღებასაც მანამდე ბევრი ცდილობდა. პარიზისა და სანკტ-პეტერბურგის მოდის მიმდევრები დანიელ სვაროვსკის სამკაულებმა აღაფრთოვანა, ბროლის „ბრილიანტებზე“ უწყვეტად მოდიოდა შეკვეთები.

წლების შემდეგ ფირმის ბიჟუტერია მარლენ დიტრიხისა და ჯერი ჰოლის საღამოს კაბების, მაიკლ ჯექსონისა და ტინა ტერნერის სასცენო კოსტიუმების განუყოფელ ელემენტებად იქცა. შანელის, კრისტიან დიორის და ივ სენ-ლორანის მოდის სახლები მის გარეშე არ კერავენ კაბებს. დღესდღეობით დანიელ სვაროვსკის მემკვიდრეები ბროლის სამკაულებს ნებისმიერი გემოვნების ადამიანებისთვის, ასი ათასზე მეტი სხვადასხვა შეფერილობითა და ფორმით ამზადებენ.

1976 წელს, შობის წინა დღეებში

ფირმამ პირველი ბროლის ფიგურა დაამზადა. ეს იყო პატარა თაგვი, რომელიც ჭაღის რამდენიმე ბროლის დეტალისგან იყო აწყობილი. თაგვს ზღარბი მოჰყვა, ზღარბს – კუ, შველი, მარტორქა, გედი და ა.შ. სხვათა შორის, ,,სვაროვსკის" ლოგოტიპი ერთხანს ედელვაისი იყო, მაგრამ იგი შთამბეჭდავი მხოლოდ მთის მცხოვრებლებისთვის აღმოჩნდა. ფირმის მსოფლიო აღიარებამ მისი მეპატრონეები პროდუქციისთვის ახალი სიმბოლოს შექმნაზე ჩააფიქრა. 1988 წლიდან ფირმის სიმბოლოდ გედი იქცა, რომელიც ყველა ხალხისთვის ელეგანტურობისა და ჰარმონიის სიმბოლოა.

თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში სამასზე მეტი სხვადასხვა ბროლის ფიგურა შეიქმნა. მინიატურული ფიგურების მფლობელებმა ,,სვაროვსკის ნაკეთობათა კოლექციონერთა კლუბი" დააარსეს, რომელშიც მსოფლიოს ათეულობით ქვეყნიდან, ნახევარ მილიონ ადამიანზე მეტი შედის. მათ ,,სვაროვსკის ბროლის ქვეყნების" მუზეუმში განცალკევებული შენობაც კი აქვთ, სადაც იკრიბებიან, იხილავენ ახალ იდეებსა და პროექტებს, ფიგურებს უცვლიან ერთმანეთს.

მუზეუმი-გამოქვაბული შვიდი ოთახისგან შემდგარ ლაბირინთს წარმოადგენს. ოთახები ერთმანეთს ვიწრო დერეფნებითა და კიბეებით უკავშირდება. შესასვლელს კლდეში გამოქანდაკებული ნაკვერჩხლისთვალება გოლიათი იცავს, რომლის პირიდან ჩანჩქერი იფრქვევა. პროჟექტორების შუქს წყლის შხეფები უმცირეს სხივებად შლის და ათასობით პატარა ცისარტყელა იქმნება, რაც ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ჩანჩქერიც ბროლისგან იყოს დამზადებული. მიწისქვეშა საგანძურისკენ მინის გვირაბს მივყავართ, რომლის კედლებზეც დიდი პოეტების – შექსპირის, გარსია ლორკას, გოეთეს ლექსებია ამოკვეთილი. ყველა ლექსში აუცილებლად მოიხსენიება სიტყვა, რომელიც თარგმანში ,,კრისტალს" ან ,,ბროლს" ნიშნავს. ეს სიტყვა-გასაღებია, ის დამთვალიერებლებს მეგზურობას მუზეუმის ყოველ დარბაზში უწევს.

დანიელ სვაროვსკის ბიუსტი

შორიდან დანახული ხელის მტევანი, სინამდვილეში ჩვეულებრივი ლაბირინთია

საოცრების მემქმნელი ანდრე ჰელერი

პირველ დარბაზში წარმოდგენილია ,,სვაროვსკის" ყველაზე დიდი და ყველაზე პატარა ბროლის კრისტალები, ისინი გინესის რეკორდების წიგნშია შესული. გიგანტის წონა 310000 კარატია (დაახლოებით 62 კილოგრამი), დიამეტრი – 40 სანტიმეტრი. კრისტალის ასი წახნაგი მნახველებს აჯადოებს, ის ხან თბილ ბროწეულისფრად, ხან ცივ ვერცხლისფრად ნათდება, ფერები ერთმანეთში გადადის და სიბნელეში საოცრად ანათებს. ყველაზე პატარა კრისტალის დანახვა კი მხოლოდ მიკროსკოპით არის შესაძლებელი. მისი დიამეტრი მხოლოდ 0,8 მილიმეტრია. აღსანიშნავია, რომ დარბაზის ყველა ექსპონატი ორიგინალურობით გამოირჩევა: ბროლისგან არის დამზადებული სალვადორ დალის ცნობილი საათი, ინდოეთის მაჰარაჯას საყვარელი ცხენის საზეიმო აღკაზმულობა, ხელოვნური კრისტალებით აღმართული თერთმეტმეტრიანი კედელი, რომლის ბროლის ნაწილების საერთო წონა 12 ტონას შეადგენს.

შემდეგ დარბაზში ბილიკი მიემართება: მისი სიგანე ერთი მეტრია, სიგრძე კი – ათი. საბავშვო კალეიდოსკოპების მსგავსად, ის არასოდეს არ არის ერთნაირი ფერის: რაც მეტი ადამიანი დააბიჯებს პაწია ბროლის ნატეხებისგან შემდგარ ბილიკზე,

საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის შემდეგ სვაროვსკის ფირმის სიმბოლოდ ბროლის გედი იქცა

თოჯინა ბარბისთვის შექმნილი ბროლის სამოსი

მით უფრო ხშირად იცვლება მისი მოზაიკა. ამ ბილიკით ადამიანი ნელა შეაბიჯებს საოცარი ოთახის იდუმალ სიბნელეში, სადაც სამგანზომილებიან სივრცეში იმის დანახვა შეიძლება, თუ როგორ გაჩნდა ბროლის პლანეტა და შეიქმნა მასზე სიცოცხლე. სიბნელეში მკვეთრად ანათებენ ვარსკვლავები, მათი ჯადოსნური შუქი კოსმოსისკენ გიხმობთ, საოცარი გრძნობა გეუფლებათ – თითქოს ყოველდღიურ ფიქრებს და ყოფას ივიწყებთ, მხოლოდ ვარსკვლავების ძალა გიზიდავთ უსასრულო, თავისუფალ სივრცეში, სულს კი აუხდენელი ოცნებების და ფიქრების ახდენის წინათგრძნობა ავსებს. და უცებ თქვენს წინ აუარება ვარსკვლავი ჩაქრობას იწყებს და პლანეტად იკუმშება, შემდეგ პლანეტა ოკეანეების ცისფერი შუქით იფარება – ჩნდება მატერიკები, ყოველ წამში სულ უფრო მწვანდება, მილიონჯერ აჩქარებული ევოლუციის შედეგად, ოკეანეები თევზებით ივსება, ქვეწარმავალთა სისინი ჩიტების ჭიკჭიკით იცვლება, „სვაროვსკის“ კრისტალებით და უახლესი აუდიოვიზუალური ტექნოლოგიით მიღწეული ჰოლოგრაფიული ეფექტი თქვენ წინაშე დედამიწის ისტორიის თითქმის რეალურ სურათებს შლის.

კიდევ ერთი საოცარი ოთახი და დამთვალიერებელი ისევ სასიამოვნო შოკშია. ვიწრო კიბის შემდეგ თქვენ თვალწინ თითქოს მოელვარე კედლების სივრცე იშლება. როგორც კი ამ განათებით მიღებული შოკი გადაგივლით, აღმოაჩენთ, რომ კოლოსალური კრისტალის შიგნით იმყოფებით. ამ ზღაპრულ ილუზიას 590 სამკუთხა სარკე ქმნის და დაუჯერებლად გეჩვენებათ, რომ ბროლის ჭერის სიმაღლე მხოლოდ 5 მეტრია. იცვლება დარბაზის ფერთა პალიტრა, რომელიც ადამიანების განცდებსაც ცვლის. აქ ისიც კი მოგეჩვენებათ, რომ ადამიანთა ხმებიც ირეკლება და ერთ მთლიანობად იქცევა, რის შედეგადაც ჰარმონიული მელოდია იბადება და ბავშვობაში გაგონილი იავნანასავით ჩაესმით დამთვალიერებლებს. სხვათა შორის, მევიოლინე დანიელ სვაროვსკი თანამშრომლებისგან ყოველთვის ისეთი ბროლის შექმნას მოითხოვდა, რომლებშიც მუსიკას გაიგონებდნენ... ბროლის თოჯინების თეატრის სიღრმიდან პატარა ჯუჯა კეთილგანწყობით გესალმებათ და თავის ზღაპარში გიხმობთ. ამ უნიკალურ თეატრში თოჯინები მუდმივად მოძრაობენ თქვენ თვალწინ. ფერადი ბროლის ხე კი უცებ... ლამაზ პეპელად იქცევა, რომელიც თქვენკენ მოფრინავს და სამუდამოდ თქვენთან რჩება.

საბოლოოდ რწმუნდებით, რომ მუზეუმის ავტორი – ანდრე ჰელერი მართალი იყო, როცა ამტკიცებდა, რომ „სვაროვსკის ბროლის ქვეყანა“ – ადამიანებისთვის შექმნილი ის ადგილია, სადაც რეალურად არსებობს ზღაპრები და ცხადში ვხედავთ სიზმრებს...

■

ამგვარი შედევრების ყველაზე სრული კოლექცია, „ბროლის იმპერიის“ დამაარსებლის ცოლის – მარია სვაროვსკის სახლ-მუზეუმში ინახება





ნიუ-იორკში ვარ

– ამაზე შორს საღღა უნდა წავიდე?!

ლელა ჭანკოტაძე

ჯემალ ღაღანიძეს რუსთაველის თეატრის ფოიეში შევხვდი, თუმცა ამჟამად რეპეტიციები არა აქვს, რაც მრავალი წლის მანძილზე პირველი შემთხვევაა: ახალგაზრდულ სპექტაკლში – „მეთორმეტე ღამე“ უფროსი თაობის მსახიობებისთვის როლები არ გამოინახა.

ბატონი ჯემალი ეპიზოდური როლების დიდოსტატია. მისი ცხოვრება თეატრში ისე წარიმართა, რომ არც სხვისი დუბლიორი ყოფილა ოდესმე და არც თავად ჰყოლია შემცვლელი. რუსთაველის თეატრის ამჟამინდელი რეპერტუარის ათი სპექტაკლიდან, ექვსში მონაწილეობს.

– ჩვენი გვარი ღანირიდან არის. ღანირი პატარა სოფელია. ძალიან ცოტანი ვართ და ყველას ერთმანეთი გვიყვარს. ეროსი მანჯგალაძეც იქიდან იყო. სწორედ მან შემარქვა „ღანირსკი“. პირველად რომ მოვიდა თეატრში ჩემს სანახავად, მთელი ხმით დაიძახა: „დამანახვეთ ერთი, რომელია ბიჭი „ღანირსკი!“ მას შემდეგ ისე დავმეგობრდით, ტომები დაიწერება ჩვენზე... საუკეთესო მოგონებები მაკავშირებს ღანირთან. მიუხედავად იმისა, რომ არც დედა მყოლია მსახიობი და არც მამა, სამსახიობო მონაცემები და რაც მთავარია, ამ პროფესიისადმი სიყვარული მაინც ბავშვობიდან გამოვამჟღავნე. მათემატიკურ სკოლაში ვსწავლობდი. დირექტორი გვყავდა, ძალზე ძლიერი მათემატიკოსი – ვალიკო მელაძე, ჩემს უფროს ძმაზე იტყოდა ხოლმე – ეს ბიჭი გამორჩეულია, ჯემალისგან კი რა გამოვა, არ ვიცი – მაგას ფანდური უნდა მისცე ხელში და აცეკვოო... გავიდა წლები. გასტროლები გვქონდა მექსიკაში. ნიუ-იორკში ვიდექით მე, ეროსი და ბატონი აკაკი ბაქრაძე და შევყურებდით ცათამბჯენებს. ჩურჩულით ვუთხარი: „ეს ღანირელი ხალხი ნახე სად ვდგავართ, რას შევყურებთ... ერთხელ, იცი, რა მითხრა სკოლის დირექტორმა? – მაგ სწავლით შორს ვერ წახვალო... ამაზე შორს სადღა უნდა წავიდე – ნიუ-იორკში ვარ და მექსიკაში მივდივარ!“

— ღანირიდან სასწავლებლად საინგილოში რატომ წახვედით, ბატონო ჯემალ?

– თეატრალურ ინსტიტუტში ერთი წლის გამოტოვებით იყო მიღება. თბილისში რომ დამემთავრებინა თერთმეტი კლასი, ერთი წელიწადი მიცდებოდა. მაშინ აზერბაიჯანში სკოლა ათკლასიანი იყო. ამიტომ გადავედი კახში სასწავლებლად ერთი წლის მოგების მიზნით... ის ერთი წელი ჩემი ცხოვრების არაჩვეულებრივი პერიოდია, თუნდაც იმიტომ, რომ დამოუკიდებლობის გემო და მადლი სწორედ იქ შევიგრძენი. ხშირად მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ მე პირველმა გავხსენი თეატრალური ფარდა კახში. დავწერე სცენარი სპექტაკლისთვის „არსენა“. შემდეგ დავდგი. ვათამაშე ინგილო ბავშვები და მასწავლებლები. თეატრი ეკლესიის შენობაში მოვაწყვეთ... საინგილოში დასრულდა ჩემი ბავშვობა. იქიდან ჩამოსული, პირველსავე წელს ჩავირიცხე თეატრალურ ინსტიტუტში.

— მერე თეატრალური ინსტიტუტიდან პირდაპირ რუსთაველის თეატრში მოხვედით და აგერ უკვე ნახევარი საუკუნეა რაც ამ დიდ სცენაზე დგახართ. როგორი იყო პირველი ნაბიჯები?

– თეატრში ბატონმა მიხეილ თუმანიშვილმა მომიყვანა. სწავლის დამთავრებას სამი თვე უკლდა, რომ მოვიდა ჩემთან და მითხრა – სპექტაკლს ვდგამ და მჭირდებიო. წამოგვიყვანა მე და ქალბატონი ზინა კვერენჩხილაძე. მაშინ ბატონი მიშა დგამდა სპექტაკლს „ფილოსოფიის დოქტორი“. სწორედ ამ სპექტაკლში შედგა ჩემი დებიუტი. ჩემ გვერდით თამაშობდნენ: ეროსი მანჯგალაძე, გოგი გეგეჭკორი, მედეა ჩახავა, შურა თოიძე, ეკატერინე ვაჩნაძე, რამაზ ჩხიკვაძე. მართლაც, უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც ამ სცენაზე ვარ და საწუწუნო ნამდვილად არაფერი მაქვს.

— გამიგია, რომ ბატონ რობიკოს თავისი სპექტაკლების თილისმად მიაჩნიხართ. რას იტყვით განსახიერებულ სახეებზე, სხვად ქცევის თქვენეულ მეთოდზე?

– ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში სამოცამდე როლი მაქვს ნათამაშები. „კავკასიური ცარცის წრე“ ექვსჯერ დაიდგა და ექვსჯერვე ვითამაშე, სახელმწიფო პრემიაც მივიღე. ამ სპექტაკლმა მომატარა მთელი მსოფლიო... დიდი წარმატება ჰქონდა სპექტაკლს „მეტეხის

სცენა რუსთაველის თეატრის სპექტაკლიდან „მეტეხის ჩრდილში“ (სერგო ზაქარიაძესთან და ეკატერინე ვაჩნაძესთან ერთად)

ჩრდილში“. ბრწყინვალე იყო სერგო ზაქარიაძე... მქონდა ისეთი როლები, რომელთა გამო, თავს ცუდად ვგრძნობდი: უარყოფითი პერსონაჟების განსახიერება სიამოვნებას არასოდეს მანიჭებდა, არადა, თეატრში მოსვლისას, რატომღაც უარყოფითი როლები მომაყარეს. „ბახტრიონში“ იყო ლელასა და არდავეზის სასიყვარულო სცენა. „მზე ამოვა ჩვენთვის“ – ამბობდნენ ისინი. მე უნდა ამომეყო თავი და დამეძახა: – „თქვენთვის აღარ“! სამჯერ მქონდა ეს რეპლიკა, მესამედ რომ ამოვყავი თავი, პარტერიდან ვიღაცამ დამიძახა: – „კარგი, რა, კაცი არა ხარ?!“

— თქვენ „მაკბეტში“ ქალის როლს თამაშობთ. როგორც ვიცი, უამრავი კურიოზიც შეგემთხვათ ამ როლის გამო. რომელიმეს ხომ არ გაიხსენებთ?

– ლენინგრადში ვთამაშობდით „მაკბეტს“. მე მეცვა დეკოლტე. თმა გაშლილი მქონდა. პომადითა და ფერუმარილით შეღებილი სახე ქალს კიდევ უფრო მამსგავსებდა. დერეფაში გავედი. დავინახე საშხაპე. დამაინტერესა, თუ მოდიოდა ცხელი წყალი. ცხადია, ის კარი შევაღე, რომელსაც ეწერა M. მოვუშვი ონკანი. დავრწმუნდი, რომ ცხელი წყალი მოდის და გამოვბრუნდი. სანამ გამოვიდოდი, მხარზე პირსახოცგადაკიდებული მუშა შემოვიდა. დამინახა და მოულოდნელობისგან შეცბა – იფიქრა შემეშალაო და გავარდა უკანმოუხედავად. მეორე საშხაპეში ქალი დახვდა – მუშის დანახვაზე კივილი ატეხა. გამოვარდა ის მუშა შეშლილივით – ამიხსენით რა ხდებაო, – იხვეწებოდა. რაღას ვიზამდი? თეატრია, თეატრი-მეთქი! – ვუპასუხე.

— იქნებ მოსკოვში დატრიალებული ამბავიც გაიხსენოთ, როცა არც მეტი, რაც ნაკლები, მთელმა რუსეთმა შეიტყო თქვენი მესაათეობის შესახებ?

– გასტროლები გვქონდა მოსკოვის მცირე თეატრში. იქ არის ერმოლოვას სახელობის ულამაზესი ფოიე, რომელშიც დღესაც დგას უძველესი საუცხოო საათი. თითქმის მთელი თვე ვიყავით იქ და სულ ვუყურებდი ამ გაჩერებულ საათს. ჩემი როლი ადრე მთავრდებოდა. გასტროლების და სპექტაკლის დასრულებამდე საკმაო დრო რჩებოდა. რა უნდა მეკეთებინა? დავჯექი ფოიეში. ერთხანს ვუყურე საათს. თითქოს „მეხვეწებოდა“ – რამე მიშველეო. ვეღარ მოვითმინე – მივედი და გავხსენი. საათი დიდი იყო, ხის უზარმაზარ კარადაში ჩასმული. ვნახე, რომ სერიოზული არაფერი ჰქონდა გაფუჭებული, უბრალოდ, ჯაჭვი იყო კბილანებიდან ამოვარდნილი. ხელსაწყო, რა თქმა უნდა, არ მქონდა. ვიშიშვლე ხანჯალი, რომელიც წელზე მერტყა და ჯაჭვი გაჭირვებით, მაგრამ მაინც ჩავსვი კბილანებში. ამუშავდა საათი! კმაყოფილი საგრიმიოროში წავედი, ტანსაცმელი გამოვიცვალე, მოვწესრიგდი და ფოიეში რომ დავბრუნდი, ვნახე, უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. შუაში ჩვენი დირექტორი დოდო ანთაძე იდგა და კითხულობდა – ვინ აამუშავა საათი? მეგონა, შემაქებდა და ამაყად ვუპასუხე – მე-მეთქი. ყმაწვილო, ვიცი, რომ თეატრალური ინსტიტუტი გაქვთ დამთავრებული, გისწავლიათ, გიკითხიათ და როგორ არ იცით, ეს საათი საგანგებოდ რომ გააჩერეს და იმ დროს უჩვენებს, როცა ერმოლოვა გარდაიცვალაო?.. იძულებული გავხდი, საათი ისევ გამეჩერებინა. მაგრამ არ ვიცოდი, რა დროზე უნდა დამეყენებინა. ჩავაცივდი ანთაძეს: გეცოდინებათ, რომელ საათზე გარდაიცვალა-მეთქი. გადაირია: რა ვიცი, შე კაცო, მე კი არ მომიკლავსო...

— კინოში განსახიერებულ როლებზე რას იტყვით, ბატონო ჯემალ?

– ჩემი პირველი როლი ფილმში – „ჩემი მეგობარი ნოდარი“ ვითამაშე. შემდეგ იყო: „კაცია-ადამიანი?!“, „ჩირიკი და ჩიკოტელა“, „ლაზარე“, „პირველი კონცერტი“... ამ ბოლო პერიოდში ორ ფილმში გადამიღეს. მოვიდა სრულიად ახალგაზრდა რეჟისორი და მითხრა: ბატონო ჯემალ, ფული ვიშოვე, რომ კინო გადავიღო, ოღონდ მსახიობებისთვის სახსრები არ მაქვსო... როგორ უნდა მეთქვა უარი?! სიდუხჭირე უწინაც იყო, მაგრამ ასეთი არ მახსოვს. დიდი ხელფასი არასდროს არ ჰქონია მსახიობს, გასტროლები გვშველოდა. ამას ემატებოდა საესტრადო ბრიგადები. მახსოვს, ორმოცდათექვსმეტ წელს, როგორც კი მოვედი თეატრში, მაშინვე ჩამრთო თავის ჯგუფში ბატონმა გიორგი საღარაძემ – გურამის მამამ. მთელი საქართველო შემოვიარეთ. არ დაგვრჩა სოფელი, ჩვენ რომ კონცერტი არ გაგვემართა. ეს ერთგვარი შემოსავლის წყაროც იყო და დიდად გვეხმარებოდა მატერიალური პრობლემების მოგვარებაში.

— ბატონო ჯემალ, თქვენს ოთახში ცალ მხარეს მთლიანად თქვენი ქალიშვილის აფიშებია, მეორე მხარეს კი — თქვენი. ნათიას შესახებ რა შეგიძლიათ გვითხრათ?

– ნათიამ თბილისში დაამთავრა კონსერვატორია, შემდეგ გერმანიაში ასპირანტურაში ჩაირიცხა. ძალიან ნიჭიერი მუსიკოსია. ჩემი შვილიშვილი ანსამბლ „ჯორჯიაში“ ცეკვავს. ხუმრობით ვამბობ ხოლმე: რეპეტიციების შემდეგ შვილიშვილის მძღოლი ვარ-მეთქი. ასეა – ჩემს ოჯახში მუსიკისადმი ლტოლვის ტრადიცია გრძელდება...

რობერტ სტურუას „მაკბეტში“ ჯ. ღაღანიძემ ალქაჯის როლი შეასრულა

„რა უღარღელად იმღერიან ჩემი ტოლები...“



როდესაც კონსტანტინე გამსახურდიასთვის უკითხავს გურამ ფანჯიკიძეს, ქართველი პოეტებიდან ყველაზე მეტად ვის აფასებთო, დიდ კონსტანტინეს უყოყმანოდ უთქვამს: „გაბრიელ ჯაბუშანურს — როგორც კაცსა და როგორც პოეტს“.

ნინო ჯავახიშვილი

ქართული სიტყვის დიდოსტატისგან ამგვარი აღიარება ცოტას როდი ნიშნავდა, მაგრამ თურმე მაინც შეწუხდა ხევსური პოეტი — რად მაქებსო კონსტანტინე... ჩვეული რიდისა და თავმდაბლობის გამო, ჩრდილში ყოფნა უყვარდა გაბრიელს. „ბედნიერია ის ხალხი, ვინც შეყვარებულია თავის ნაწარმოებებზე. მე ეს ბედნიერებაც მაკლია... ჩემი თავით ძალიან, ძალიან იშვიათად ვარ კმაყოფილი“, — წერდა თვითონ. ალბათ, ამიტომ თუ ეხამუშებოდა ქებაც. „რა უდარდელად იმღერიან ჩემი ტოლები, ღმერთო, მე სევდა რად დამებედა“, — ამბობს ერთგან. სევდა, მართლაც, დაბადებიდანვე განუყრელად თან სდევდა პოეტს. კენტობისა და მიუსაფრობის მიზეზები კი მის აფორიაქებულ და მოუწყობელ ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ.

ათასგვარ გაჭირვებაგამოვლილ პოეტს, უიმედობისთვის განწირულმა სიყვარულმაც გაუმწარა სიცოცხლე. „მზისფერი ქალი“ — მზექალი, მართლაც მზესავით გაბრწყინდა მის პოეზიაში; მაგრამ... აბა, რა უფლება ჰქონდა, ღვიძლი ძმის დანიშნული ქალი ჰყვარებოდა?! ამის გაფიქრებაც კი ზარავდა გაბრიელს და ევედრებოდა ჯვარ-ღმერთთ, რომ მზექალის სიყვარული ამოეგდოთ მისი გულიდან, მაგრამ ამაოდ...

— „15 თვის განმავლობაში ვერ გამოვარჩევ ვერც ერთ დღეს, ვერც ერთ ღამეს, რომ მე მზექალზე არ მეფიქროს, რომ მე მზექალზე არ მედარდოს, რომ მე მზექალის ნახვა არ მენატროს და მზექალზე თხოვნით ღვთისათვის არ მიმემართოს. ამ წერილში მე განა შემიძლია იმის მეათასედიც გითხრა, რასაც ვგრძნობ და განვიცდი, როგორც მე ვეწამები და ვიტანჯები...“ — წერდა გაბრიელი მზექალის ძმას, ხვთისო წიკლაურს.

... მერე იყო მზექალის სიკვდილი. ჩაესვენა გაბრიელის პოეზიის მზე, „მზისფერი ქალი“:

შენს ხატს რისხვის ხმა
როგორ დამარხავს,
გული შენს ტრფობას ვით შეელევა,
მეუბნებიან, ვითომ აღარ ხარ!
ჰაუ, რამხელა სისულელეა!

დარიალის ხეობაში, სოფელ ლარსში ცხოვრობდა ოცი წლის მანძილზე. ლიტერატურულ გარემოს იძულებით მოწყვეტილი გაბრიელი ხან მასწავლებლად, ხან ქოხ-სამკითხველოს გამგედ, საბჭოს მდივნად თუ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობს. „ამან უაღრესად დამქანცა და გამომალაყა“ — წერს პოეტი, რომელიც ჩაცმითაც, ქცევითაც, სიტყვაძვირობითა და უთქმელობითაც კი — ყველაფრით თანასოფლელ გლეხებს ჰგავდა.

ენატრებოდა თბილისი, ლიტერატურული გარემო, წუხდა გამოსაცემად ჩაბარებული წიგნების ბედ-იღბალზე, მაგრამ არც საშუალება ჰქონდა, რომ თვითონ მიეხედა არხოტში ნაწერი „უწურთნი ნაღვაწისათვის“ და არც თავშესაფარი ეგულებოდა თბილისში;

ყველაფერში ხელი მოეცარა პოეტს, ფეხი ვერ აუწყო ამ ცხოვრებას და ხელჩაქნეული გახდა, მაგრამ მედროვე არასდროს გამხდარა. საკუთარი პოეტური ნაღვაწის ფასსა და ღირებულებას ხანდახან ეჭვით, უნდოდ უყურებდა, რადგან იშვიათად თუ ესმოდა ვინმეს მისი პოეზიის... ალბათ, ამიტომაც დაანთო კოცონი 1949 წელს თავისი ნაწერებისგან და პარტბილეთიც ზედ მიაყოლა. ეს იყო სულიერი კრიზისის და პროტესტის გამოხატვაც, რადგან შემოქმედის ფაქიზი სული კარგად გრძნობდა კომუნისტური წყობილების მანკიერებას და მოჩვენებითობას. პარტბილეთის დაწვა, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩენია მაშინდელ „კაგებეს“ და ალბათ, ციხეს ვერც გადაურჩებოდა პოეტი, რომ არა ყაზბეგის რაიკომის პირველი მდივანი ალექსი ბექაური, რომელიც ლიტერატურისა და თავად გაბრიელის დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა. ამიტომაც არ გაუხმაურებია ეს ამბავი, საქმისთვის მსვლელობა არ მიუცია და პარტბილეთიც, როგორც ხანძარში შემთხვევით მოყოლილი, ისე გაუფორმებია.

უსიამოვნებებს გადარჩენილა გაბრიელი, თუმცა დიდი სიფრთხილით, არც მას მერე მოქცეულა. უკვე 60-იან წლებში, როდესაც თბილისში გადმოვიდა

მუდმივ საცხოვრებლად, მეორედაც კინაღამ გამოეთხოვა პარტბილეთს. მეგობრებთან ერთად რესტორანში შექეიფიანებულა პოეტი და იქიდან წამოსულს, ახლა უკვე მართლაც შემთხვევით დაუკარგავს ბილეთი. ამჯერად ჯარიმა აკმარეს და პარტბილეთიც ისევ აღუდგინეს. გაბრიელი ამის გამო ხუმრობდა თურმე – არ გიკვირთ, რომ ვერაფრით მოვიშორე წითელი წიგნაკიო?!

ის ყოველთვის შორს იდგა საბჭოური პოეზიისგან, არაფერი სწამდა კომუნისტებისა და კომუნისტურის, ამიტომ გუნდრუკს არავის უკმევდა და მაინც გასაოცარია, რომ პოემა – „ინვექტივა-მონუმენტი“, რომელიც იოსებ სტალინს ეძღვნება, – სტალინისა და ბოროტების იმპერიის აღზევების პერიოდში იწერება; იწერება მაშინ, როდესაც სტალინის კულტის აპოთეოზია და მისი სადიდებელი ლექსებით არის წალეკილი პოეზია. ამ დროს გაბრიელ ჯაბუშანური წერს:

შენ დააბნელე მსოფლიო თალხით,
მზეს მოერკალე კუპრის
ღრუბლებად,
თავისუფლება წაართვი ხალხებს
და თავისუფლად ფიქრის უფლებაც.

... შენ წყეული ხარ შენივე აზრით,
შენ ბოროტების კიდემდე მიხვედ.
შენ ეს ქვეყანა მონების ბაზრად,
შენ ეს ქვეყანა აქციე ციხედ...

„ინვექტივა“ ლათინური სიტყვაა და ვინმეს წინააღმდეგ მძაფრ, მრისხანე გამოსვლას ნიშნავს. გაბრიელ ჯაბუშანურის პოემა, მართლაც, მთელი უკომპრომისობითა და დაუნდობლობით ამხელს ბოროტ გენიას და მის მიერ დამკვიდრებულ ტირანიას.

დაუჯერებელია ისიც, რომ მაშინ, როდესაც ქვეყანა ტოტალური შიშით იყო შეპყრობილი, ავტორი არც კი მალავდა თავის „მკრეხელურ“ პოემას. რა თქმა უნდა, დაბეჭდვასა და გამოქვეყნებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ მანამდეც, ვიდრე ზვიად გამსახურდია „ინვექტივას“ თავის დისიდენტურ გამოცემაში – „ოქროს საწმისში“ დაბეჭდავდა, ბევრმა უკვე იცოდა პოემის არსებობა: „ინვექტივა-მონუმენტი“ ვრცელდებოდა და შინაგანი დაუმორჩილებლობით მუხტავდა ხალხს. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ამჯერადაც გადარჩენილა პოეტი...

გაბრიელი, როგორც ვაჟა-ფშაველა, 54 წლის ასაკში გარდაიცვალა. თურმე სიცოცხლის ბოლო წუთებში უთქვამს – დიდი პოეტი იყო ვაჟა და რა უფლება მქონდა, მასზე მეტხანს მეცოცხლაო... ამ სიტყვებით გამოეთხოვა საწუთროს გაბრიელ ჯაბუშანური და სევდასთან, ტკივილთან წილნაყარი უბადლო პოეზია დაგვიტოვა...

P.S. „მე მტკიცედ მჯერა, რომ თუ ვიცოცხლე, ამ უზარმაზარ წიგნს გამოვცემ ოდესმე, ხოლო თუ მოვკვდი, მაშინ თქვენ იცით, შთამომავლობამ, რაც გინდათ უყავით“, – წერდა 1962 წელს პოეტი. დღეს კი, წიგნების გამოცემას ვინღა ჩივის – მისი ხსოვნისთვის ჯეროვნად ვერ მოგვივლია სწორედ იმ შთამომავლობას, რომლისაც ასე ეიმედებოდა გაბრიელს: დიდუბის პანთეონში, გაბრიელ ჯაბუშანურის საფლავზე მისულთ ხშირად ეკითხებიან: რატომ არავინ მიხედავსო კარგი პოეტის საფლავს...

ავტორი მადლობას უხდის გაბრიელ ჯაბუშანურის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი წიგნის – „არხოტ რო წყაროთ გორია!“ – ავტორს, ბატონ ამირან არაბულს, წერილის მომზადებისას გაწეული დახმარებისათვის.

■

ბრძენყაცის დარიგებები

● ინტელექტი და კონცენტრაციის უნარი ვარჯიშს ექვემდებარება. საამისოდ საუკეთესო ვარჯიში კი მრავალგვარი ლიტერატურის კითხვაა – იკითხეთ ბევრი საინტერესო მასალა და კარგად დაიმახსოვრეთ მიღებული ინფორმაცია.

● რაც შეიძლება ხშირად გადაიღეთ ფოტოსურათი და გადაღების თარიღიც მიაწერეთ. წლების შემდეგ ეს სასიამოვნო მოგონებებს გაგიცოცხლებთ.

● დილით ხელ-პირის დაბანა ცივი წყლით სჯობს, ხოლო საღამოს – თბილი წყალია უფრო სასარგებლო.

● მანდილოსნებო, თუ გადაწყვიტეთ დიეტა დაიცვათ, გაითვალისწინეთ, რომ ამის გამო ქმარ-შვილი არ უნდა აშიმშილოთ.

● სანამ ბავშვს დატუქსავთ კარგად დაფიქრდით – რამდენად სამართლიანად იქცევით.

● ფილმის ყურებისას, შეეცადეთ, თავი ამა თუ იმ პერსონაჟად წარმოიდგინოთ – ეს საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში დაგეხმარებათ.

● გახსოვდეთ, რომ მარხვა უპირველესად, სულიერ განწმენდას ემსახურება და არა სხეულის კორექციას!

● მამაკაცებო, თუ გინდათ, რომ თქვენმა დაღლილმა „მუდმივმა თანამგზავრმა“ მშვიდად იძინოს, ექიმების რჩევით, ძილის წინ წვივის კუნთის ქვედა ნაწილი კარგად დაუზილეთ („მუდმივ თანამგზავრში“ სიდედრი არ იგულისხმება...)

■

ჭიათურის მარგანეცი, ევერელ ჰარიმანი და ნიუ-იორკული მოგვეგზავნილი დავა

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში აკაკი წერეთელი წერდა: „მე შევამჩნიე ეს მადანი და დამებადა აზრი, გამეკეთებინა სასარგებლო ჩვენი სამშობლოსათვის“.

ასე დაიწყო ჭიათურის მანგანუმის ისტორია. აკაკიმ მადნის ნიმუში პეტერბურგში წაიღო და ლაბორატორიაში მიიტანა შესამოწმებლად. ლაბორატორიის გამგემ აღფრთოვანებით უთხრა აკაკის: „თავადო წერეთელო!.. თქვენ იცით, რა ჩამოიტანეთ?! თქვენ ფენომენი ბრძანდებით! ნუთუ საქართველოში ასეთი მდიდარი მადანი გაქვთ?! ეს ზღაპარია! თავად მენდელეევი აღფრთოვანდებოდა!..“

გაზეთები „ნიუ-იორკ თაიმსი“, „ბერლინერ ცაიტუნგი“, „ფიგარო“, „თაიმსი“, „ნოვოე ვრემია“, „ბირჟევიე ვედომოსტი“ იტყობინებოდნენ: „სენსაცია! სენსაცია! სენსაცია!“ „საქართველოში აღმოჩენილია მადნის ბუდობი!“ „ვინ იცოდა მანგანუმის შესახებ ჭიათურაში?!“ „კრუპი დაინტერესდა საქართველოთი!“ „საქართველოს შავი ბრილიანტები“, „ახალი კლონდაიკი!..“

გალაქტიონ ტაგანაშვილი

გამოჩენილმა მწერალმა „დიდი მოურავის“ ავტორმა ანა ანტონოვსკაიამ ამ მოვლენას მიუძღვნა ნარკვევი. მწერალი მოგვითხრობს, თუ როგორ მოინახულა პოეტის ძმისწული ვასო წერეთელი, რომელმაც განუცხადა ანტონოვსკაიას: „ბიძაჩემის ადგილზე სხვა კაცი რომ ყოფილიყო, მილიონერი გახდებოდა. იგი ჩალის ფასად შეისყიდდა უშენ ადგილებს ჭიათურის ირგვლივ, დაიპყრობდა მთის სარეწს, მოახდენდა მრეწველობის მონოპოლიზაციას, მაგრამ იგი ასე არ მოიქცა. მისი აღმოჩენით სხვებმა ისარგებლეს: ჩუბინიძეებმა, მოსეშვილებმა, ღოლობერიძეებმა, ანდრონიკოვებმა...“

1894 წელს ჭიათურას ესტუმრა რუსეთის იმპერატორის მიწათმოქმედების მინისტრი ა. ერმოლოვი: სადღეგრძელოში თქვა... „ბატონებო! ჩვენ კმაყოფილები ვართ თქვენი გარჯით. მანგანუმის მრეწველობას საპატიო ადგილი უკავია რუსეთის სახალხო მეურნეობაში!“ „მაგ დალოცვილს სიტყვა მაინც ეთქვა ბიძაჩემის შესახებ“... — „მათთვის ჩვენი მხარე დათვის ტყავია“ — განუცხადებია ამის შემდეგ აკაკი წერეთელს.

მართლაც, დათვის ტყავივით გლეჯდნენ ჭიათურას. მის ხელში ჩაგდებაზე და მონოპოლიზაციაზე ფიქრობდნენ ინგლისელები, გერმანელები, ამერიკელები... ასეთ დასკვნას აკეთებს ანა ანტონოვსკაია.

ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმე ჭიათურის მანგანუმის ირგვლივ ეხება ამერიკელი მილიონერის ჰარიმანის მიერ კონცესიის შექმნას. ჩვენი რესპონდენტი გახლავთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ***ოთარ გამყრელიძე.***

„მე შევამჩნიე ეს მადანი...“
აკაკი წერეთელი

— მოკლედ ვიტყვი იმის თაობაზე, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევარში ხდება კერძო კაპიტალის ერთგვარი გამოცოცხლება და მისი სახელმწიფოებრივი კონტროლის ქვეშ სათანადოდ აყვანა. ამ პოლიტიკას „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“ ერქვა, რუსულად — нэп-ი და იგი შესაძლებლად მიიჩნევდა უცხოური კაპიტალისათვის ცალკეულ საწარმოთა ივჯარით გადაცემას, რითაც იქმნებოდა საბჭოთა კავშირის მრეწველობის, პირველ რიგში მძიმე მრეწველობის უფრო სწრაფად აღდგენის შესაძლებლობა. ამასთან დაკავშირებით, შეიქმნა საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების საკონცესიო კომიტეტები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ და აწარმოებდნენ საკონცესიო საკითხებს ადგილობრივ და უცხოელ მეწარმეთა შორის.

1925 წლის 12 ივნისს საკონცესიო კომიტეტმა ხელშეკრულება დაუდო ამერიკელ მრეწველ ევერელ ჰარიმანს ჭიათურაში კონცესიის შექმნისა და მანგანუმის მოპოვების უფლების შესახებ. ხელშეკრულება დაიდო 20 წლის ვადით. მთელი მოპოვებული მანგანუმი ჰარიმანს საზღვარგარეთ უნდა გაეტანა. ამავე დროს, ჰარიმანს კონცესიაზე უნდა დაენერგა ტექნიკა ოთხი მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებით, ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზა ჭიათურა-შორაპანი გადაეყვანა ფართო ლიანდაგიანზე და ექვსი წლის განმავლობაში აეშენებინა ფეროშენადნობთა ქარხანა.

ჰარიმანს პირველ წელიწადს ჭიათურაში 450000 ტონა მანგანუმი უნდა მოპოვებინა, ხოლო შემდგომ მოპოვება გაეზარდა წელიწადში 600000 ტონამდე, რასაც, კაპიტალური დაბანდებისა და ყველა ხარჯის გათვალისწინებით, თავიდანვე უნდა მოეცა 30-40% მოგება. საკონცესიო ხელშეკრულების დადებისას ჰარიმანს უფრო შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა, ვიდრე ჭიათურის მანგანუმის ექსპლუატაციის სასურველი შედეგები. ჰარიმანის მიზანი იყო მარგანეცით ვაჭრობის მსოფლიო მონოპოლია, რასაც შემდგომში მისთვის ამ დარგში განუსაზღვრელი ბატონობა უნდა მოეტანა.

იმ დროისათვის მანგანუმის მოპოვება ძირითადად წარმოებდა ბრაზილიაში, ამერიკაში, ინდოეთში, აფრიკაში (ოქროს ნაპირზე), საბჭოთა კავშირში (ნიკოპოლსა და ჭიათურაში). ამ პუნქტებიდან უპირატესი მდგომარეობა ჰქონდა ინდოეთის მანგანუმს, რომელსაც ამუშავებდა ინგლის-ინდოეთის კომპანია, და დიდი შესაძლებლობები — ჭიათურის მანგანუმს.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი

როგორც შემდგომში გაირკვა, საკონცესიო ხელშეკრულების დადების დროს, ჰარიმანს არ ჰქონდა განსაზღვრული, თავიდანვე შესდგომოდა ქართული მანგანუმის ნორმალურ ექსპლუატაციას. მას წილი ჰქონდა ოქროს ნაპირის მარგანეცში, რომლის დამუშავება იმ დროს სწრაფი ტემპით ფართოვდებოდა, როგორც ჩანს, ჭიათურის კონცესია ჰარიმანმა იმისათვის აიღო, რომ მას სხვა ვინმე არ დაჰპატრონებოდა და ჰქონოდა ისეთი რეზერვი, რომელიც მისცემდა მსოფლიო ბაზარზე სათანადო მანევრირების საშუალებას.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელება ჰარიმანმა ნელი ტემპით დაიწყო და ჭიათურის საბადოები ფაქტობრივად კონსერვაციაში მოაქცია.

იმის გამო, რომ ინგლის-ინდოეთის კომპანიის საქმეები კარგად არ მიდიოდა, ჰარიმანი ელოდა მსოფლიო ბაზარზე მანგანუმის დეფიციტს, რასაც პროდუქციის ფასი უნდა გაეზარდა. ამით ჰარიმანს თავისი გეგმის ფართო მასშტაბით განხორციელების საშუალება მიეცემოდა. კერძოდ, იგი ფიქრობდა, ამ დროისათვის თავისი მანგანუმის გაიაფებას და ყველა კონკურენტის ეკონომიკურად დათრგუნვას. ჰარიმანი ანგარიშში მოტყუვდა. ამ დროისათვის მას ძლიერ კონკურენტად ექცა ნიკოპოლის (დღევანდელი უკრაინა) მანგანუმი, რომელიც თავისი მდებარეობით, მოპოვებისა და გატანის თვალსაზრისით — უფრო ხელსაყრელი იყო. ამ პერიოდში მოხდა ნიკოპოლის მანგანუმის მთლიანი ნაციონალიზაცია. მთავრობამ გერმანელებისაგან შეიძინა ტექნიკა, გააფართოვა მადნის მოპოვება და შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება. დიდი აღმავლობა დაიწყო ოქროს ნაპირის მანგანუმის კომპანიამ და ინგლის-ინდოეთის კომპანიის ეკონომიკური ჩავარდნები დროებითი აღმოჩნდა. მიუხედავად ამერიკის ფოლადის მრეწველობის მაგნატთა დიდი წინააღმდეგობისა, აშშ-ის მთავრობამ დააწესა 30% გადასახადი საზღვარგარეთიდან შეტანილ მანგანუმზე. ამან კი კრახი მოუტანა ჰარიმანის პოლიტიკას. იგი უკან დახევას შეეცადა და თავისთვის საზარალოდ გააიაფა მანგანუმი, მაგრამ ამან მდგომარეობა არ შეცვალა და იგი, 1926 წელს, იძულებული გახდა, მიმართა სტალინისთვის თხოვნით — ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესახებ.

საბჭოთა კავშირის იმდროინდელმა მთავრობამ გაითვალისწინა შექმნილი მდგომარეობა და წავიდა რიგ დათმობებზე (გაათავისუფლა ჰარიმანი რკინიგზის მშენებლობისაგან, მისი პროდუქციის რეალიზაციის გაზრდისათვის 12,5%-ით შეამცირა მანგანუმის მოპოვება ნიკოპოლში და სხვ. მაგრამ ყოველივე ამან ჰარიმანის მდგომარეობა ვერ გამოასწორა. საბჭოთა კავშირს არ შეეძლო ჰარიმანის ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაეზარალებინა თავი და, მუხედავად დათმობისა, ნიკოპოლის მანგანუმი აღმოჩნდა ჰარიმანის ერთ-ერთი უდიდესი კონკურენტი.

1927-1928 წლებში ინგლისის ფოლადის ინდუსტრიამ დაიწყო ეკონომიკური გაერთიანება ინდოეთის მანგანუმის მსხვილ საბადოებთან, რითაც ინგლისი, როგორც მანგანუმის მომხმარებელი, მსოფლიო ბაზარს სრულიად ჩამოშორდა.

ამერიკის ფოლადის ინდუსტრია თავის მოთხოვნილებას მანგანუმზე ქვეყანაში მოპოვებული მადნით აკმაყოფილებდა. ამავე დროს, მას ამარაგებენ ოქროს ნაპირის საექსპორტო საზოგადოებები. ამერიკელებისათვის ხელმისაწვდომი იყო სამხრეთ აფრიკის საბადოები, საიდანაც დაიწყო დიდი ექსპორტი 1926 წლიდან. სამხრეთ აფრიკის საბადოები, გარდა ამერიკისა, გერმანიის ფოლადის ინდუსტრიასაც ამარაგებდა.

ჰარიმანის „ეკონომიკურმა პოლიტიკამ“ გააძლიერა მისი კონკურენტები და გააძნელა ჭიათურის მანგანუმის ექსპორტი, რომელიც 1928 წლისთვის არათუ მომგებიანი — წამგებიანიც კი გახდა. ჰარიმანმა ვერ შეძლო საქმის გამოსწორება და იძულებული შეიქნა, დასთანხმებოდა მოთხოვნას ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტაზე.

საკონცესიო ხელშეკრულების მოქმედება შეწყდა 1928 წლის 28 აგვისტოდან. საბჭოთა მთავრობამ თანხმობა განაცხადა, გადაეხადა ჰარიმანისთვის კაპიტალურ მშენებლობაზე დაბანდებული თანხა და იმ მანგანუმის ღირებულება, რომელიც ექსპორტირებული არ იყო.

მიუხედავად ასეთი დიდი დათმობისა, ჰარიმანმა არასასურველი პოზიცია დაიჭირა ჭიათურის მაღაროელი და მტვირთავი მუშების მიმართ, რომლებსაც იგი ხელფასს დროულად არ უხდიდა და ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის მომენტში ჰქონდა მათი ვალი — ერთი მილიონ რვაასი ათასი მანეთის რაოდენობით. ამერიკელ ბიზნესმენს სურდა, აღნიშნული ვალის ანაზღაურებაც ადგილობრივი მთავრობისთვის მოეხვია თავს. (ამან სტალინის რისხვა გამოიწვია და ამის შესახებ ბელადი ხშირად ახსენებდა ჰარიმანს, როდესაც სამამულო ომის დროს იგი ამერიკის ელჩად დაინიშნა საბჭოთა კავშირში). პროფკავშირის შავი ქვის მრეწველობის რესპუბლიკური კომიტეტი იძულებული შეიქნა, სასამართლოსათვის მიმართა. სასამართლომ მუშათა მხარის მოთხოვნა სწორად ცნო და ჰარიმანს დავალიანების გადახდა დააკისრა. ამ გადაწყვეტილებას ჰარიმანი არ დაემორჩილა. საქმე ნიუ-იორკის საერთაშორისო არბიტრაჟში გადაიტანა, მაგრამ საქმე ვერც იქ მოიგო. გარდა ძირითადი დავალიანებისა, მას სასამართლო ხარჯების ანაზღაურებაც მოუხდა.

ქართულ დელეგაციას ამერიკაში ცნობილი იურისტი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მეთაურობდა. მან ამხილა ჰარიმანის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც აფერხებდა ქართული მანგანუმის გასვლას მსოფლიო ბაზარზე და ცდილობდა მადნის მონოპოლისტად ქცეულიყო. „მონოპოლისტობა ყოველთვის კრახით მთავრდება“ — ასე დაასრულა ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა თავისი გამოსვლა ნიუ-იორკში.

აღსანიშნავია — ამბობს ბოლოს ბატონი ოთარ გამყრელიძე, რომ ანდრონიკაშვილი ამერიკაში გერმანულ ენაზე გამოვიდა, რადგან ინგლისური არ იცოდა და ძალიან წუხდა ამის თაობაზე. მიუხედავად ამისა, ეს ქართული იურიდიული სკოლის პირველი დიდი გამარჯვება იყო საერთაშორისო არენაზე.

რაც შეეხება ჭიათურას, 1928 წელს მას ახალი პატრონი — ტრესტი „ჭიათურმანგანუმი“ გამოუჩნდა... ■

ლელა ჯიყამვილი

„ერთი „გადაუგვარებელი ქართველი“

ლევან (ლელიკო) ხოტივარი ხალასი ნიჭის, ხალისიანი ბუნების პატრონი, ძალდაუტანებელი ოპტიმისტი იყო. ყველას ახარებდა მასთან ურთიერთობა. ისეთი იუმორის გრძნობა ჰქონდა, უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანსაც კი სიცოცხლისაკენ შემოაბრუნებდა, ყოფას შეუმსუბუქებდა. მისი ფილმები: „მე ვიტყვი სიმართლეს“, „განაჩენი“, „უდიპლომო სასიძო“,„ტარიელ გოლუა“, „მზიარული რომანი“, „ჩირიკი და ჩიკოტელა“ (რომელიც ბუბა ხოტივართან ერთად გადაიღო), დღესაც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მაყურებელში. საკმარისია „უდიპლომო სასიძოს“ მარტო სათაურის ხსენება, ყველას ეღიმება, იმდენად ძლიერი იუმორით არის გამსჭვალული...

ცხოვრებაში კიდევ უფრო მძაფრი იუმორის შეგრძნება ჰქონია ბატონ ლევანს. მხოლოდ ზოგჯერ, როცა საკუთარი თავის პირისპირ დარჩენილი, ფიქრებში წასული, წარსულს გადახედავდა, იტყოდა თავისი „უბედური თაობის“ შესახებ რამეს... ის მოესწრო 1921 წლის ტრაგიკულ დღეებს, როცა საქართველო დაიპყრეს... კახეთში,დღევანდელი თელავის სტადიონის ტერიტორიაზე, თავისი თვალით უნახავს, როგორ გაავსეს ეს დიდი მინდორი ნარჩევი გლეხკაცებით და დახვრიტეს; როგორ ამოწყვიტეს 3 დღის განმავლობაში... ვაჩნაძეები, ანდრონიკაშვილები, ჯორჯაძეები... მეხსიერებიდან ამ საშინელი სურათის ამოგდება ხომ შეუძლებელი იყო...

ლევან ხოტივარის მამა – იოსებ ბესარიონის ძე ხოტივარი სტალინს იცნობდა პირადად. ის და სოსელო ერთად სწავლობდნენ გორის სემინარიაში. ერთხელ მოუყოლია მამას ლელიკოსათვის: „მეტეხის ციხიდან პატიმრებს რომ უშვებდნენ, ასეთი ტრადიცია იყო – ბორკილებს მტკვარში ყრიდნენ... უცებ შეძახილი გაისმა: Не бросайте кандалы – они нам ещё понадобятся! მოვბრუნდი და დავინახე სოსელო ანთებული თვალებით...“ ამ ბორკილების ჟღარუნი განუწყვეტლივ ესმოდა და შიშის ზარს სცემდა ლევან ხოტივარის თანამედროვე თაობას...

ლევან ხოტივარი 1902 წლის 17 იანვარს დაიბადა. ძირითადად სამეგრელოში, დედის – მარიამ თურქიას ოჯახში იზრდებოდა. სიცოცხლის ბოლომდე განსაკუთრებით უყვარდა საქართველოს ეს კუთხე.



ლელიკო ხოტივარი მეგობრის შვილთან, ზუკა თუთბერიძესთან ერთად

1916 წლიდან ფეხბურთს თამაშობდა ქუთაისის გუნდში. ჯერ მეკარე იყო, მერე მცველი, ბოლოს – თავდამსხმელი... ანდრო ჟორდანია მისი უახლოესი მეგობარი გახლდათ. მილიციის გუნდი რომ ჩამოყალიბდა – „დინამო“, ანდრო ჟორდანია დაიბარეს და მას დაავალეს „კარგი ბიჭების“ შემოკრება. ამ დროს ლელიკო უკვე აღარ თამაშობდა ფეხბურთს, რადგან 1923 წელს, ხარკოვის ნაკრებთან შეხვედრისას, მძიმე ტრავმა მიიღო. თურმე ამის გამო „ამაყობდა“ კიდეც, ხუმრობდა: საქართველოში პირველი მენისკი მე მერგოო... ვინც ეს ამბავი იცოდა, ღიმილით ესალმებოდა მეგობარს და აღტაცებული შესძახებდა ხოლმე: О, первый мениск Грузии...

ანდრო ჟორდანია და ლევან ხოტივარი ბოლომდე მეგობრებად დარჩნენ. დიდი სიხარული ჰქონდათ თუ დიდი დარდი, სულ ერთმანეთს უზიარებდნენ... ერთხელ, რაღაცით ძლიერ აღფრთოვანებული ანდრო მეგობართან მივიდა და უთხრა: გახსოვს, ლელიკო, შალვა მესხი? იმას ბიჭი ჰყავს, სახელი არ მახსოვს, მაგრამ ვაჟა-ფშაველა რომ პოეზიაში იყო, ისეთია ის ფეხბურთში!.. მგონი, ჭიდაობა უნდა, ფეხბურთის გაყოლას არ აპირებს და არ დავიღუპოთო... მიხვდით ალბათ – მიხეილ მესხი ჰყავდა მხედველობაში...

ლევან ხოტივარი ძალიან განიცდიდა, რომ მის მეგობარს მუშაობას არ აცლიდნენ. შექმნიდა გუნდს ანდრო ჟორდანია, გააძლიერებდა – მოხსნიდნენ, გადაიყვანდნენ სხვაგან... ერთხელაც, შეაღო ანდრომ ხოტივარების სახლის კარი, ჩამოჯდა და თვალზე ცრემლები მოადგა. გაოცდნენ მასპინძლები: რა მოხდაო? – ჰკითხეს. მომხსნესო – უპასუხა დიდმა მწვრთნელმა. შე კაცო, რა გული გამიხეთქე, შენ სულ არ გხსნიან, რა დაგემართაო! – უნუგეშებია ლევან ხოტივარს მეგობარი. ახლა ისეთი ბიჭები მყავდნენ, იმათი დატოვება იქნებოდაო? – შოთა იამანიძის დროინდელ გუნდზე იყო საუბარი. ლელიკო ხოტივარსაც ცრემლები წამოსვლია – ცრემლები, რომლებსაც ასე იშვიათად აჩვენებდა ვინმეს...

ლევან ხოტივარი აგრონომიულზე სწავლობდა დავით გამრეკელთან ერთად. არც ერთი იყო ამ სპეციალობისთვის გაჩენილი და არც მეორე – ორივე შესანიშნავად მღეროდა. გამრეკელი ეუბნებოდა თურმე: შენც კონსერვატორიაში წამოდიო. ვერ დაუთანხმებია – ლევან ხოტივარს კინოსკენ მიუწევდა გული, ეს იყო მისი ნამდვილი მოწოდება. და კიდევ კარგი, რომ მიაგნო, თორემ ქართული კინო „უდიპლომო სასიძოს“ გარეშე, ნამდვილად ბევრს დაკარგავდა.

ცუდ გუნებაზე დგებოდა, როცა მისი ეშინოდათ, არადა, რეჟისორზე ბევრი ადამიანია დამოკიდებული: როცა მძღოლიდან დაწყებული, ასისტენტით დამთავრებული, ვინმე დააშავებდა რამეს და მერე შიშჩამდგარი თვალებით შეხედავდა რეჟისორს, სულ ცდილობდა, ხელქვეითის ეს გრძნობა გაექარწყლებინა: ამბობდა – ვერ ვიტან, როცა ჩემი ეშინიათ, ადამიანის ყველაზე დიდი დანაშაულია, როცა მისი ეშინიათო...

თვითონ ჰქონდა საშინელი შიში გამოცდილი და იმიტომ...

ლავრენტი ბერიას ქალაქში საუკეთესო მანქანა ემსახურებოდა და „სიგნალიც“ განსაკუთრებული ჰქონდა. ყველა ცნობდა მანქანასაც და მისი საყვირის ხმასაც... ერთხელ ივანე პერესტიანი და ლელიკო ხოტივარი ერთად მოდიოდნენ... მანქანის ხმა ეცნოთ – გააჟრჟოლათ. ლავრენტის მანქანამ გაუსწრო მათ, მერე მოტრიალდა და ზუსტად მათ პირდაპირ გაჩერდა. რეჟისორები დაიბნენ. არ იცოდნენ, რას მოასწავებდა ბე-

კადრი ფილმიდან „ჩირიკი და ჩიკოტელა“

რიას რენტგენივით გამჭოლი მზერა. მოულოდნელად ივანე პერესტიანს უთქვამს: „ლელიკო, შეხედე, იცნობ ამ კაცს?“ „კი, როგორ არა, არაჩვეულებრივად ნიჭიერი სახე აქვს“, – უპასუხია გაოგნებულ ლევანს... პერესტიანსაც აუტაცია ეს „იდეა“: „Ты прав, какое талантливое лицо!..“ ბერიამ მძღოლს ხელით ანიშნა – წადიო. მანქანა დაიძრა. დარჩნენ რეჟისორები, ოფლში გაწურულნი, ათრთოლებულნი. მერე კარგა ხანს საუბრობდნენ და ნერვიულობდნენ: ბერიამ ირონია ხომ არ იგრძნო ჩვენს ნათქვამშიო?..

1938 წელი იდგა. ღამის 2 საათზე ნასვამი ბრუნდებოდა შინ ლევან ხოტივარი. პურის მაღაზიასთან რიგი იდგა. თვითონ არ იცოდა, რამ ათქმევინა ამ გაჭირვებული ხალხისათვის, რომელიც დილის 7 საათამდე, მაღაზიის გაღებამდე ასე უნდა მდგარიყო: „Советские люди, строители коммунизма, вы что, собрались ночью строить коммунизм?“ ყველა გაისუსა. ავისმომასწავებელი დუმილი ჩამოწვა... დილით, როცა გაეღვიძა და გაახსენდა თავისი სიტყვები, გაფითრდა. მერე შვილისთვის მოუყოლია: „გავთავდი, არავისთვის არაფერი მითქვამს, მაგრამ იმაში დარწმუნებული, რომ დამიჭერდნენ, სტადიონის ტერიტორიაზე წავედი (მაშინ იქ ჯერ კიდევ უბრალო სპორტული მოედანი იყო). მესმის ყვირილი: ლელიკო! მივიხედე – ცნობილი ჩეკისტი მიჩურინი მეძახის. მივედი. მეუბნება – შენ რას დადიხარ და ისვრი ანტისაბჭოთა ლოზუნგებს, ჭკუა გაქვს თავშიო? დასახვრეტი ხარ, მაგრამ ახლა არ გიჭერთ, მხიარული და ოპტიმისტი კაცი ხარ, გპატიობ, მაგრამ ერთხელაც რომ გავიგო, საბჭოთა წყობაზე იხუმრე რამე, აღარც კი დაგიბარებთ, ისე დაგსჯითო...“

ლევან ხოტივარის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ მეგობრები: ანდრო ჟორდანია, კოლაუ ნადირაძე, ლევან ანჯაფარიძე, ტუპია იაშვილი – კომუნისტურ ტერორს სასწაულით გადარჩენილი ადამიანები. ბატონი ლევანის მეუღლე – ქალბატონი თამარ მიქელაძე მათ სიამაყით „გადაუგვარებელ ქართველებს“ ეძახდა და ემოციურად ამტკიცებდა: ერს ასეთი ადამიანების გაჩენის უნარი როცა აქვს, ვერანაირი უჯიშო კომუნისტი ვერ წააქცევსო. ლევან ხოტივარი კი ხსნას მხოლოდ ერთში ხედავდა: გამრავლება გადაარჩენს საქართველოსო. ქალბატონი თამარი ასეთი წვეულებების შესახებ ამბობდა: რა ქნან ამ საცოდავებმა, რა უყონ თავიანთ ნიჭსა და ენერგიას, მხოლოდ სუფრაზე თუ დაიხარჯებიან, კომუნისტების ხელში ან გულაგში უნდა იჯდე, ან სუფრასთანო...

ბატონ ლევანს სამი შვილი ჰყავდა – ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი... ქართლოს და ბუბა ხოტივარები მამის კვალს გაჰყვნენ – რეჟისორები გახდნენ... ტრაგიკულად გარდაცვლილი ქართლოს ხოტივარი – „სერენადის“ შემქმნელი, „ლაზარეს“ სულისჩამდგმელი და პირველი რეჟისორიც იყო, თუმცა სურათზე მუშაობა არ დასცალდა და ფილმი მისმა ძმამ, ბატონმა ბუბამ დაასრულა. ძალიან მძიმე იყო ეს ტვირთი ბუბა ხოტივარისათვის, ვერ ბედავდა თურმე ფილმზე მუშაობას. ისევ მამას უნუგეშებია: „ნურაფრის გეშინია, შვილო, ხომ ვიცი, გულის სიღრმეში როგორ გინდა ამ ფილმის დასრულება, უკან არ დაიხიო და ღმერთი შენთან იქნება. ოღონდ იცოდე, ბოლომდე უნდა მიენდო ღმერთს – ღმერთს და მხოლოდ ღმერთს!.. თუ ფილმი არ გამოგივიდა, ნურც ამაზე მოიკლავ თავს, შენ გარდა ფილმი არავის გაუფუჭებია? როგორ გგონია, ა?“

ძალიან დამამშვიდებელი, ღიმილიანი საუბარი იცოდა ლევან ხოტივარმა. უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო. შემთხვევითი არც ის არის, რომ მისმა ვაჟმა – ბატონმა ბუბამ გადაიღო „დემეტრე თავდადებული“ – მაშინ, როცა ყველაზე რთული იყო ასეთ ეროვნულ თემებზე მუშაობა...

ხშირად უყვარდა თქმა ბატონ ლევანს – წუთისოფლის სტუმრები ვართ, როგორ შეიძლება, აქ თავი მასპინძლად იგრძნო – მოკრძალებული სტუმრებივით უნდა ვიცხოვროთო... თვითონ ცხოვრობდა ასე: უპრეტენზიოდ, მორიდებულად... ოღონდ ეს კი იყო – ზოგიერთი ძალად „გამასპინძლებულნი“, პატიოსან სტუმრებსაც არ აძლევდნენ საშველს...

თავის სულიერ და ფიზიკურ ტკივილს უმალავდა ახლობლებს. ერთხელ ღვიძლი აწუხებდა თურმე, მთელი კვირა უმალავდა ოჯახის წევრებს. ვიდრე არ გაყვითლდა, ვერაფერს მიხვდნენ.

1980 წლის 13 დეკემბერს გარდაიცვალა. უახლოესი მეგობრები ვერ იჯერებდნენ: სად სიკვდილი და სად ლელიკო! – იმდენად სიცოცხლით სავსე ყოფილა მოხუცებულობაშიც კი. ჭირის სუფრაზე იხსენებდნენ ბატონ ლევანს, მის იუმორს. ღიმილი ხშირად სიცილშიც გადადიოდა...

■

დახმარებისათვის მადლობას ვუხდით ლევან ხოტივარის შვილს – ბატონ ბუბა ხოტივარს.

თსუ-ს საფეხბურთო გუნდი, 1922 წელი. მარჯვნიდან მესამე – ლელიკო ხოტივარი

დაჩი გრძელიშვილი

ანგარიშსწორება

— შენ რა, გგონია, მართლა აბსტრაქტულია სიყვარული? რას მომჩერებიხარ დასაკლავი ხბოსავით?.. ერთხელ ხომ გითხარი, თავი დამანებე-მეთქი. დამპირდი კიდეც...

მომხიბლავი და შავთვალება, შილიფად ჩაცმული ქალი დამდურებით შესცქეროდა კართან ატუზულ ახალგაზრდა კაცს.

— თამუნა, ბავშვი... ბავშვი მეცოდება, თორემ არც მოგაკითხავდი. მესამე დღეა, შენს სახელს აბოდებს. ხომ იცი, რა მგრძნობიარეა... — მორიდებით, უფრო სწორედ კი, მუდარით „ტკეპნიდა“ სიტყვებს ახალგაზრდა კაცი.

— გურამი პატარა აღარ არის. მოვა დრო და მე თვითონ ავუხსნი ყველაფერს... მაგის დარდი ნუ გექნება — ჩემს შვილს, როგორღაც, მივხედავ.

— ვაა! თათი, შენ კიდე მაგას ებალამუტები?! რით ვეღარ გაიგე, ჩემო ძმაო, აღარ უნდა ამ ქალს შენთან ცხოვრება... არ გაგვი...კა საქმე? — დერეფნის ბოლოში, ერთ-ერთი ოთახიდან ბურდღუნით გამოვიდა ხალათმოსხმული „მუტრუკი“, თამუნას დევივით მოჰხვია ხელი და კვლავ დერეფნის ბოლოსკენ წაიყვანა. ქალს ხმა არ ამოუღია. ეგ იყო, ოთახში შესვლისას ჩაილაპარაკა — კარი მიხურეო.

— ვაჰ, არ შეჭამა ტვინი, ამ დილაუთენია... კაცო, შენა ვერ გაიგე, რა გითხრეს?! — წადიო! წა-დი-ო! — დაუმარცვლა კიდეც. მერე ახალგაზრდა კაცს ხელი წაავლო, კიბისკენ მიაბრუნა და მსუბუქად უბიძგა. ამოიხვნეშა, ხელი ჩაიქნია და კვლავ კარისკენ წაბავჯბავჯდა. შესასვლელთან შედგა. მცირე ხანს ფიქრობდა. სწრაფად შევიდა სახლში, ერთ-ერთ ოთახში, სკამზე გადაკიდული შარვლიდან ტყავის საფულე ამოიღო, გამობრუნდა და კიბეზე ხის სანდლების ტყაპატყუპით დაეშვა.

— კაცები ვართ, ჩემო ძმაო. წყენას ნუ ჩაიდებ გულში... — ხმას დაუწია მუტრუკმა, ხელიც გადაჰხვია. — ქალების ამბავი არ იცი? — დღეს ერთთან უნდა ყოფნა, ხვალ მეორესთან...

კაცი — ახალგაზრდა და მობუზული, კვლავ კიბეზე დაეშვა, თითქოს არც გაუგია რამე.

— მოიცა, კაცო, მოიცა! — კვლავ დაუძახა მუტრუკმა. მერე ხალათის ჯიბიდან ტყავის საფულე ამოიღო, კედლისკენ მიბრუნდა და ნაჩქარევად ამოაძრო რამდენიმე კუპიურა. დაეწია და ჯიბეში ჩაუჩურთა:

— აი, ბავშვისთვის, რა. ათასი რამე სჭირდება, კაცო. ეგრეც ხომ არ არის... ბოლოს და ბოლოს, შენზე ნაკლებად კი არ მიყვარს თამუნა...

მობუზული, ახალგაზრდა კაცი წელში გაიმართა. მის თვალებში სიძულვილის ცეცხლი გიზგიზებდა. დამცინავად გამოსცრა კბილებში:

— გიყვარს, არა? — მაინც, რა გგონია რა ღირს ეგ შენი სიყვარული, თუ მართლა ეგრე ძალიან გიყვარს?

ხალათიანი მუტრუკი დაიბნა. მთელი სერიოზულობით ფიქრობდა. პასუხი რომ მოიფიქრა, მის წინ აღარავინ იდგა.

ახალგაზრდა კაცი წამით შეჩერდა მარმარილოთი მოპირკეთებულ სადარბაზოში. მერე საყელო აიწია და დაღმართს დაუყვა.

... ერთმანეთი სრულიად შემთხვევით, უნივერსიტეტის ბაღში გაიცნეს. ზაზა თამუნას ჩამოქნილი ტანით, გულუბრყვილო და დიდრონი, შავი თვალებით მოიხიბლა. მერე, სხვაგანაც შეხვდნენ. მერე, სახლში გააცილა, მერე პირველი პაემანი, მეორე პაემანი და ასე შემდეგ...

ზაზას პატარა, ერთოთახიანი ბინა ჰქონდა, მარტო ცხოვრობდა. თამუნას გაცნობის შემდეგ კი, თამუნასთან ერთად. თავისუფალი გოგონა იყო, ზაზა მასაც ძალიან უყვარდა და უარს არაფერზე ეუბნებოდა... კარგად ახსოვს — გაზაფხულზე ათი თუ ოცი შეკვრა იასამანი რომ აიტანა და ყველგან მოფინა — სახლში შემოსულ თამუნას ზღაპარში ეგონა თავი: ჯერ გაშტერებული იდგა, მერე კი იასამნებში კოტრიალებდა და გიჟივით იცინოდა... კარგი დრო იყო... მერე, როგორღაც მოხდა, თამუნა გვიანობამდე დარჩა ზაზასთან (მანამდე, დაბინდებისას, მამიდასთან გარბოდა ხოლმე — რამე არ იეჭვოსო) — დარჩა და დარჩა. მესამე თუ მეოთხე დღეს, თამუნას ერთადერთი ქალაქელი მამიდაც ეწვიათ და ახალგაზრდა წყვილს „გაბედნიერება“ მიულოცა.

— თქვენებს არ გაუგიათ ჯერ, ხომ? — შეფარვით, ასე ვთქვათ, რაღაცას „მოაყოლა“ მზრუნველმა მამიდამ. — მე გუშინვე გავატანე წერილი ავტობუსს, სასიხარულო ამბავია და „ბირჟიდან“ ვინმე ააგზავნე-თქვა, მძღოლს ვუთხარი. თქვენები რას იზამენ, შვილო, იქნებ, იქით, სოფელში ურჩევნიათ რომ ჩახვიდეთ; ისე, მგონი მართლა ასე აჯობებს, თამუნა, თვარა აქ რომ მამაშენი შემევიდეს, ხო გოდოუბრუნდა გული... — შიგადაშიგ, იმერულად უქცევდა მამიდა და „მზრუნველ“ საუბარს უფრო და უფრო მეტ „პილპილს“ აყრიდა:

— მარა, აქანა, ხომ არ მიიღებთ სტუმრებს, თქვენების დიდ სახლში დახვდებით, ალბათ...

— რომელ დიდ სახლში, ქალბატონო? — ახლაღა მოვიდა გონს მამიდის ლაპარაკით გაბრუებული ზაზა.

— რავა, არ გაქვთ ამის მეტი სახლი? აპა, ამ ჩიტის ბუდეში უნდა იცხოვრო დედამთილ-მამამთილთან ერთად?.. ახლა, არ მითხრა, და-ძმაც ჰყავსო, თვარა გედევირევი სულ! — გადარეული ისედაც ჩანდა, ისე აკვესებდა თვალებს მზრუნველი და ქალაქელი მამიდა.

— იცით, ქალბატონო, ამ ბინაში ჩემს მეტი, არავინ ცხოვრობს. დედა ამ რამდენიმე წლის წინ დამეღუპა. მამა მაშინაც, რუსეთში იყო წასული და ახლაც იქ ცხოვრობს... — ჩაილუღღუღა ზაზამ.

ასე იყო თუ ისე, როგორღაც მოგვარდა ურთიერთობები. ნელ-ნელა დალაგდნენ და ცხოვრებაც მოიწყვეს. ზაზას ერთი „ისე რა“ სამსახური ჰქონდა — პურის ფულს რომ შოულობდა, ისეთი. სანამ ბავშვი ეყოლებოდათ, თამუნაც მუშაობდა რომელიღაც ბიბლიოთეკაში.

მერე გურამი გაჩნდა... უჭირდათ, მა-

გრამ ბავშვმა სიცოცხლე გაუხალისათ. თითქოს „გაცრეცილი“ სიყვარული კვლავ „გაიფურჩქნა“ და გამოცოცხლდა. თუმცა, ვინ იცის, სხვა საზრუნავზე გადართულნი, ამაზე ფიქრისთვის იქნებ, ვერც იცლიდნენ...

მერე... ბავშვი წამოიზარდა. სადაცაა, სკოლაში მიიყვანდნენ. თამუნა ატყდა — სახლში რა ვაკეთო, გურამი მაინც საბავშვო ბაღში დადის, გავალ ისევ, ბიბლიოთეკაში ვიმუშავებ, გავერთობიო.

ნეტავი არ გასულიყო... კი ეუბნებოდა ზაზა — ხალხს სინათლე და პურის ფული ენატება, შენი ბიბლიოთეკა ვის რად უნდა, იქაც მარტო იჯდებიო. არ დაშალა. ამ სიცივესა და სიბნელეში ჯდომას, იქ ჯდომა მირჩევნია. ხალხს მაინც დავათვალიერებ ქუჩაში, ტელეფონზე მაინც წავიჭორავებ. ასე ბუსავით როდემდე უნდა ვიყო, პალტოთი და ქუდით ვზივარ სახლშიო... დაიწყო კიდეც სამსახური — ბიბლიოთეკაში მუშაობა.

ცხოვრება გრძელდებოდა. ჩვეულებრივად — ხან ისე, ხან ასე... ორიოდე თვეში თამუნას უჩვეულო გამოცოცხლება დაეტყო. მხრებზე ჩამოშლილი დალალები მოკლედ შეიჭრა, სამსახურში წასვლის წინ, სარკესთან ტრიალებდა ხოლმე კარგა ხანს, ტანსაცმლის კარადიდან მოკლე კაბები გამოქექა და ნამდვილ „ლამაზმანად“ იქცა.

ძველებურად უბზინავდა მკვრივი და ხორბლისფერი კანი... თვალებიც სხვანაირად აუბრწყინდა... თამუნას ასეთი გარდაქმნა ზაზამ სამსახურს მიაწერა, მაგრამ, ცოტა ხანში, ახალი უცნაურობები დაიწყო: თავიდან, დაგვიანებები. „ბიბლიოთეკაში აღრიცხვას ვაწარმოებთ“, „თანამშრომელს სტუმრები ჰყავს და უნდა მივეხმარო“, „კურსელმა გოგონებმა გამომიარეს და კაფეში, ყავას დავლევთ...“ — ყოველ მეორე დღეს, მიზეზი არ ილეოდა. მერე და მერე, გაუცხოებაც იგრძნო ზაზამ: მისი ალერსის უარყოფისას, თამუნა ხან თავის ტკივილს იმიზეზებდა, ხან დაღლას — ატორღიალებული, პატარა ბავშვივით იშორებდა.

... ის დღე არასოდეს დაავიწყდება. თამუნა თავის დროზე მოვიდა სახლში. ზაზას მრავალმნიშვნელოვნად შეხედა და ამოიოხრა. თვალებში არ უყურებდა. თუმცა, თავის სიმართლეში დარწმუნებული ადამიანის კილოთი დაიწყო:

— შენი მოტყუება არ შემიძლია... არც ასე ცხოვრება შემიძლია — სიბნელე, სიცივე, დღე და ღამე ათას პრობლემაზე ფიქრი... პატივს გცემ და ძალიანაც მიყვარხარ — როგორც მეგობარი... მაგრამ მე, პირველ რიგში, ქალი ვარ და ჩემი ქალური ცხოვრებით მინდა ვიცხოვრო. მინდა, ქალურად მიყვარდეს და გვერდით მამაკაცი მყავდეს... გეხვეწები, გამიგე, ზაზა... მე ჩემი თავი ვიპოვე, გესმის? გამოჩნდა კაცი, ვინც ჩემი ქალობა მაგრძნობინა, ჩემი ქალური მშვენიერება... დამავიწყდა კიდეც, როდის მომწონდა ასე საკუთარი თავი — მუდამ სხვებს შევყურებდი და არც მეგონა, თუ შევძლებდი მათნაირად მევლო, მათნაირად მეფიქრა... ვიცი, რომ დევნას არ დამიწყებ. რომ მაცლი, ჩემი წილი, ქალური ცხოვრებით ვიცხოვრო ამ ქვეყანაზე...

ზაზას ხმა არ ამოუღია. გაშტერებული იჯდა. მერეც, არ განძრეულა — ყინვა და სიცივე არც უგრძვნია. მთელი ღამე აივანზე გაატარა. ბოთლით არაყს დიდხანს სვამდა და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. სასმელი არც მოჰკიდებია — ალბათ სტრესის გამო. დილით, უკვე სავსებით მშვიდად ელაპარაკა თამუნას — წადი, სადაც გინდა და როგორც გინდა, ისე წადი. მე შენ მიყვარხარ. ძალიან კარგად მესმის შენი. უნდა წახვიდე... გურამს მე მივხედავ... არც იმ შენს ახალ კაცს დავუწყებ დევნას: იმას რას ვერჩი — შენ თვითონ გადაწყვიტე ყველაფერი...

ასე უცბად და უპრობლემოდ „მინიჭებულმა“ თავისუფლებამ თითქოს, შეურაცხყო და გააღიზიანა კიდეც ქალი. ხმა არ ამოუღია. ნაჩქარევად ჩაალაგა ბარგი-ბარხანა და კართან დააწყო. მერე გაიარ-გამოიარა — ალბათ, რომ დამშვიდებულიყო. ხელჩანთიდან პარფიუმერია ამოალაგა და სარკესთან მოეწყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ზაზა სავარძელში იჯდა და ხან მძინარე ბავშვს უყურებდა, ხან თამუნას. უკვე მოწესრიგებულს და კართან მისულს მიაძახა:

— მოიცა! შემოდი. დაიმახსოვრე, რომ მიყვარხარ. ჩემი ცხოვრება შენ მოგიძღვენი და როგორც არ უნდა მძულდე, მაინც მეყვარები...

თამუნამ დიდრონი, შავი თვალები მიაპყრო. შეჩერდა. მერე თავი დახარა და კარისკენ გაეშურა.

მოიცა! — კვლავ შეაჩერა ზაზამ. — ერთიც იცოდე: მეყვარები, მაგრამ ამას არასოდეს გაპატიებ. მთელი ცხოვრება მემახსოვრება, რაც გააკეთე... ნუ გეშინია, დევნას არ დაგიწყებ, მაგრამ ვიცი, შენ თვითონ დამიბრუნდები. მაგრამ არა მაშინ, შენ რომ მოგინდება — ბოლო შანსს მე თვითონ მოგცემ, დაიმახსოვრე.

... ერთი წელი გავიდა. ზაზას წამებისა და წვალების წელი. თამუნასკენ არც გაუხედავს — დანაპირებს ასრულებდა, მაგრამ, არც გურამს აკარებდა ახლოს. ზღაპრების მოყოლა — დედის „გაფრენა-გამოფრენაზე და მალე დაბრუნებაზე“ არც უცდია: დაისვა და დაწვრილებით მოუყვა ყველაფერი. ბავშვმა ბევრი ვერაფერი გაიგო, ერთის გარდა — „დედიკო ვიღაც კაცთან ცხოვრობს და ჩვენთან ყოფნა აღარ უნდა“... არ იყო ადვილი ამის გაგება. ბევრჯერ, გაგიჟების პირას მისულა ზაზა, ბავშვის გულუბრყვილო წუხილის შემყურე...

მერე გაიგო — ქორწილს იხდიდნენ თურმე, თამუნა და მისი „რჩეული“. ბიბლიოთეკის წინ, მისი ერთ-ერთი რესტორანი ყოფილა და თამუნაც იქ გაუცნია...

დანაპირები ბოლო შანსი იყო, თამუნასთან რომ ავიდა. არ გამოიყენა. ქორწილამდე ერთი კვირა რჩებოდა....

შაბათს, სიონთან ერთი ჟრიამული იდგა. იქაურობა უცხოური მანქანებითა და გამოპრანჭული ადამიანებით იყო სავსე.

— რატომ იგვიანებენ, ნეტა?

— იმდენი სამკაული უყიდია, მაგის მორთვა-მოკაზმვას ორი დღე მოუნდებოდნენ...

— აბა, აბა. სპეციალურად, პარიზიდან ჩამოუტანია თურმე საპატარძლო კაბა...

ცოტა ხანში მანქანის სიგნალების ხმაც გაისმა. ლესელიძის ქუჩაზე კრიალა „იაგუარი“ შემოსრიალდა. „მოვიდნენ! მოვიდნენ!!.“ — დაფაცურდნენ ვიდეოკამერიანი ახალგაზრდები, სპეციალურად რომ იყვნენ ცერემონიის გადასაღებად დაქირავებულები.

ლიმუზინმა ტაატით შემოუხვია და სიონის წინ გაჩერდა. დედოფალი მართლაც ბრწყინავდა: ულამაზესი კაბა ძვირფასი თვლებით ჰქონდა გაწყობილი. მეორე მხრიდან ნეფეც გადმოვიდა და შეკრებილ, გარს შემოჯარულ საზოგადოებას მიესალმა. ტაში და მილოცვები... „ოდნავ აქეთ დადექით, კადრში რომ ეკლესია გამოჩნდეს...“ — სთხოვა „გადაღების ხელმძღვანელმა“... მოულოდნელად ღმუილის ხმა გაისმა. უშველებელი თვითმცლელი უკუსვლით უახლოვდებოდა ჯვრისწერაზე შეკრებილებს. დამხვდურნი უცბად გონს ვერც მოვიდნენ — გაშეშებულნი მისჩერებოდნენ მათკენ მიმავალ სატვირთოს, რომელიც ზედ ნეფე-დედოფლის წინ გაჩერდა.

კაბინის კარი გაიღო და „ბორტს“ გადაღმა პატარა გურამის თავი გამოჩნდა.

— ეი, შე მძ...ის ბოჩკა! ყველაფერს ვერ იყიდი!

სატვირთოს „ბორტი“ ნელა-ნელა აიწია და გაოცებული, პირდაღებული ნეფე-დედოფლისა და სტუმრების წინ მთელი „ბაზრობა“ გადმოცვივდა — ტელევიზორები, მაგნიტოფონები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი...

— ეს ყველაფერი საქორწინო საჩუქრად მომირთმევია — შენ ხომ ამაზე დახურდავდი... ჰოდა, ჩვენი სახლიც, ჩვენი სიყვარულის ბუდე და შენი ბოლო შანსიც, ამ ხბარ-ხუბარზე გადავახურდავე...

ზაზა და გურამი ლესელიძეს აუყვნენ.

— აეროპორტისკენ! — უთხრა მძღოლს, ტაქსიში ჩაჯდომისას. ზაზას მამასთან — რუსეთში მიდიოდნენ...

„ათასნლოვანი" Porsche

მეოცე საუკუნესთან გამოთხოვება ბევრმა საავტომობილო კომპანიამ იმით აღნიშნა, რომ „მილენიუმის" „მარკით" გამოუშვა პროდუქციის შეზღუდული პარტია. ისეთმა კომპანიებმა,როგორიცაა TOYOTA, ROVER და ზოგიერთი სხვა, სერიული ავტომობილების ბაზაზე ნამდვილი შედევრების მცირე პარტიები შექმნეს, რომლებიც ყველაზე ძვირფას ავტოკოლექციებსაც დაამშვენებს. ამ მანქანების ფასები ათეულობიდან – ასეულობით ათას დოლარამდე მერყეობდა. სწორედ აქედან მომდინარეობს ათასწლეულის „მარკით" მათი აღნიშვნა.

თუ, მაგალითად, „ყველგანმავალი" TOYOTA LAND CRUISER MILLENIUM EDITION ხელმისაწვდომი იქნებოდა ისეთი ქართველისთვისაც, რომელიც 70.000 დოლარზე ცოტა მეტს გადაიხდიდა მისთვის, საკოლექციო PORSCHE 911 MILLENIUM-ს ერთმილიონიანი ქონების პატრონიც კი ძნელად თუ შეიძენს: ამ როდსტერის შეძენის მსურველთა ჩაწერა (ჩაწერა! – რა დაუჯერებლადაც არ უნდა ჟღერდეს ეს), კომპანიის მიერ მისი წარმოების შესახებ გაკეთებული განცხადებიდან ორ დღეში შეწყდა!

911 MILLENIUM-ი მართლაც სრულიად გამორჩეულია, „პორშეს" მიერ მთელი თავისი ისტორიის მანძილზე გამოშვებულ მანქანებს შორის. საქმე აქ ფასში როდია – უბრალოდ, ამ მანქანაში იმდენი ტექნიკური სიახლეა, რასაც ვერც ერთ „კონვეიერულ" „პორშეში" ვერ იხილავთ. „ათასწლოვანის" სტანდარტულ კომპლექტაციაში „სერიული" „პორშეს" ყოველგვარი ტექნიკური ოფცია შედის, რომელსაც ექსკლუზიური – ხელით ნაკეთები აღჭურვილობაც ემატება.

მანქანა სრულამძრავიანია, გამოირჩევა უნიკალური ფერით, რომელიც 8 ფენოვანი შეღებვით მიიღწევა, ტყავის სალონსაც ზუსტად განსაზღვრული ტონალობა აქვს, წინა პანელი მუქი ნეკერჩხლისგან არის დამზადებული, ხელსაწყოთა აღჭურვილობას კი საფირმო – PORSCHE COMMUNICATION MANAGEMENT სისტემა წარმოადგენს.

მანქანა აღჭურვილია სამუხრუჭე დისკების ცვეთის კონტროლისა და საბურავების წნევის კონტროლის მაჩვენებელი ხელსაწყოებით, უსაფრთხოების „ჭკვიანი" ბალიშებით (მათ შორის, თვით „პორშეში" შექმნილი გვერდითი ბალიშებით), რომლებიც ბოლომდე არ იხსნება, თუ სავარძელი ცარიელია ან მასში ბავშვი ზის. კორპუსის კონსტრუქცია იმის გათვალისწინებით არის აგებული, რომ შეჯახების შემთხვევაში მაქსიმალურად „ჩაახშოს" დარტყმა. თითოეულ ავტომობილზე მანქანის ნომრიან ოქროს ფირფიტას აკრავენ.

იმისათვის, რომ სრულიად გამოირიცხოს ამ ავტომობილის გატაცება, საქარხნო სიგნალიზაციის გარდა, 911 აღჭურვილია PCM ნავიგაციური სისტემით, რომელიც მანქანის მფლობელისთვის გადაცემული უნიკალური კოდით ამოქმედდება. აღსანიშნავია, რომ იმ ქვეყნებისთვის, სადაც PCM-სისტემა არ მოქმედებს, 911 HI-FI სისტემითა და ისეთი მოწყობილობით აღიჭურვება, რომლებიც აუცილებელია GSM სტანდარტის მობილური ტელეფონის ჩასართავად.

სავარძლების მდგომარეობის რეგულირების მართვა (გაძლიერებული უსაფრთხოების სამწერტილოვანი ღვედებით) იმის საშუალებას იძლევა, რომ დაიმახსოვროთ სამი შესაძლო პერსონალური ვარიანტი, რომელიც სარკეების ინდივიდუალურ რეგულირებასაც ითვალისწინებს. კიდევ ერთი ჩამონტაჟებული სისტემა იმის საშუალებას იძლევა, რომ თქვენი გემოვნებით შეარჩიოთ სავარძლის სიმაგრე (სირბილე) და მათი გათბობის დონე. გარდა ამისა, მფლობელს საშუალება აქვს, სალონის ინტერიერიც სპორტულ სტილში გააფორმოს.

911 MILLENIUM-ის სხვა ატრიბუტებს შორის მწარმოებლები ასახელებენ: კრუიზ-კონტროლს, კლიმატ-კონტროლს, საქარე მინის ცვლად ტონირებას, სამარშრუტო კომპიუტერს, CD ჩეინჯერს DCP-სთან (DIGITAL SOUND PROCESSING) ერთად, უკანა მინის გამწმენდს, სამმანიან ორიგინალურ საჭესა და 911-ის ემბლემის ამსახველ კარის საკეტებს.

ყოველივე ამის გარდა, მფლობელს საშუალება აქვს, ავტომობილთან ერთად შეუკვეთოს... სამგზავრო ჩანთები და სხვა აქსესუარები, რომლებიც „ათასწლოვანი" მანქანის სტილშია შესრულებული. ■

Chrysler-ი სპორტული ლეგენდას გააცოცხლებს

საავტომობილო კომპანია „კრაისლერმა“ გადაწყვიტა, გააცოცხლოს კიდევ ერთი საავტომობილო სპორტული ლეგენდა, რომელიც ამერიკული საავტომობილო მრეწველობის ისტორიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

კომპანიის ყოფილმა პრეზიდენტმა ბობ ლუცმა ჩრდილოამერიკულ საერთაშორისო საავტომობილო ჩვენებაზე კონცეპტუალური მოდელი – CHRYSLER CUNNINGHAM C7 GT-ი წარადგინა. ალბათ მიხვდით, რომ ეს რეტროსპექტივაა, ექსკლუზიური სუპერმდიდრული სპორტულ-ტურისტული GT – კუპეებისა – სარბოლო ავტომობილებისა, რომლებიც 1950-60-იან წლებში მოყვარულმა სპორტსმენმა ბრიგს კანინჰემმა შექმნა.

კანინჰემი მრბოლელი და ჯენტლმენი იყო, 1958 წელს ამერიკის თასის გათამაშებაში გაიმარჯვა და ომის შემდგომი ამერიკული სპორტული ავტომობილები დააპროექტა, რომლებსაც მისი სახელი მიენიჭა.

სპორტსმენის სახსრებით შექმნილმა და „კრაისლერის“ CV ძრავით აღჭურვილმა „კანინჰემმა“ ევროპაშიც უმალ მოიხვეჭა სახელი, როცა კინაღამ გაიმარჯვა 24 საათიანი ლე-მანის შეჯიბრებაში, ქარხნებისა და კომპანიების მხარდაჭერით ისეთ ძლიერ მონსტრებთან პაექრობისას, როგორიცაა „ფერარი“, „იაგუარი“ და „პორშე“.

ამ მანქანების ნაირსახეობად აწარმოებენ საქალაქო მოდელებსაც, მათ შორის CUNNINGHAM C3-ს, რომელიც 1953 წლიდან სულ 30 ეგზემპლარი გამოვიდა...

რეტრო-მოდელის წარდგენისას ლუცმა აღნიშნა, რომ ახალი ავტომანქანა მეტისმეტად მდიდარი ადამიანებისთვის არის გათვალისწინებული, სახელდობრ მათთვის, ვისაც ძლიერ იზიდავს ექსკლუზიურობა და, განსაკუთრებით, „კანინჰემის“ მემკვიდრეობა.

ახალი მოდელი დიზაინერმა სტიუარტ რიდმა შეიმუშავა. მისი ფასი 200.000 დოლარით განისაზღვრება. მანქანა 6,0 ან 7,0 ლიტრიანი V12 ძრავით იქნება აღჭურვილი და 500 ცხ. ძალას განავითარებს.

მოდელის წარმოება სავარაუდოდ, 2003-2004 წლების მიჯნაზე დაიწყება. როგორც ბობ ლუცმა განაცხადა, პირველ წელს კომპანია 250 ავტომანქანის გამოშვებას გეგმავს, საბოლოოდ კი, წლიური წარმოება 500-600 ეგზემპლარს მიაღწევს. ■

BMW-ს M-სერიის ახალი მოდელი



ბავარიული ავტომწარმოებლის ახალი ავანგარდული კუპე M-სერიის სამოდელო რიგის მორიგი ნიმუშია, რომელსაც წლეულს, დეტროიტის სალონზე წარმოადგენენ.

ახალი მოდელის დანიშნულებაა, სუპერკარ M-1-ის (1978-81) სულისკვეთება გააცოცხლოს. ორადგილიანი ავტომობილი „ფორმულა 1“-ის ბოლიდის 3,0 ლიტრიანი, 600 ცხ. ძალიანი V10 ძრავით იქნება აღჭურვილი და, ბუნებრივია, M-2 დაერქმევა. მას შეზღუდული რაოდენობით გამოუშვებენ და 125.000 დოლარამდე ეღირება. BMW-ს მესვეურთა თქმით, ეს ფასი მხოლოდ მანქანის ექსკლუზიურობით როდია განპირობებული – არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ამ მანქანით, მძღოლები, „ფორმულა 1“-ის მართვის ხერხებს აითვისებენ.

M-2-ის წარმოება 2002 წლის ივლისისთვის არის დაგეგმილი. ახალი კუპის დიზაინი იმდენად უჩვეულოა, რომ შესაძლოა, ის მსოფლიო სუპერკარის პირამიდის მწვერვალზეც კი აღმოჩნდეს. მოდელი 230 ცხ. ძალიანი MCLAREN F-1-ის მოდელით არის ნაკარნახევი. მსგავსება ძრავის ცენტრალური ადგილმდებარეობით იწყება და კარის არა გვერდით, არამედ ზემოთ გაღებით მთავრდება. მფლობელს მასში შეხვდება მოწინავე ტექნოლოგიათა თითქმის ყველა ნიმუში, რითაც კი აქამდე იყო აღჭურვილი ავტომობილები. მანქანის ძარისა და შასის კონსტრუქციაში გამოყენებული იქნება მაგნიუმისა და ალუმინის შენადნობი, საძარე პანელები კი ნახშირბადიანი ბოჭკოსაგან დამზადდება.

უმძლავრესი ძრავის წყალობით M-2 100 კმ/სთ სიჩქარეს სულ რაღაც 4 წამში განავითარებს. კერამიკული მუხრუჭები, რომლებიც „ფორმულა 1“-ის ავტომობილებზეა დაყენებული, აქ ABS-თან ერთად იქნება წარმოდგენილი.

კუპის სალონში ყველაფერი მძღოლზეა ორიენტირებული. ხელსაწყოთა პანელზე გამოკვეთილად მოჩანს სპიდომეტრი. სავარძლები სიღრმითა და გამოწეული გვერდებით გამოირჩევა და სპორტული ტიპის ღვედებით არის აღჭურვილი, რომლებიც ჩალიჩის პრინციპით მოქმედებს.

როგორც ვარაუდობენ, ახალი კუპის ძირითადი კონკურენტები „აუდის“, „ფოლკსვაგენისა“ და „ბუგატის“ მოდელები იქნება. ■

სპეციფიკურ შერისძიებაზე ის არის, ბედნიერებას რომ მოიპოვებ

გოლდი ჰოუნი

გოლდი ჰოუნი ჰოლივუდში ცნობილი და ყველასთვის საყვარელი ვარსკვლავია. მას შეუძლია გულიანად აცინოს მაყურებელი და ორმოცდაათ წელს გადაცილებულიც ისე გამოიყურებოდეს, როგორც 25 წლის გოგონა. თითქმის 20 წელია მასთან ერთად ჰოლივუდის ერთ-ერთი ცნობილი „მაჩო“ კურტ რასელი ცხოვრობს. ხშირად ყოფილა შემთხვევები, როცა რეჟისორებს თავქარიანი, ახალგაზრდა ვარსკვლავების ნაცვლად, როლზე გოლდი ჰოუნი მიუწვევიათ. მისი მონაწილეობით გადაღებული ყველა ფილმი იმის დასტურია, რომ გოლდი ახალგაზრდობის ელიქსირის საიდუმლოს ფლობს.

1996 წელს გოლდი ჰოუნს ოცნება აუხდა: ვუდი ალენმა თავის ფილმში — „ყველა ამბობს, რომ მიყვარხარ“ მიიწვია. გოლდის სიხარულის მიზეზი კი ის იყო, რომ ვუდი ალენი მიუზიკლს იღებდა. ახალგაზრდობაში გოლდი პროფესიონალი მოცეკვავე იყო და რამდენიმე წელი ვოკალშიც მეცადინეობდა, და აი, ნანატრი დღეც დადგა.

„ვიცი, რომ კარგი მოჯირითე ხართ და თავად ასრულებთ ხოლმე აკრობატულ ილეთებს — დაიწყო საუბარი რეჟისორმა, გოლდის კი სახეზე ფერი ეცვალა. — მაგრამ ჩემს ფილმში სულ სხვა რამ უნდა აკეთოთ. შეგიძლიათ პატარა სიმღერა მიმღეროთ?“

ჰოუნი სიხარულით მეცხრე ცაზე იყო — ძლივს გამოჩნდა რეჟისორი, რომელმაც შეძლო მისი მრავალმხრივი ნიჭი დაეფასებინა. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ყველა მსახიობი როლზე დაამტკიცეს, ვუდი ალენი გოლდის სინანულით სავსე მზერით მიუახლოვდა: „იცით, მისის ჰოუნ, — ძლივს ამოღერღა რეჟისორმა, ვშიშობ, რომ ფილმში თქვენ სიმღერის ნაცვლად, უბრალოდ პირის დაღება მოგიწევთ: საქმე ის არის, რომ თქვენი პარტნიორები აბსოლუტურად უსმენონი და უხმონი აღმოჩნდნენ. მეც მწყინს, რომ თქვენი ნიჭი ბოლომდე ვერ გაიბრწყინებს“.

გოლდი ჰოუნი სინანულისგან თითქმის ტიროდა: „მე ასეთ როლს არაერთი ათწლეულის მანძილზე ველოდი. მე ხომ სპეციალურად ვემზადებოდი!“ ვუდი ალენი მხოლოდ უხერხულად შლიდა ხელებს.

გოლდის განაწყენება დიდხანს არ გაგრძელებულა: ყველაფერი იმ ღაღი შემოქმედებითი ატმოსფეროთი განიმუხტა, რომლის შექმნა გადასაღებ მოედანზე მხოლოდ ვუდი ალენს შეუძლია. ამაში წვლილი ჰოუნსაც მიუძღოდა: მუშაობის დაძაბულ მომენტებში ვუდი სთხოვდა, რომ გაეცინა და მისი განუმეორებელი, გადამდები სიცილი მაშინვე ხსნიდა ყოველგვარ დაძაბულობას.

ოდესღაც, ახალგაზრდა გოლდი ფსიქოანალიტიკოსთა მიღებაზე მივიდა და სთხოვა: „დამეხმარეთ, ექიმო, მე სიცილს გადავეჩვიე“. ექიმი მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე: ქალს არასრულფასოვნების კომპლექსი ტანჯავდა, თავს ძალიან დაბალ თვითშეფასებას აძლევდა. „მეტისმეტად გამხდარი ვარ, არავის მოვწონვარ, ერთ ბიჭსაც კი არ ვყვარებივარ“ — ქვითინებდა გოლდი. თავისი სიმახინჯის დასადასტურებლად გოლდიმ ტანსაცმლიდან სპეციალური საშუალებები ამოალაგა, რითაც ის ტანზე „ფორმების“ გამოჩენას ცდილობდა. „ხედავთ, როგორი ვარ სინამდვილეში?“ რამდენიმე სეანსის შემდეგ, გოგონა შინაგანად გარდაიქმნა და თაყვანისმცემლებიც გამოუჩნდა... მათი რიცხვი მას შემდეგ გაათმაგდა, რაც გოლდის დებიუტი შედგა ტელესერიალში — „იცინე“.

ტელევიზიაში პირველივე სინჯების დროს ჰოუნს მღელვარებისგან მთელი ტექსტი დაავიწყდა, თუმცა, მოწყალედ მისცეს კიდევ ერთი შანსი. მეორე დღეს ის კვლავ მივიდა სტუდიაში, პირი დააღო და... ატირდა: ის დაწყვეტილი ტექსტი, კვლავ თითქოს აორთქლდა მისი გონებიდან. მაგრამ გოგონა იმდენად მოეწონა პროდიუსერ ჯორჯ შლატერს, რომ გადაწყვიტა, ექსპერიმენტი ჩაეტარებინა: როგორც კი რეჟისორი გადაღების დაწყებას ბრძანებდა, გოლდის რიგრიგობით უჩვენებდნენ ბარათებს, რომელზეც გარკვეული ფრაზები იყო დაწერილი, მათ შორის ისეთი „უხერხული“ ფრაზებიც კი, რაც სინამდვილეში არ იყო გათვალისწინებული სცენარში. ამ დროს გოლდის იმდენად რადიკალურად ეცვლებოდა სახის გამომეტყველება, რომ სიცილს ვერავინ იკავებდა.

1969 წელს გოლდი ჰოუნი უკვე „ოსკარზე“ წარადგინეს, ქალის მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის ფილმში —„კაქტუსის ყვავილი“ (ეს ჰოუნის მიერ კინოში ნათამაშები მეორე როლი იყო). როდესაც ცერემონიისას გამოაცხადეს, რომ „ოსკარი“ გოლდი ჰოუნს მიენიჭა, აღმოჩნდა, რომ გამარჯვებული დარბაზში არ იმყოფე-

გოლდი და მისი ქალიშვილი კეტი სამზარეულოში.

ბოდა. მეორე დღეს კი, როცა მეგობრები დაინტერესდნენ, რაიმე ხომ არ შეემთხვა, ქალმა წამოიყვირა: —„ღმერთო ჩემო! ნუთუ ეს გუშინ იყო? მე კი სულ არ გამხსენებია!“

გოლდი არასოდეს მალავდა, რომ თავისუფალი სიყვარულის მომხრე იყო. პრესაში ხშირად ჩნდებოდა მისი მეგობარი მამაკაცების სახელები, გოლდიმ შვედი მსახიობით ბრუნო ვინცელით და კასკადიორ გედ გროსმანით დაიწყო და მერე ჰოლივუდის მთავარ გულთამპყრობელს უორენ ბიტისაც მიადგა.

... 30 წელს მიღწეულმა ოქროსთმიანმა ლამაზმანმა უცებ გადაწყვიტა, რომ ოჯახის შექმნის დრო დაუდგა. მისი რჩეული, ყოფილი მოცეკვავე, შემდგომში კი ეროტიკული ვიდეოფილმების პროდიუსერი და რეჟისორი გას ტრიკონისი გახდა. ტრიკონისის არნახულმა ტემპერამენტმა მსახიობი დაატყვევა. „ასეთი ტემპერამენტის მქონე მამაკაცი ცხოვრებაში არ შემხვედრია, — გამუდმებით ტრაბახობდა გოლდი. — თუმცა, მე ეს არ მაკვირვებს — ის ხომ ნახევრად ბერძენი და ნახევრად თურქია“. მალე კაცის ნაქებმა ტემპერამენტმა ძალზე სპეციფიკური გამოვლინება პოვა: ტრიკონისი ზედმეტად ემოციური პიროვნება გახლდათ და ხშირად ოჯახურ სცენებს აწყობდა. ამ დაუსრულებელი „ომის“ პირობებში გოლდიმ საკმაოდ დიდხანს — 7 წელი გაძლო. გამოსამშვიდობებელი საჩუქრის სახით გასმა გაყრისას გოლდისგან 75 ათასი დოლარი მოითხოვა. გოლდიმ თანხა გადაიხადა და ამით ჰოლივუდის ქალებისთვის საშიში პრეცედენტი შექმნა. მას შემდეგ ცნობილი ქალების ქმრები გაყრისას ურცხვად ითხოვენ თანხას ყოფილი ცოლებისგან.

მალე გოლდიმ ხელახლა სცადა ქორწინება. მისი ქმარი ბილ ჰადსონი გახდა. ბილი როკ-მუსიკოსი და „შეთავსებით“, კომედიური მსახიობი იყო. თუმცა გოლდის ჰადსონისგან ორი შვილი ჰყავს — ოლივერი და კეტი, ცხოვრების იმ პერიოდზე საუბარი მაინც არ სიამოვნებს. მათი ქორწინება ოთხი წელი გაგრძელდა. გაყრისას ბილმაც არ „შეირცხვინა“ თავი, მას მალიბუში მდებარე, 2 მილიონ დოლარად შეფასებული ახლი სახლი ერგო.

1994 წელს ფილმ „პარტნიორის შეცვლა სვინგის რიტმში“ გადაღებაზე ჰოუნი თავისი ცხოვრების მთავარ სიყვარულს — კურტ რასელს შეხვდა. მას შემდეგ ისინი ერთმანეთს აღარ დაშორებიან.

რა არის იმის მიზეზი, რომ ორი ცნობილი, მატერიალურად დამოუკიდებელი ადამიანი განუყრელად ერთად ცხოვრობს 17 წლის მანძილზე? ამასთან, ისინი დაქორწინებულებიც კი არ არიან, ქალი კაცზე ექვსი წლით უფროსია, ხასიათით კი საკმაოდ განსხვავებულები არიან. გოლდი კორექტული და კანონმორჩილია, რასელი კი

კურტ რასელი და გოლდი ჰოუნი თავიანთ სიყვარულს არ მალავენ

ფეთქებადი და თითქმის ანარქისტი (წარმოგიდგენიათ, მას გადასახადების გადახდა თავის მოქალაქეობრივ ვალდებულებად არ მიაჩნია!!!). გოლდი — ბუდისტი და ვეგეტარიანელია, რასელი კი თავგამოდებული მონადირე და ათეისტი. გოლდიმ ვერაფრით ვერ ისწავლა თხილამურებზე დგომა, კურტი კი საუკეთესო მოთხილამურე-სპორტსმენია. მათ აერთიანებთ... „სიყვარული და მხოლოდ სიყვარული, — ამბობს გოლდი ჰოუნი. — კურტი ყველაზე სექსუალური მამაკაცია!“

გოლდის ახალგაზრდობის და ბედნიერების საიდუმლო სიყვარულშია. ის არ ზღუდავს კურტს, არ ეკითხება, რომელ საათზე მოვა შინ და სად გაატარა წუხანდელი საღამო. ისინი თავისუფალი ადამიანები არიან. გოლდი არასდროს ეჭვიანობს, მაშინაც კი, როცა კურტს გარს ახალგაზრდა, მომხიბლავი გოგონები ახვევია. „მე ვიცი, ჩვენ წუთიერ გატაცებაზე უფრო მეტი რამ გვაკავშირებს. თუ კურტს როდესმე მოუწევს ჩემსა და სხვა ქალს შორის არჩევანის გაკეთება, ის აუცილებლად ჩემთან დარჩება“. მართლაც შესაშური თავდაჯერებულობაა. მათი ოჯახიც შესაშურად ბედნიერია: ჰოუნთან და რასელთან ერთად მათი საერთო შვილი უაიეტი და გოლდის ორი შვილი, ასევე რასელის შვილი ბოსტონი ცხოვრობენ.

1997 წელს ჰოუნმა ბეტ მიდლერთან და დაიან კიტონთან ერთად ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა ფილმში — „პირველ ცოლთა კლუბი“. ამ ფილმმა დიდი რეზონანსი გამოიწვია ამერიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში: ფემინისტი ქალები აღფრთოვანებულები იყვნენ „სამი ძლიერი ხასიათის მქონე ქალით, რომელთაც შეძლეს, ქმრებისთვის კუთვნილი ადგილი ეჩვენებინათ...“

გოლდიმ იმდენად დამაჯერებლად შეასრულა როლი, რომ ყველა დარწმუნებული იყო — გოლდი თავისი გმირის შეხედულებებს იზიარებდა. მათი ბედიც ხომ ერთმანეთს ჰგავდა: უიღბლობა, გაყრის პროცესები, ოჯახური პრობლემების საჯაროდ განხილვა... მაგრამ აღმოჩნდა, რომ სცენარის ყურადღებით წაკითხვის შემდეგ, გოლდიმ კინაღამ უარი განაცხადა როლზე: „ვიგრძენი, რომ არ მქონდა სურვილი ისეთ ფილმში მეთამაშა, სადაც ყველა კაცი უკანასკნელი ნაძირალაა, ქალები კი, საძაგელი საქციელისთვის სამაგიეროს გადახდით სიამოვნებას განიცდიან. მე თვითონ არა ვარ ასეთი, მაგრამ, როცა ჩემი ყოფმანის შესახებ რეჟისორს ვაცნობე, ის სასამართლოთი დამემუქრა“.

ასეთია ჰოლივუდის ცხოვრების სინამდვილე — მუქარამ გაჭრა, მსახიობი კი შეშინდა, რომ მას კიმ ბესინჯერის ბედის გაზიარება მოუწევდა: თავის დროზე კიმმა ჯარიმის სახით, რამდენიმე მილიონი დოლარი გადაიხადა, როცა უარი განაცხადა ფილმში — „ელენა ყუთში“ მონაწილეობაზე. თუმცა, ჰოუნმა სცენარში ცვლილებების შეტანა მოითხოვა და ამის შედეგად, სამი გმირი ქალის ხასიათი ნაკლებად აგრესიული გახდა. „ჩემი აზრით, განქორწინებული ქალის ერთადერთი შურისძიება ის უნდა იყოს, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ბედნიერება მოიპოვოს. ერთხელ, ცხოვრების ერთ-ერთ უმძიმეს მომენტში ჩემს თავს სიტყვა მივეცი, რომ ყველაფერს მივაღწევდი ცხოვრებაში, რაზეც კი ოდესმე მიოცნებია. მე მგონია, რომ ჩემს მიზანს მივაღწიე — მაშასადამე „შურისძიება“ შედგა!“

■



შვილებთან — ოლივერთან, უაიეტთან და კეტისთან ერთად.



ორი კულტურის შვილი

ამერიკელი ვარსკვლავი ჯოდი ფოსტერი კანის წლევანდელი – 54-ე კინოფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე იქნება. ამ პოსტზე მის დანიშვნას კინოს სამყაროში ბევრი იმით ხსნის, რომ ფესტივალის პრეზიდენტი ჟილ ჟაკობი ცდილობს, „გაათბოს“ ბოლო წლებში რამდენადმე გაცივებული ურთიერთობა ჰოლივუდთან.

კინოს ფესტივალებზე ჟიურის თავმჯდომარეებად აქამდე სამი ამერიკელი ყოფილა: 1980 წ. – კერკ დუგლასი, 1986 წ. – სიდნეი პოლაკი და 1994 წ. – კლინტ ისტვუდი. თავმჯდომარე ქალთა ნუსხაში იყვნენ: სოფი ლორენი, ინგრიდ ბერგმანი, ფრანსუაზა საგანი, ჟანა მორო და იზაბელ აჯანი.

თავად ჟაკობი, რომელსაც ჯოდი ფოსტერი თავისი თაობის ერთ-ერთ საუკეთესო მსახიობად მიაჩნია, უარყოფს არჩევანის „პოლიტიკურ“ სარჩულს და აცხადებს: „ჯოდიზე მხოლოდ ამერიკის გამო როდი შევჩერდით. ის გამორჩეული მსახიობი და ინტელიგენტი ქალია, რაც იმის გარანტიას გვაძლევს, რომ თავმჯდომარე ძალზედ კორექტული იქნება ჟიურის სხვა წევრებთან ურთიერთობაში“.

საინტერესოა, რომ 38 წლის ამერიკელ ვარსკვლავს დედა ფრანგი ჰყავდა, თავად ორგზის „ოსკაროსანმა“ კი ფრანგული სპეცსკოლა დაამთავრა, საუცხოოდ ლაპარაკობს ფრანგულად, ძალზედ პოპულარულია საფრანგეთში, დიდ დროს ატარებს ხოლმე ამ ქვეყანაში და ცოტა ხნის წინ, საკუთარი ბინაც ჰქონდა პარიზის ცენტრში. 1984 წელს მან მონაწილეობა მიიღო კლოდ შაბროლის ტელეფილმში „უცხო სისხლი“, 1976-ში დააჯილდოეს კინოს ფესტივალის ოქროს პალმის რტოთი, სკორსეზეს „ტაქსის მძღოლში“ შექმნილი სახისთვის. ის თავს „ორი კულტურის შვილად“ მიიჩნევს და ამბობს, რომ ბავშვობიდან ოცნებობდა საფესტივალო ჟიურის თავმჯდომარეობაზე, ახლა კი იმის საშუალებაც მიეცა, „ფრანგული ენის, კულტურისა და კინემატოგრაფისადმი დიდი სიყვარული“ გამოამჟღავნოს.

დედოფალი შემოსავლის წყაროს ეძებს

ბრიტანული პრესა გაცხოველებით განიხილავს მოვლენას, რომელიც იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ სამეფო ოჯახს სერიოზული ფინანსური პრობლემები აწუხებს: ელისაბედ მეორემ თავისი მარკების იმ უნიკალური კოლექციის ერთი ნაწილის გაყიდვის შესახებ გამოაცხადა, რომელიც ბრიტანელ მონარქთა რამდენიმე თაობას უგროვებია.

ელისაბედ მეორის მარკების კოლექცია მსოფლიოში ყველაზე ძვირფასად არის მიჩნეული. მასში დაცულია ინგლისში, 1840 წელს გამოშვებული, მსოფლიოში პირველი მარკა – „შავი პენი“, ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული ეგზემპლარი – „ცისფერი მავრიკი“ (საკატალოგო ფასი – 0,5 მლნ დოლარი).

ამჟამად სამეფო კოლექცია ბუკინგემის სასახლეში ინახება. მაისისთვის დაგეგმილ აუქციონზე, რომელიც ლონდონში გაიმართება, 1840-დან 1940 წლამდე გამოშვებული მარკები იქნება წარმოდგენილი. როგორც ვარაუდობენ, კოლექციის ეს ნაწილი 1 მლნ დოლარის შემოსავალს მოუტანს დედოფალს.

საცხოვრებლის ძიებაში

ახალი ათასწლეულის დამდეგს, ბევრი ვარსკვლავი ახალი უძრავი ქონების შერჩევა-შეძენით არის დაკავებული. მაგალითად, მაიკლ ჯექსონი შეერთებული შტატებიდან კარიბის კუნძულებზე გადაბარგებას აპირებს და საამისოდ, 2,5 მლნ დოლარად ღირებული ვილა იყიდა, რომლის მეზობლად გვინეტ პელთროუ და დაიანა როსი ცხოვრობენ.

მაიკლ დუგლასმა და კეტრინ ზეტა-ჯონსმა კი ბერმუდის ერთ-ერთ კუნძულზე შეარჩიეს 1821 წელს აშენებული ორსართულიანი სახლი, რაშიც ასევე 2,5 მლნ გადაიხადეს. თუმცა გამუდმებით იქ ცხოვრებას წყვილი არ აპირებს და კუნძულზე მხოლოდ დასვენების დღეებს გაატარებს.

ამერიკულ პრესაში ბევრს წერენ იმაზე, თუ თეთრი სახლის შემდეგ, რომელ საცხოვრებელს აირჩევენ ბილ და ჰილარი კლინტონები. შარშან საპრეზიდენტო წყვილმა 1,7 მლნ დოლარად ნიუ-იორკში შეიძინა სახლი, ამ ცოტა ხნის წინ კი, ისინი ერთი ვაშინგტონური სახლის მესაკუთრენიც გახდნენ. 1951 წელს აგებული ამ შენობის მოწესრიგება მათ 2,85 მლნ დოლარი დაუჯდათ. ■



ერთ-ნახევარი საუკუნის წინ, 1851 წლის 1 თებერვალს, ინგლისის საკურორტო ქალაქ ბორნმუთში გარდაიცვალა პოეტ შელის მეუღლე და პოეტ ბაირონის მეგობარი, მწერალი — მერი შელი. მისი შემოქმედების მთავარი ქმნილებაა ისტორიაში პირველი მეცნიერული ფანტასტიკის ნიმუში, რომანი „ფრანკენშტაინი ანუ თანამედროვე პრომეთე“. თანამედროვე მითად ქცეული ფრანკენშტაინის ამბავი მთელი გასული ასწლეულის მანძილზე მოსვენებას არ აძლევდა კინემატოგრაფისტებს, ხოლო მასში წამოჭრილ ეთიკურ პრობლემებს, როგორც ჩანს, გადაჭრა არც უწერია.

qali, romelmac monstri Sva



არჩევანი

1994 წელს ეკრანებზე გამოვიდა ინგლისელი რეჟისორი კენეტ ბრანის მიერ „ურჩხულ ფრანკენშტაინზე“ გადაღებული მორიგი კინოვერსია. ეს გახლდათ ყველასათვის ცნობილი ნაწარმოების, ფაქტობრივად პირველი კეთილსინდისიერი ეკრანიზაცია: ავტორებმა ფილმს „მერი შელის ფრანკენშტაინიც“ კი უწოდეს და ამით ერთგვარად გაახსენეს საზოგადოებას (განსაკუთრებით ამერიკელებს), რომ ფრანკენშტაინი, მონსტრი კი არა, ლეგენდარული და თავისებურად უბედური არსების შემქმნელი მეცნიერია. ეს მათ იციან, ვისაც რომანი წაუკითხავს, ასეთები კი, სამწუხაროდ, ცოტანი არიან. უნდა ითქვას, რომ ავტორის ცხოვრება და რომანის დაწერის ამბავი მის შინაარსზე არანაკლებ საინტერესოა.

მერი უოლსტონკრაფტ გოდვინი 1797 წლის 30 აგვისტოს ლონდონში დაიბადა და შეიძლება ითქვას, იმთავითვე შევიდა ლიტერატურულ სამყაროში, რადგან მერი ცნობილი მწერლების ოჯახში მოევლინა ქვეყანას.

მამამისი — უილიამ გოდვინი, მწერალი და ფილოსოფოსი იყო, რომლის მოსწავლეებადაც პოეტები უორდსვორტი და კოლრიჯი ითვლებიან. დედამ სახელი გაითქვა, როგორც „ქალთა უფლებების დაცვის“ ტრაქტატის ავტორმა. ეს ნაშრომი, ინგლისში გამოქვეყნებული ერთ-ერთი პირველი ფემინისტური თხზულება იყო.

გოდვინების სახლში ლონდონის ყველაზე ცნობილი მწერლები იყრიდნენ თავს. კამათობდნენ აბსოლუტურად ყველაფერზე — ცხარედ, მაგრამ არასოდეს სცილდებოდნენ კორექტული დისკუსიის ფარგლებს. მათ ინტერესთა სფეროში შედიოდა ხელოვნება, მორალი, რელიგია, მეცნიერება, რომელიც ის-ის იყო, ძალას იკრებდა...

მერის მშობლების ხელი პატარაობიდანვე აკლდა: დედამისი მშობიარობიდან 10 დღის შემდეგ გარდაიცვალა, მამა მუდამ საგამომცემლო პროექტებით იყო დაკავებული. გოგონა ბევრს კითხულობდა, ესაუბრებოდა ცნობილ მწერლებს, ფილოსოფოსებს — მოკლედ, იმ ადამიანებს, ვისაც დღეს ინტელექტუალებს ვუწოდებთ.

ამ საუბრებისა და ურთიერთობების შედეგად მერიმ დამოუკიდებლად აზროვნების უნარი და შეუცნობლისაკენ ლტოლვა შეიძინა, რაც იმ დროის ინგლისელი ქალიშვილისთვის მეტისმეტად უჩვეულო გახლდათ.

შესაძლოა, სწორედ ამ ურთიერთობებმა გაუწია მომავალ მწერალს ცუდი, დათვური სამსახური, საზოგადოებრივი მორალის თვალსაზრისით, რადგან მერიმ, გარშემომყოფთა აზრის გაუთვალისწინებლად გადადგა ნაბიჯი, რომელმაც მისი მომავალი განსაზღვრა. შესაძლოა, დედამისს ეს გაემართლებინა კიდეც, მაგრამ ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმების მკაცრი მიმდევარი მამა ქალიშვილს ამგვარ ქმედებას ნამდვილად ვერ აპატიებდა.

ერთ მშვენიერ დღეს გოდვინების სახლში გამოჩნდა ახალგაზრდა პოეტი (შემდგომში სახელგანქმული) — პერსი ბიში შელი. 16 წლის მერის თავდავიწყებით შეუყვარდა 21 წლის ყმაწვილი, რომელსაც იმ დროისათვის უკვე მოესწრო დაქორ-

ჯორჯ ბაირონი მერი შელი პერსი შელი

წინება და სამი შვილის მამაც გახლდათ. უფრო მეტიც – მერი მისი საყვარელი გახდა. ამგვარი რამ მაშინდელ პურიტანულ ინგლისშიც იშვიათობას როდი წარმოადგენდა და ამ „ტკბილ“ წყვილსაც უფრო ფრთხილად რომ ემოქმედა, ალბათ არავითარი სკანდალი არ ატყდებოდა. მაგრამ საქმე ის იყო, რომ მერის საჭიროდ არ მიაჩნდა რაიმეს დამალვა.

მამასთან ცხარე კამათისა და შეხლა-შემოხლის შემდეგ, 1814 წელს, მერი მიჯნურთან ერთად საფრანგეთში გაემგზავრა, მაგრამ 1815 წელს, ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო, წყვილს უკან დაბრუნება მოუხდა. ამავე წელს მერი გოდვინს ქალიშვილი შეეძინა, რომელიც მალე გარდაიცვალა.

მერი შელის ცხოვრებაში მომხდარი მოვლენები დღემდე იზიდავს მწერლებსა და სცენარისტებს – ახლობლების სიკვდილი, პერსი შელისთან ქორწინება (ისინი 1816 წელს შეუღლდნენ – 20 დღეში მას შემდეგ, რაც დამხრჩვალი შელის ცოლის გვამი, მდინარეში იპოვეს) საკმაოდ მიმზიდველი მასალაა... ამ ყველაფერს კი ემატება მისი რომანი – „ფრანკენშტაინი ანუ თანამედროვე პრომეთე“ (ანონიმურად დაიბეჭდა 1818 წელს) – მერის პირველი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც, საბოლოოდ, მისი შემოქმედების ძირითადი ქმნილებაც აღმოჩნდა.

წიგნი

წიგნი გამოსვლამდე 2 წლით ადრე, 1816 წლის წვიმიან ზაფხულს დაიწერა. იანვარში მერის ბიჭი შეეძინა. ოთხი თვის შემდეგ კი იგი შელისთან და თავის ნახევარდასთან – კლერ კლერმონთან ერთად მთელი ზაფხულით შვეიცარიაში გაემგზავრა.

პერსის ჰყავდა მეგობარი, ლიტერატურულ წრეებში უკვე კარგად ცნობილი ახალგაზრდა პოეტი, საეჭვო რეპუტაციის არისტოკრატი, ქედმაღალი, შარიანი, გამქირდავი და ქალთა გულების მპყრობელი – ჯორჯ გორდონ ბაირონი. სწორედ ბაირონმა მიიწვია მთელი ეს კომპანია ჟენევის ტბის სანაპიროზე მდებარე ვილა დიოდატიში.

პერსი შელის მეუღლე ბაირონს „თითქმის გოგონად“ ეჩვენა. მაგრამ ეს გოგონა სრულებით არ ჰგავდა წარჩინებულ ოჯახებში აღზრდილ სხვა ყმაწვილქალებს. მას მტკიცე ხასიათი და ავანტიურისადმი მიდრეკილება ჰქონდა.

მალე ვილის ბინადარ ახალგაზრდა ინგლისელებზე ჭორები დაირხა. რას აღარ აბრალებდნენ მათ ადგილობრივი ფერმერები: ეშმაკმა უწყის, იმ სახლში რა ხდება – გარყვნილება, ორგიები და შავი მაგიის სეანსებიო...

მაგრამ არსებობს უტყუარი საბუთი იმისა, რომ იმ წვიმიან ზაფხულს ახალგაზრდები ვილაში მხოლოდ სიყვარულითა და იმ დროისათვის მოდური ოპიუმის წევით არ იყვნენ დაკავებულნი – სწორედ შფოთიანი შვეიცარიული არდადეგების დროს დაიწერა „ფრანკენშტაინი“.

ერთ მშვენიერ დღეს, მერი გოდვინმა კომპანიას (რომელშიც ბაირონის ექიმი, ასევე ლიტერატურით დაინტერესებული ჯონ ჰოლიდორიც შედიოდა) რომანის დაწერა შესთავაზა. რომანის ჟანრი გარემოებებმა განაპირობა.

საღამოობით მეგობრები თავს იქცევდნენ გერმანელი რომანტიკოსების თხზულებების კითხვითა და მეცნიერული პრობლემების განხილვით. საუბრობდნენ ატმოსფეროს აგებულებაზე, ევროპაში სულ ახლახან გამოგონილ ელექტრობასა და სიცოცხლის წარმოშობის საიდუმლოებაზე...

ამრიგად, გადაწყდა ჯერ ერთი, გოტიკური – კოშმარებით, საიდუმლოებითა და საბედისწერო ვნებებით სავსე, და, მეორე – იმ დროს მოდური მეცნიერული ჟანრის, თანაც ეშმაკეული ელემენტებით გაჯერებული რომანი შეექმნათ.

მართალია, მამაკაცებმა მალე ხელი ჩაიქნიეს ამ განზრახვაზე, მაგრამ მერიმ საქმის ბოლომდე მიყვანა გადაწყვიტა. თუმცა, ის გრანდიოზულ გეგმებს არ სახავდა – უნდოდა, მხოლოდ შეექმნა ერთგვარი ინტერპრეტაცია ინგლისური გოტიკის ცნობილი ნიმუშებისა, მაგრამ გამოვიდა მსოფლიო ლიტერატურაში პირველი ნაწარმოები, რომელშიც დასმული იყო მეცნიერის მორალური პასუხისმგებლობის პრობლემა და – მრავალი კრიტიკოსის აზრით – წიგნი, რომელმაც სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრს დაუდო სათავე.

მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში მერი შელი წერდა: „მინდოდა, ისეთი რამ შემექმნა, რაც მკითხველს საკუთარი სულის მანკიერებებს დაანახვებდა, ისეთი, რაც მის სულში შიშს აღძრავდა და ძარღვებში სისხლს გაუყინავდა“. უნდა ითქვას, რომ მერი შელიმ საწადელს მიაღწია. მის მიერ გამოგონილი ამბავი აგერ უკვე მეორე ასწლეულია, სისხლს უყინავს მკითხველებს.

წიგნის სიუჟეტი ასეთია: ახალგაზრდა ბარონი და მედიკოს-მეცნიერი ვიქტორ ფრანკენშტაინი შეპყრობილია იდეით გაუტოლდეს და აჯობოს კიდეც თვით შემოქმედს: შექმნას ისეთი ცოცხალი არსება, რომელიც სამაგალითო იქნება ყველა მოკვდავისათვის. „ახალი ჯიში... დამლოცავს და ამამაღლებს, როგორც მის შემქმნელს; მრავალი სრულყოფილი და ბედნიერი არსება სწორედ ჩემი წყალობით მოევლინება ქვეყანას“.

ექსპერიმენტი კრახით მთავრდება – სანიმუშო ადამიანი შემზარავად მახინჯი გამოდის. მონსტრის მაგვარი სუბიექტი ადამიანთა სამყაროში თავის ადგილს ვერ პოულობს და ხალხისგან დევნილი, ყველაფრის განადგურებას იწყებს. წიგნის

ბორის კარლოვი ფილმში „ფრანკენშტაინის საცოლე“ 1935 წელი

XX საუკუნეში ფილმები ფრანკენშტაინზე თითქმის ყოველ ათწლეულში იქმნებოდა

ფინალში კი მისი კვალი ჩრდილოეთის უკიდეგანო სივრცეებში იკარგება. ადამიანის ნატურის დახვეწისათვის მხურვალედ მებრძოლი ექსპერიმენტატორი კი კვდება.

გარკვეული თვალსაზრისით, „ფრანკენშტაინმა" მართლაც გამოიყვანა „ახალი ჯიში" – ლიტერატურული პერსონაჟისა. მის მიერ შექმნილი არსება ხომ თანამედროვე მეცნიერული ფანტასტიკის „რობოტების" წინაპარია.

„ფრანკენშტაინში" პირველად გამოიკვეთა დღეს აგრერიგად აქტუალური კონფლიქტი – მორალისა და მეცნიერების ურთიერთდაპირისპირება, ხელოვნური გონება, ვირტუალური რეალობა, კლონირება... ვისაც შემოქმედის როლში გამოსვლის ცთუნება მოეძალება, ნებისმიერი სიურპრიზისთვის მზად უნდა იყოს.

მართლაც გასაოცარია, როგორ მოახერხა ამ ახალგაზრდა დებიუტანტმა მწერალმა ქალმა, თითქმის ორი საუკუნის წინ ამ პრობლემის არსში ჩაწვდომა.

ჟინომითი

მერი შელის რომანი მაშინვე აიტაცეს რეჟისორებმა. ცოტამ თუ იცის, რომ ისტორიაში ერთ-ერთი პირველი მხატვრული ფილმი სწორედ 1910 წელს, გამომგონებელ ტომას ედისონის ფირმაში გადაღებული „ფრანკენშტაინია".

ხუთი წლის შემდეგ გამოჩნდა ახალი ვერსია – „ცხოვრება სულის გარეშე", ხოლო 1931 წელს რეჟისორმა ჯეიმს უეილმა ურჩხულის როლზე არაჩვეულებრივი მსახიობი – საშინელებათა ფილმებით სახელგანთქმული ბორის კარლოვი (მისი ნამდვილი სახელი იყო უილიამ ჰენრი პრატი) მიიწვია. უეილის „ფრანკენშტაინის" ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, კარლოვი ამერიკული კინოს ლეგენდად იქცა: შემზარავმა, უსიცოცხლო სახემ მაყურებელზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა – მას შემდეგ ამერიკელები, ბეისბოლთან და საღეჭრეზინთან ერთად, თავიანთი „ურჩხული ფრანკენშტაინითაც" ამაყობენ.

იმ დროიდან მოყოლებული, „ფრანკენშტაინის მოტივებზე" კიდევ მრავალი ფილმი გადაიღეს. მაგალითად, 1957 წელს – „მე მოზარდი-ფრანკენშტაინი ვიყავი", „ფრანკენშტაინი კოსმოსური ურჩხულების წინააღმდეგ" (1965 წ.) და პაროდია „ახალგაზრდა ფრანკენშტაინი". თუმცა თითქმის არც ერთ კინოვერსიას შელის რომანთან საერთო არაფერი ჰქონდა. ეკრანზე უმეტესწილად გამოჰყავდათ ყოველგვარი ტრაგიკული გაორებისგან თავისუფალი ბოროტი მონსტრი და უხამსი, შეშლილი მეცნიერი-ექსპერიმენტატორი: ფილოსოფიური იგავი ორსახოვანი პროგრესის შესახებ, კომერციულ „საფრთხობელად" აქციეს. მხოლოდ 1994 წელს, როცა ეკრანებზე კენეტ ბრანის სურათი გამოვიდა, პუბლიკამ მერი შელის ნაწარმოები გაიხსენა.

ბოლოსიტყვაობა

მერი შელის ცხოვრება „ფრანკენშტაინის" გამოქვეყნების შემდეგაც არ ყოფილა ნაკლებდრამატული, მაგრამ ახლა ის მხოლოდ მწერლის ბიოგრაფებს თუ აინტერესებდათ. ლიტერატურის ისტორიკოსებისთვის კი „ფრანკენშტაინის" შექმნის პროცესში მიმდინარე მოვლენებიც საკმარისი იყო (თუმცა 1826 წელს გამოჩნდა შელის მეორე რომანიც – „უკანასკნელი ადამიანი").

„ფრანკეშტაინის ანუ თანამედროვე პრომეთეის" გამოსვლიდან ოთხი თვეც არ იყო გასული, რომ მორიგი უბედურება დატრიალდა: ერთი წლის ასაკში გარდაიცვალა შელის მეორე ქალიშვილი კლარა. შემდეგ, 1819-ში – მისი ვაჟი, სამი წლის უილიამი. 1822 წლის ივნისში მერის მუცელი მოეშალა, ერთი თვის შემდეგ კი, კიდევ ერთი უბედურება დაატყდა: ქმარი მეგობრებთან ერთად იახტაზე სასეირნოდ წავიდა და დაიხრჩო.

ცხოვრების აზრს მერი ახლა მხოლოდ შემოქმედებაში და კიდევ, რაღა თქმა უნდა, თავის ბიჭუნაში ხედავდა: პერსი ფლორენსი 1819 წელს დაიბადა და მერის ერთადერთი შვილი იყო, რომელიც ბედმა დაინდო.

იმხანად, ერთი წიგნის (თუნდაც ის ბესტსელერი ყოფილიყო) ჰონორარით ვერ იცხოვრებდი. ამიტომ მერის მოუხდა მეტისმეტად დამამცირებელი სასამართლო დავა შელის ოჯახთან, რომლის წევრებსაც „ოჯახის დამანგრეველი" ქალის დანახვაც არ სურდათ და მისი შვილისთვის სიმბოლური ფულადი დახმარების გაღებაზეც უარს ამბობდნენ. მაგრამ მერიმ სასამართლო პროცესი მოიგო და თავისას მიაღწია.

ამასობაში „ფრანკენშტაინმა" მსოფლიოს დაპყრობა დაიწყო. მწერალს ლექციების წასაკითხად იწვევდნენ, ლიტერატურული სალონების კუმირები მასთან დამეგობრებას ცდილობდნენ, მერის მიმოწერა ჰქონდა დიზრაელისთან, კუპერთან, ირვინგთან, სტენდალთან, მერიმესთან... მოდური ერთდღიანი რომანებისაგან განსხვავებით, „ფრანკენშტაინი" არ ძველდებოდა, უფრო მეტიც – ის საკულტო ნაწარმოები ხდებოდა.

მერი შელი 1851 წლის 1 თებერვალს წავიდა ამ ქვეყნიდან. იგი ინგლისის ქალაქ ბორნმუთში, წმ. პეტრეს ტაძრის სასაფლაოზეა დაკრძალული.

მოამზადა ნატო ჩხაიძემ

1994 წ. „მერი შელის ფრანკენშტაინი" (მონსტრის როლში – რობერტ დე ნირო)

ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲢᲔᲚᲔ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲗᲣ ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘ

ბოლო წლებში ბევრი გვსმენია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესახებ, ზოგ ჩვენგანს უნახავს და წაუკითხავს კიდეც მისი ცალკეული მუხლები მაინც. მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, როგორ შეიქმნა იგი, ვინ და რა გარემოებებში ითავა ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის მიღება, რომელიც იმის ღირსი აღმოჩნდა, რომ საყოველთაო ეწოდებინათ.

ელეონორა რუზველტი ადამიანის უფლებათა დეკლარაციის თაობაზე რადიოთი გამოსვლისას, 1948 წ.

ეს მოხდა უკვე გასულ საუკუნეში, უფრო ზუსტად – 1948 წლის 10 დეკემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 183-ე პლენარულ სხდომაზე, რომელიც საფრანგეთის დედაქალაქის – პარიზის შაიოს სასახლეში გაიმართა.

დეკლარაციის პროექტზე მუშაობა ჯერ კიდევ 1946 წლის ივნისში დაიწყო. მისი შემუშავება საგანგებო კომისიას დაეკისრა, რომლის სული და გული, გაეროში აშშ-ის წარმომადგენელი, პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის ქვრივი – ელეონორა, ხოლო მაორგანიზებელ ფიგურად ფრანგი იურისტი რენე კასენი იყო. კომისიაში ინგლისის, ლიბანის, ბელგიის, კანადის, ავსტრალიისა და ინდოეთის წარმომადგენლები შედიოდნენ. ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა კავშირი დიდად არ დაინტერესებულა ამ წამოწყებით, თუმცა 1947 წლის დეკემბერში მაინც მიავლინა კომისიაში თავისი წარმომადგენელი, რომელიც იმთავითვე ცდილობდა, ადამიანის პოლიტიკურ უფლებებზე მაღლა, სოციალურ-ეკონომიკური წამოეწია.

1948 წლის ივნისში დეკლარაციაზე მუშაობის დასკვნითი ეტაპი დაიწყო, შემოდგომაზე კი კომისიამ თავისი პროექტი გაეროს ე.წ. მესამე კომიტეტს გადასცა, რომელმაც მის განხილვას 85 სხდომა მიუძღვნა. ნიდერლანდები ღმერთის, როგორც ყოველგვარი სამართლის საწყისის ხსენებას მოითხოვდნენ, დიდი ბრიტანეთი კოლონიების უფლებათა პუნქტის წინააღმდეგ ილაშქრებდა, სამხრეთაფრიკულ კავშირს მიუღებლად მიაჩნდა სტატია რასების თანასწორობის შესახებ, მუსულმანურ ქვეყნებს – სინდისის თავისუფლების დებულება, აშშ-ის – ეკონომიკურ უფლებათა კონცეფცია. მიუხედავად ყველა ამ დიდი დაბრკოლებისა, ტექსტის საბოლოო მიღება მაინც მოხერხდა.

გენერალურ ასამბლეაზე ჩატარებული კენჭისყრა ამგვარად დასრულდა: მომხრე – 48 სახელმწიფო, წინააღმდეგი – 0, თავი შეიკავა 8-მ. „თავშეკავებული“ 6 აღმოსავლეთევროპული ქვეყანა აღმოჩნდა: საბჭოთა კავშირი, უკრაინა, ბელორუსია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავია, რომლებსაც „მხარს უმშვენებდნენ“ სამხრეთ აფრიკა და საუდის არაბეთი. კომუნიზმი, აპარტეიდი და ისლამური ფუნდამენტალიზმი შემთხვევით როდი აღმოჩნდნენ ერთად. ყველა ეს თეორია ადამიანს განიხილავს, როგორც განუყოფელ ნაწილს ერთი მონოლითური, მთლიანი ორგანიზმისა – კლასობრივი იქნება ის, რასობრივი თუ კონფესიური. დეკლარაცია კი, ადამიანის ავტონომიურობის აქსიომატური ჭეშმარიტებიდან გამოდიოდა.

რომელია საწყისი – ნაწილი თუ მთელი? ეს ურთულესი ფილოსოფიური პრობლემაა, რომლის გადაწყვეტა ბრძენკაცთათვის იმის საფუძველს წარმოადგენდა, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო იდეალური საზოგადოება. ჯერ კიდევ პლატონი ამტკიცებდა, რომ პიროვნებას არ შეიძლება, სახელმწიფოს ინტერესებისგან განსხვავებული მისწრაფებები ჰქონდეს. არისტოტელე სრულიად საპირისპირო პოზიციაზე იდგა. შაიოს სასახლეში, პლატონის სახელით, მოსკოვიდან ჩასული ანდრე ვიშინსკი გამოდიოდა, არისტოტელეს სახელით კი – ელეონორა რუზველტი.

შემდგომი მოვლენები ცნობილია: ტერმინმა „ადამიანის უფლებები“, მყარი ადგილი დაიმკვიდრა კაცობრიობის ცხოვრებაში. ერთხანს ის ცივი ომის თავისებურ მახვილად და დისიდენტური მოძრაობის დროშად გვევლინებოდა. დეკლარაციის ტექსტი კომუნისტური ბანაკის ქვეყნებში ნახევრად ლეგალურად ვრცელდებოდა. „აღმოსავლეთ ევროპის ბლოკის“ დაშლის შემდეგ კი იმ, ე.წ. „ბურჟუაზიულ“ უფლებათა იდეების ტრიუმფის მოწმენი გავხდით, რომლის სულისკვეთება სწორედ დეკლარაციაში იყო ჩადებული. ისტორიას ჩაბარდა კომუნიზმიც, სამხრეთაფრიკული აპარტეიდიც, ლათინოამერიკული სამხედრო რეჟიმები. თუმცა, არც მთლად ასე „ვარდისფრად“ არის საქმე. მაგალითად, სავსებით კაპიტალისტური სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია ტოტალურ ჩინეთზე არანაკლებ ეწინააღმდეგება ამ კონცეფციას. ცოტა ვინმე თუ გაიხსენებს ადამიანის უფლებებს აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ყოფილი კომუნისტური ბანაკის ბევრ მოქალაქეს კი გული აუცრუვდა ახლოდან დანახულ დასავლურ ღირებულებებზე, რომელიც მისთვის კვლავ მიუწვდომელი რჩება... დაბოლოს, თვით დასავლეთმაც რამდენადმე დაივიწყა პიროვნების ავტონომიის უფლებები და სულ უფრო მეტად იტაცებს ჯგუფების, უმცირესობათა თუ ველური ბუნების ინტერესები. ნაციზმის საშინელებათა რეაქციად 1948 წელს შობილი დეკლარაცია კი სულ უფრო მიამიტურად ეჩვენებათ. რა ვუყოთ – სამაგიეროდ, ეს უმაღლესი სინჯის მიამიტობაა, რომელიც მუდამ, მხოლოდ რჩეულებს ახასიათებდათ...

■

მეუღლის ღალატი

ადამიანის სულიერი მღელვარება
სრულყოფილების მოტრფიალე
სამი წერტილი კამთელზე
ხელწერილის სახე
ადამის მეუღლე
ყოველი ირანულის შემსწავლ. მეცნიერება
მაკიაველის ქმნილება
ჭამის სურვილი
სიმებიანი საკრავი
უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა
ცუდი თვისება
პურის ნაჭრების შესაწვავი ხელსაწყო
ქუბი ცენტრალ. გათბობის სისტემაში
გამოხედვა, ცქერა
ბრიტანეთის კონტდაზვერვა
გაზაფხულის ყვავილი
ავსტრიაუნგრეთის დედოფალი
ელემენტთა პერიოდული ...
ჩინეთში გავრცელებ. ერთ-ერთი რელიგია
ბევრ ცხიმში შემწვარი კარტოფილი
მსუბუქი ტრფიალი, არშიყობა
ბოლო ბგერების გამეორება ლექსში
ბულდოგი + თეთრი ტერიერი
შესახედაობა
ელიავას სახელი
მოწინააღმდეგეობაში
ძფისებური რქოვანი წანაზარდი თავზე
წოდებების თანამიმდევრობა
ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი
პურეული მცენარე
პიროვნების ანაბარი საზღვარგ. ბანკში
პიპინიას ძაღლი
დედოფალა
თაღი
ძაფის სართავი ჩხირი
სპირტიანი სასმელი
სახედარი
პოლ მაკარტნი, რინგო ...
სათავსი თევზებისათვის
კლავეშ. საკრავთა საერთო სახელწოდ.
შეადგინა რამაზ ალანიამ

23-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ბ.

29-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-გ; 4-ა.

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ (12 – 18 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ) ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

ᲛᲔᲠᲜᲔᲣᲚᲘ – 21/I-19/II

ეს კვირა არანორმალური სისწრაფით გაირბენს. მოვლენები, სახეები და ფრაზები თქვენს ცნობიერებაში წამიერად გაიელვებს და გაქრება. მხოლოდ პარასკევისთვის შეძლებთ ამოსუნთქვას. ეს შესვენება გონივრულად გამოიყენეთ, თორემ შესაძლოა, თქვენმა მიჯნურმა მოიწყინოს.

ᲗᲐᲕᲖᲘᲗᲘ – 20/II-20/III

თქვენი სამსახურებრივი მდგომარეობით, ხელფასითა და კარიერის ზრდის ტემპით უკმაყოფილო ხართ, მაგრამ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ, გვერდზე გაიხედეთ და თავი დაიმშვიდეთ. რა დროს სამსახურზე ფიქრია – კვირის ბოლოს საოცარი თავგადასავალი გელით.

ᲕᲔᲠᲫᲘ – 21/III-20/IV



ორშაბათი და სამშაბათი ძალიან ხელსაყრელია ნებისმიერი პრაქტიკული პრობლემის მოსაგვარებლად. კვირის მეორე ნახევარში კი მრავალი შეხვედრა და დიდი ხნის უნახავი ნათესავების სტუმრობა გელით. უქმეებში თქვენს ცხოვრებაში მოულოდნელი და სასიამოვნო გარდატეხა მოხდება.

ᲙᲣᲠᲗ – 21/IV-21/V

ერთადერთი ნეგატიური დღე თქვენთვის ამ კვირაში ოთხშაბათია – დაღლილობა მოგეძალებათ და ძალზედ იოლი დაბრკოლების გადალახვასაც ვერ შეძლებთ. კვირის დანარჩენ დღეებში, მართალია, ბევრი შრომა მოგიწევთ, მაგრამ წარმატება არ დააყოვნებს და თქვენი ავტორიტეტიც საგრძნობლად ამაღლდება.

ᲛᲐᲠᲩᲮᲘᲗᲘ – 22/V-21/VI

ლიდერობის დაუოკებელი სურვილი გაგიჩნდებათ. არაჩვეულებრივ ორგანიზატორულ ნიჭს გამოავლენთ და ნებისმიერი ადამიანის თქვენს მხარეზე გადმობირებას შეძლებთ. კვირის ბოლოსათვის კი, შესაძლოა, შორეულ და ხანგრძლივ მივლინებაში გაემგზავროთ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲗᲘ – 22/VI-22/VII

ეს კვირა საკმაოდ მოულოდნელი და ერთი შეხედვით, სახიფათო მოვლენებით დაიწყება, მაგრამ თავი ხელში აიყვანეთ და ნუ ეცდებით, ცვლილებები თავიდან აიცილოთ, რადგან ის ახლა, ისე გესაჭიროებათ, როგორც არასდროს – მით უმეტეს, რომ ნებისმიერი სიახლე თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის.

ᲚᲝᲛᲘ – 23/VII-23/VIII



თქვენი უტყუარი ალღო და ნებისმიერი პრობლემის არსში წვდომის არაჩვეულებრივი ნიჭი ძალიან დაგეხმარებათ იურიდიული დოკუმენტების გაფორმებასა და მომგებიანი კონტრაქტების დადებაში. პარასკევს სამსახურში ბევრი უსიამოვნება მოხდება, მაგრამ ეს ყველაფერი პირადად თქვენ არ შეგეხებათ.

ᲥᲐᲚᲬᲘᲗᲘ – 24/VIII-23/IX



ეს კვირა ნორმალურად ჩაივლის, თუ თქვენი სამუშაო ინსტრუმენტებთან და ქაღალდებთან არის დაკავშირებული და არა ადამიანებთან. მაგრამ თუ სამუშაოს სპეციფიკა ადამიანებთან ურთიერთობას მოითხოვს, პრობლემებს ვერ გაექცევით, რადგან მოზღვავებული ემოციები ყველაფერში ხელს შეგიშლით. და კიდევ, ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

ᲮᲐᲜᲬᲝᲠᲘ – 24/IX-23/X

მთელი კვირის მანძილზე გულჩათხრობილი იქნებით. ზედმეტად კრიტიკულად ნუ განსჯით საკუთარ თავს და ეცადეთ, უკეთ გაერკვეთ საკუთარ პრიორიტეტში, მიზნებსა და ამოცანებში. თუ ჩვენს რჩევებს გაითვალისწინებთ, უქმე დღეებში ოპტიმიზმის ნაპერწკალიც ჩაგესახებათ.

ᲦᲠᲝᲜᲯᲐᲚᲘ – 24/X-22/XI

თუკი აქამდე სხვის იმედზე ყოფნას იყავით მიჩვეული, დროა გადაეჩვიოთ, რადგან ახლა თქვენს ცხოვრებაში ისეთი ეტაპი დგება, როცა ნებისმიერი საქმის წარმატებით დაგვირგვინებას მხოლოდ თვითდისციპლინითა და საკუთარი ძალებით შეძლებთ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ – 23/XI-21/XII

ერთ ადგილზე ვერ ისვენებთ. მოზღვავებული ენერგიის წყალობით, დღის განმავლობაში ყველა საქმის მოგვარებას მოახერხებთ, საღამოობით კარგად დასვენებასა და გართობასაც მოასწრებთ, ღამეებს, როგორც მოგესურვებათ, ისე გაატარებთ და დილაობით კვლავ გასაოცარი ენერგიით შეუდგებით საქმეს.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ – 22/XII-20/I

ოთხშაბათამდე ყველაფერი ჩვეული რიტმით და მშვიდად მიედინება. მომდევნო დღეებში კი ძალიან დაძაბული იქნებით და ნებისმიერი შენიშვნა მოთმინებიდან გამოგიყვანთ. მაგრამ მიუხედავად ამისა, პარასკევი მაინც პოზიტიური დღე იქნება. შაბათ-კვირას მეგობრებთან ერთად დაისვენეთ და ეცადეთ, ყველა პრობლემა დროებით მაინც დაივიწყოთ.

როგორი ფსიქოლოგი ხართ?

ყველა ჩვენგანს უწევს სხვისი საქციელისა და პიროვნული ღირსებების შეფასება, ეს კი საკმაოდ რთულია.

მოცემული ტესტი დაგეხმარებათ იმის დადგენაში, გაქვთ თუ არა ფსიქოლოგის მონაცემები და შეგიძლიათ თუ არა ადამიანების ობიექტურად შეფასება.

კარგად დაფიქრდით და ისე ამოარჩიეთ თქვენთვის შესაფერისი პასუხი:

1) თქვენი აზრით, ყოველთვის კარგი მანერების მქონე ადამიანი:

ა) ურთიერთობაში სასიამოვნო და ბუნებით კეთილია – 2;

ბ) მკაცრად არის აღზრდილი – 4;

გ) უბრალოდ სურს, თავისი ნამდვილი ხასიათი დამალოს – 1.

2) თქვენი აზრით, ცოლქმარი, რომელიც არასოდეს ჩხუბობს:

ა) ბედნიერია – 2;

ბ) ერთმანეთის მიმართ გულგრილია – 1;

გ) არ ენდობა ერთურთს – 4.

3) თუ ადამიანი, პირველ შეხვედრისთანავე გიყვებათ ანეკდოტებს და მხიარული ამბებით გართობთ, ფიქრობთ რომ ის:

ა) სიტყვამოსწრებულია – 1;

ბ) თავს უხერხულად გრძნობს და ამით უსიამოვნო სიტუაციიდან გამოსვლას ცდილობს – 2;

გ) კარგი შთაბეჭდილების მოხდენა უნდა თქვენზე – 4.

4) თუ თქვენი მოსაუბრე აქტიურად იშველიებს ჟესტიკულაციას, მიგაჩნიათ, რომ ის:

ა) ღელავს – 4;

ბ) არ არის გულწრფელი – 1.

5) თუ გადაწყვიტეთ, ერთ-ერთი თქვენი ნაცნობთაგანი უფრო ახლოს გაიცნოთ, ამისათვის:

ა) მიიწვევთ მას თქვენი მეგობრების წრეში – 1;

ბ) თვალყურს ადევნებთ, როგორ იქცევა სამსახურში – 2.

6) თუ თქვენი თანმხლები რესტორანში ოფიციანტს საკმარისზე ბევრად მეტ გასამრჯელოს აძლევს, მიგაჩნიათ, რომ:

ა) კარგი შთაბეჭდილების მოხდენა სურს – 4;

ბ) ოფიციანტის კარგი განწყობის მოპოვებას ცდილობს – 2;

გ) მეტისმეტად გულუხვია – 1.

7) თუ ადამიანი არასოდეს იწყებს საუბარს პირველი, თქვენი აზრით, ის:

ა) გულჩათხრობილია და არც აზრთა ურთიერთგაცვლა უყვარს – 2;

ბ) მეტისმეტად მორცხვია – 4;

გ) ფიქრობს, რომ მის ნათქვამს სწორად ვერ გაიგებენ – 1.

8) თქვენი აზრით, ადამიანის ვიწრო შუბლი იმაზე მეტყველებს, რომ:

ა) გონებაშეზღუდულია – 1;

ბ) ჯიუტია – 2;

გ) მხოლოდ ამის საფუძველზე ადამიანზე მსჯელობა არ შეიძლება – 4.

9) რას ფიქრობთ იმ ადამიანის შესახებ, რომელიც მოსაუბრეს თვალებში არ უყურებს?

ა) თავდაჯერებულობა აკლია – 1;

ბ) არ არის გულწრფელი – 4;

გ) მეტისმეტად დაბნეულია – 2.

10) თუ საკმაოდ სოლიდური შემოსავლის მქონე ადამიანი ყოველთვის იაფფასიან ნივთებს იძენს, თქვენი აზრით, ის:

ა) ხელმომჭირნეა – 4;

ბ) მოკრძალებულია – 2;

გ) უბრალოდ, ძუნწია – 1.

შეაჯამეთ მიღებული ქულები და შედეგი პასუხებში მოძებნეთ

35 და მეტი ქულა: ძალიან ადვილად შეგიძლიათ ადამიანის შეფასება. თქვენთვის ერთი შეხედვაც საკმარისია, რომ გამოიცნოთ, ვინ დგას სინამდვილეში თქვენ წინ. თავს მოვალედ თვლით, შექმნილი აზრი სხვებსაც გაუზიაროთ, რადგან დარწმუნებული ხართ, რომ არ შეცდებით. მაგრამ განა საჭიროა ყველას გააგებინოთ, ვინ რას წარმოადგენს სინამდვილეში?! ამით თქვენ მხოლოდ ახლობლების გაღიზიანებას გამოიწვევთ.

26-34 ქულა: იმის უნარი შეგწევთ, რომ ობიექტურად შეაფასოთ შექმნილი სიტუაცია და გარშემომყოფი ადამიანები. თქვენ ნამდვილი „ყნოსვა“ გაქვთ ადამიანებზე და არ გიჭირთ სხვისი ხასიათის გამოცნობა. შესანიშნავი ფსიქოლოგი შეიძლებოდა ყოფილიყავით – თავისუფლად შეგიძლიათ მოიქცეთ ისე, რომ ვინმემ თავს არ მოგახვიოთ თავისი აზრი, რადგან გსურთ, თავად შეაფასოთ ადამიანის ქცევები და ხასიათი. იმის ძალაც შეგწევთ, რომ დროულად აღიაროთ საკუთარი შეცდომა და გამოასწოროთ იგი.

16-25 ქულა: უმეტეს შემთხვევაში თქვენ არ ხართ თავდაჯერებული და ადვილად ექცევით სხვისი გავლენის ქვეშ. ამით სიტუაციის რეალურად აღქმის უნარს იქვეითებთ და შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს, საკუთარი აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბებაც ვეღარ შეძლოთ. შეეცადეთ, ერთხელ მაინც შეიქმნათ საკუთარი აზრი გარშემომყოფთა მიმართ და ნაკლებად გაიზიაროთ სხვისი შეხედულებები.

15 და ნაკლები ქულა: თქვენ გიყვართ სხვისი აზრების მოსმენა და გჯერათ კიდეც მისი. მეტისმეტად მიმნდობი ხართ და ადამიანებზე მხოლოდ გარეგნობის მიხედვით მსჯელობთ. ხოლო როცა აღმოჩნდება, რომ თქვენი შეფასება არასწორი იყო, გიკვირთ და გუნება გიფუჭდებათ. თუ ასე გაგრძელებთ, ხშირად შეცდებით ადამიანების შეფასებაში.

ბორბლიანი ჰროთეზი

თურმე კუსთვის 50 წელი გაფურჩქვნის ხანა ყოფილა, მაგრამ სწორედ ამ ასაკის დროს მძიმე სენი შეჰყრია და ბრიტანეთის ქალაქ ლიდსის ვეტერინარული ქირურგიის განყოფილებაში რთული ოპერაციის გაკეთება დასჭირდა. სიკვდილს კი გამოსტაცეს, მაგრამ ნაწილობრივ მაინც პარალიზებული დარჩა — უკანა ფეხები წაერთვა.

მისი შემხედვარე გულმოწყალე ვეტერინარი სტიუარტ მაკარტური, გამუდმებით ეძებდა უჩვეულო გამოსავალს და სრულიად მოულოდნელად, თავისი მცირეწლოვანი ქალიშვილის ოთახში „იპოვა“: მისი კონსტრუქტორის გამოყენებით ბორბლიანი პროთეზი დაუმზადა დორისს და მოხერხებულად მიამაგრა კუს ჯავშანს. დორისი საუცხოოდ გრძნობს თავს და ჩვეულებრივ კუზე გაცილებით სწრაფადაც მოძრაობს.

ეკანონო ბიზნესი

ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში ფრიად უცნაური არალეგალური ბიზნესია გავრცელებული: მისი მიმდევრები სპილოების ჯუნგლებიდან გამოყვანას ახერხებენ, რათა ეგზოტიკის მოყვარულ ტურისტებს ამ ცხოველებთან სურათის გადაღების საშუალება მისცენ, რისთვისაც რამდენიმე დოლარს ახდევინებენ. არალეგალური კი ეს საქმიანობა იმიტომ არის, რომ ტაილანდში სპილოებს საგანგებო კანონი იცავს, ამიტომ, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მათ კანქვეშ მიკროჩიპებს უნერგავენ: ამ გზით ადვილდება ცხოველთა გადაადგილების დაფიქსირება და „ბოროტმოქმედის“ გამოჭერა.



გათეთრების „ეპიდემია“

ამერიკელები სრულიად შეიშალნენ ე.წ. „ჰოლივუდური ღიმილის“ გამო — ქვეყნის მთელი მოსახლეობა დროს მხოლოდ იმაზე ფიქრსა და ზრუნვაში ატარებს, რომ რაც შეიძლება მეტად გაითეთროს კბილები. სწორედ ეს გახლავთ დღეს აშშ-ში ყველაზე პოპულარული კოსმეტიკური პროცედურა, რომლის ღირებულება, ზოგ შემთხვევაში, 500 დოლარამდე აღწევს. გარდა ამისა, ამერიკაში უშვებენ უამრავ კბილის პასტას, საშინაო პირობებში კბილების გასათეთრებლად საჭირო მრავალგვარ ნაწარმსა და სტომატოლოგიური კაბინეტის პროფესიულ კომპლექტს. სულ ბოლო დროის ტენდენციაა, სპეციალური „კბილგამწმენდი“ კუროსტების გახსნა, რომელთა რიცხვმა უკვე 17-ს მიაღწია. კოსმეტიკური სტომატოლოგიის ნიუ-იორკელი სპეციალისტის, ლარი როზენტალის თქმით, ამ ვატაცების მთავარი მიზეზებია ქვეყანაში გამეფებული საყოველთაო კეთილდღეობა, ცხოვრების ჯანსაღი წესისა და ახალგაზრდობის გახანგრძლივებისკენ სწრაფვა.

ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის — „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა თემურ მღებრიშვილმა.

ვულოცავთ ბატონ თემურს და ვუსურვებთ წარმატებებს!

უკანასკნელი ტანგო... თბილისში

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (13 თებერვლის) 13 საათამდე.

„ფანტაზია“

შეკანასკნელი ტანგო...
სიცოცხლეში

„ფანტაზიორობს“
მკითხველი

ომომთვინიერებელი

ია სამადალაშვილი
ახალი
სახ
612/4
მომხიბლავო გოგონებო!
აქ შეიძლება თქვენი
ფოტო დაიბეჭდოს!
თქვენი ფერადი სურათი,
საკონტაქტო ტელეფონის
მითითებით გამოგვიგზავნეთ
„კვირის პალიტრის“ საფოსტო
ყუთების საშუალებით.
„გზის“ ფოტოგრაფები
მზად არიან ახალი
ფოტოსახეების შესაქმნელად!